პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

— ჰააგაში ვერ მიაღწიეს შეთანხმებას სარეპარაციო ბანკის საკითხში.
— პალესტინაში მდგომარეობა კვლავ გართულებულია.
— შეერთ. შტატები იცავს თავის ექსტერიტორიალურ უფლებებს ჩინეთში.
— იაპონია სასწრაფოთ აგებს ახალ სამხედრო გემებს.
— ავსტრიის ფაშისტები მთავრობისაგან მოითხოვენ კონსტიტუციის შეცვლას.
— ბომბის აფეთქება გერმანიის რეიხსტაგის შენობასთან.
— პოლონეთის მშრომელთა დელეგაციის გამგზავრება მოსკოვიდან.

სამშაბათი, 3 სექტემბერი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 202 (2548)

დღეს, სექტემბრის 3-ს, მთავრობის სასახლეში
შესდგება
საქ. სსრ სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს
გაერთიანებული სხდომა
დასაწყისი საღამოს 7 საათზე.
სსრ სახკომსაბჭოს და ეკონ საბჭ. საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი

კომუნისტი
გრძელდება ხელისმოწერა სექტემბრისათვის
2—1 კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

პარტიულ ხაზის სადარაჯოზე

ოქტომბრის რევოლიუციის მთელმა განვითარებამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ სოციალისტური მშენებლობის წარმატების ძირითად პირობას წარმოადგენს პროლეტარიატის ავანგარდის —საკავშირო კომუნისტური პარტიის იდეურ-ორგანიზაციული სიმტკიცე. ბოლშევიკური პარტია ულმობელია ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც აშკარად თუ ფარულად ებრძვის ლენინიზმის თეორიას და პრაქტიკას, ვინც ამავე ლენინიზმის სახელით ცდილობს რევიზია უყოს ბოლშევიზმს. ამას მოწმობს ჩვენი პარტიის მთელი განვითარების ისტორია. იდეურ მოწინააღმდეგებთან ბრძოლაში იზრდებოდა და იბრძმედებოდა ბოლშევიკური პარტია და ის მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა ამ ბრძოლიდან. ამ ნაცად გზიდან ერთი ნაბიჯითაც ვერ გადაუხვევს ჩვენი პარტია. დღეს მას უფრო მეტი სიფხიზლე მართებს ლენინიზმის იდეებისა და თავის ორგანიზაციული სიმტკიცის დასაცავათ. დღეს ის აუარებელ მტრების გარემოცვაში პრაქტიკულად აშენებს სოციალიზმს. ჩვენს პარტიას წილად ხვდა უდიდესი ბედნიერება,—ის სათავეში უდგას მსოფლიოში ერთადერთს სოციალისტურ სახელმწიფოს, ის ასრულებს უაღრესი საკაცობრიო მნიშვნელობის ისტორიულ საქმეს. და ეს მდგომარეობა შესაფერ პასუხისმგებლობასაც აკისრებს ბოლშევიკურ პარტიას.

დიდი და ობიექტიურად აუცილებელი სიძნელენი, რომელნიც წინ ეღობებიან ოქტომბრის რევოლიუციის განვითარებას, მოითხოვენ ქვეყნის სასიცოცხლო ძალების მაქსიმალურად შემჭიდროებას და, პირველ ყოვლისა, თვით საკავშირო კომუნისტური პარტიის იდეურ-ორგანიზაციული მთლიანობის კიდევ უფრო გამაგრებას. ეს განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს დღეს, როცა რეკონსტრუქტიულ პერიოდთან დაკავშირებით ჩვენ საქმე გვაქვს მთელ რიგ სიძნელეებთან. ეს სიძნელეები თავის გამოძახილს პოულობენ პარტიის ყველაზე უფრო მერყევ და ჩამორჩენილ ფენებში. მემარჯვენე გადახრა და მასთან შემთანხმებლობა, რომელიც ჩვენი განვითარების ეხლანდელ საფეხურზე მთავარ საფრთხეს წარმოადგენს, არსებითად არის სოფლისა და ქალაქის წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტების გამოქომაგება პარტიის შიგნიდან. საკავშირო კომუნისტურ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ეს საფრთხე თავის დროზე შენიშნა და მთელი ბოლშევიკური სისასტიკით დაჰკრა ის. ბრძოლა მემარჯვენეებთან და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ განსაკუთრებული სიმწვავით სდგას ჩვენს წინაშე. აქეთკენ უნდა იქნას მიმართული მთავარი იერიში, მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ის საფრთხე, რომელიც „მარცხნიდან“ მოდის. ტროცკისტული კონტრ-რევოლიუციონური დაჯგუფებანი, რომელნიც სულ ახლო წარსულში, „მემარცხენე“ ოპოზიციის სახით ილაშქრებდნენ პარტიის წინააღმდეგ, დღეს უკვე საბოლოოდ გამოაშკარავებულნი არიან, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის მოსისხლე მტრები. მაგრამ ბრძოლა ტროცკიზმის წინააღმდეგ ამით არ თავდება.

პარტია დაუზოგავად შეებრძოლება ისეთ, ერთი შეხედვით „უმანკო“ გადახრებს, როგორიც დაუშვეს უკანასკნელ ხანებში შაცკინმა, სტენმა და კოსტროვმა. ჩვენი გაზეთის მკითხველები გაკვრით უკვე იცნობენ აღნიშნულ პირთა შეცდომებს იმ რეზოლიუციიდან, რომელნიც დაიბეჭდა „კომუნისტში“ ხსენებულ პირთა ანტილენინური პოზიციების შესახებ. ამ მხრივ დამახასიათებელია შაცკინის წერილები, რომელნიც დაიბეჭდა „კომსომოლსკაია პრავდა“-ში პარტიული „ობივატელშჩინის“ წინააღმდეგ. არსებითად ეს წერილები წარმოადგენენ ტროცკიზმის უკვე საკმაოდ გაცვეთილ დემაგოგიის განმეორებას პარტიის წინააღმდეგ. ტროცკისტები ბრალს სდებდნენ პარტიას იმაში, რომ ეს უკანასკნელი „პოლიტიკურ ჭაობთან“ კავშირით აწარმოებს ბრძოლას მემარჯვენეებთან. შაცკინის წერილი, რომელიც ფორმალურად მიმართულია პარტიულ „ობივატელშჩინის“ წინააღმდეგ, არაფრით განსხვავდება ტროცკისტების ხსენებულ დემაგოგიისაგან. პარტიულ „ობივატელშჩინის“ სახით შაცკინის წერილი არსებითად წარმოადგეს ყოვლად უმსგავსო თავდასხმას ბოლშევიკური პარტიის რკინისებურ დისციპლინაზე. შაცკინი გვერდს უვლის ნამდვილ ობივატელშჩინის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს. ის ინტელიგენტური მედიდურობით ამასხარავებს პარტიის დისციპლინას და აქაც იმეორებს ბოლშევიკური ხაზის შეურყევლად გატარებით უკმაყოფილოთა ცნობილ მოთქმა-გოდებას პარტიულ რეჟიმის „აუტანლობის“ შესახებ. ყოველივე ამასთან ერთად შაცკინის წერილი წარმოადგენს მემარჯვენე გადახრისა და ტროცკიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიფუჩეჩების ცდას. ეს უაღრესი მნიშვნელობის მორიგი ამოცანები მას სურს შესცვალოს პარტიულ ობივატელობის წინააღმდეგ ბრძოლით.

ამნაირადვე დასაგმობია სტენის უკანასკნელი გამოსვლა, სადაც ის უნდობლობის იდეებს უნერგავს კომუნისტურ ახალგაზრდობას პარტიის ცენტრალურ ხაზისადმი. სტენი კომკავშირის საშუალებით ცდილობს „შესწორებები“ შეიტანოს კომუნისტური პარტიის გენერალურ პოლიტიკაში. მისი წარმოდგენით კომკავშირმა დამოუკიდებლად უნდა შეამოწმოს პარტიის დღევანდელი ხაზი. ის აშკარად სწერს, რომ საჭიროა კომკავშირელებმა „საკუთარი გამოცდილებით სერიოზულად დაამუშაონ საკითხები და ამ გზით დარწმუნდნენ ჩვენი პარტიის ცენტრალური ხაზის სისწორეში“-ო. პარტიის პოლიტიკის შემოწმება კომკავშირის გამოცდილების საფუძველზე,—ეს არის მთელი ჩვენი ბოლშევიკური პარტიის ტრადიციის თავდაყირა დაყენება, ეს არის სხვა სიტყვებით გამოთქმა ტროცკის იმ „აფორიზმისა“, რომელიც მან წარმოსთქვა 1924 წლის დისკუსიის დროს, როცა ახალგაზრდობა პოლიტიკურ ბარომეტრს შეადარა. ამიტომ გასაგებია ის ერთსულოვანი აღშფოთება, რომელიც გამოიწვია სტენის ამ ტროცკისტულმა გამოსვლამ პარტიის ხელმძღვანელ ორგანიზაციებსა და კომკავშირის მასებში.

ასევე შეცდარი და დასაგმობია კომკავშირის ერთ-ერთ ხელმძღვანელ მუშაკის—კოსტროვის სახელგანთქმული „თეორია“ ღარიბ გლეხთა მასიურ დამოუკიდებელ ორგანიზაციების შესახებ პროფესიონალური კავშირების მზგავსად. ეს დებულება ძირფესვიანად ეწინააღმდეგება ლენინის მთელ პოლიტიკას სოფლად მუშაობის დარგში. კოსტროვის „თეორიის“ პრაქტიკულად განხორციელება პირდაპირი გზით მიგვიყვანდა მუშათა კლასისა და გლეხკაცობის კავშირის ჩაშლამდე.

პარტია როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც დაუზოგავად შეებრძოლება ყველა იმათ, ვინც ახალ საფარველ ქვეშ მოინდომებს ძველ, უკვე ნაცნობ ანტი-ბოლშევიკური იდეების შემოპარებას, პარტია და მასთან ერთად კომკავშირი დაუნდობლად ამხელს ყველა ახალ, მაგრამ არსებითად ძველ „თეორიების“ უბადრუკ ავტორებს. შაცკინის, სტენის და კოსტროვის შეცდომები ფართოდ უნდა იქნას განმარტებული პარტიისა და კომკავშირის მასებში. ხელმძღვანელი პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებმა უკვე სთქვეს თავისი სიტყვა ამ მემარცხენე „ფრაზიორების“ წინააღმდეგ, საჭიროა ადგილობრივ ორგანიზაციებმა დაამუშაონ ეს საკითხები და ტროცკიზმის ყველა ახალ მოდის იდეოლოგებს თავისი ადგილი მიუჩინონ.

აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი

ეხლა უკვე თვალსაჩინოდ გამოირკვა პურის დამზადების ახალი კამპანიის მდგომარეობა. ამ კამპანიის განსაკუთრებულ თავისებურებას წინა კამპანიებთან შედარებით, წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის როლის გაძლიერება, საგეგმო დავალებათა მიყვანა სოფლამდე და კამპანიის ადრე დაწყება. პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ყველა ეს პირობა უაღრესად ხელსაყრელია პურის დამზადების წარმატებით განვითარებისათვის.

იმისათვის, რომ ეს ხელსაყრელი პირობები ნამდვილად სავსებით გამოყენებულიყო, საჭირო იყო დამამზადებელი აპარატის შეთანხმებული მუშაობა, მუშათა და გლეხთა საზოგადოებრიობის ფართო მასების ამოძრავება, საბჭოთა ორგანოების ლონისძიებათა მიმართვა პურის დამზადების ამოცანების შესასრულებლად, ადგილობრივი პარტიული ორგანოების საიმედო და მტკიცე ხელმძღვანელობა.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ აღნიშნულ ლონისძიებათა შედეგად დამზადების ძირითადმა რაიონებმა რამდენადმე გააძლიერეს პურის დამზადების ტემპი შარშანდელთან შედარებით. მრავალ რაიონში თვალსაჩინოდ გაიზარდა დამამზადებელი აპარატის აქტივობა და მას მტკიცედ უჭერენ მხარს გლეხების ფართო მასები. ზედმეტი პურის მწყობრი კოლექტიური ჩაბარების სხვადასხვა ფორმები მიმდინარე კამპანიაში ბევრად უფრო ფართოდ გავრცელდა, ვიდრე ოდესმე წინად.

ამრიგად, მთელ რიგ რაიონებში პურის დამზადების განვითარების ფაქტებმა თვალსაჩინოდ დაამტკიცეს როგორც დამზადებისათვის მიღებულ ღონისძიებათა სისწორე, ისე ისიც, რომ დასახული გეგმები შემავიწროვებელი არ არის და რომ ამ გეგმების შესრულება დანიშნულ ვადებში უთუოდ შესაძლებელია. მით უფრო მეტი საფუძველი გვაქვს იმისათვის, რომ მაგარი მოთხოვნები წარვუდგინოთ ამ ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომელნიც დამზადებას ხელმძღვანელობენ და უშუალოდ ატარებენ მას.

სამწუხაროდ, ყველა რაიონი ვერ აღმოჩნდა დასახული ამოცანების სიმაღლეზე. ცალკე რესპუბლიკებში დამზადების ტემპს ჯერ კიდევ ემჩნევა დიდი სიზრელე და ჩამორჩენა. იმ რაიონებში, სადაც პარტიის დირექტივები სათანადო სიმტკიცით სრულდებოდა, ჩვენ ვხედავთ დამზადების ტემპის ზრდას. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, უკრაინაში, რომელმაც აგვისტოს მეხუთე ხუთდღეულში უკვე გადააჭარბა თვიურ გეგმას. პირიქით, ჩრდილოეთ კავკასიაში და ყირიმში პურის დამზადების მიმდინარეობა ცხადჰყოფს, რომ საკმაოა ყურადღების ოდნავი შესუსტება, რომ ამან გეგმის ჩაშლის რეალური საფრთხე გამოიწვიოს. აღნიშნულ რაიონებში დამზადება საიანადო ტემპით დაიწყო, გაშლა-განვითარება ნორმალურად მიმდინარეობდა და არავითარი სხვა მიზეზით, გარდა ნაადრევი გულდამშვიდებისა და ენერგიის შესუსტებისა, არ შეიძლება აიხსნას ტემპების შენელება. ჩრდილოეთ კავკასიის მეხუთე ხუთდღეულის შემდეგ თვიური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 65 პროცენტით, ამავე დროს კი ჩრდილოეთ კავკასია დამზადების ეხლანდელ ეტაპზე უკრაინასთან ერთად ძირითადი მომწოდებელია.

ასეთი მდგომარეობის ატანა შემდეგში უკვე აღარ შეიძლება. დამზადების ძირითად რაიონებში ტემპის შენელება წარმოადგენს კულაკისა და სპეკულიანტის განმტკიცების ბაზას, ისინი სარგებლობენ ყოველი სუსტი ადგილით პურის დამზადების ფრონტის ჩასაშლელად.

ჩრდილოეთ კავკასიამ და ყირიმმა მდგომარეობა უნდა გამოასწორონ. დამზადების ვადები იქ ყველა ორგანიზაციამ, რომელსაც კი რაიმე დამოკიდებულება აქვს პურის დამზადებასთან, უნდა მიიჩნიოს არა სავარაუდო მითითებად, არამედ მტკიცე დავალებად, რომელიც აუცილებლად უნდა შესრულდეს. შეიძლება და საჭიროც არის მისწრაფება დამზადების შესრულებისაკენ დანიშნულ ვადაზე ადრე. აბსოლიუტურად დაუშვებელია ჩამორჩენა. ოდნავი ჩამორჩენა საფრთხეს წარმოადგენს გეგმის შესრულებისათვის. ეს კარგად უნდა დავიხსომოთ და ყველა ზომა მივიღოთ ტემპების გაძლიერებისათვის.

პურის დამზადება უთანაბროდ მიმდინარეობს ვოლგის შუა რაიონში. მაშინ, როდესაც პენზის ოლქმა 25 დღეში თვიური გეგმა 86 პროცენტით შეასრულა, ხოლო სიზრანის ოლქმა 79 პროცენტით, სხვა ოლქები კუდში მისჩანჩალებენ მათ. სამარის ოლქმა იმავე პერიოდში თვიური გეგმის მხოლოდ 17 პროცენტი შეასრულა, ხოლო ორენბურგის ოლქს საერთოდ ჯერ კიდევ არ დაუწყია მუშაობა (45 პროცენტი). „სრედნევოლჟსკაია კომუნა“ აღნიშნავს, რომ „[illegible] ჯერ კიდევ არ მომზადება და პური ჯერ კიდევ მასიურად არ მოდის“.

იმ რაიონების გამოცდილება, რომლებშიაც პურის დასამზადებელი მუშაობა უკვე გაჩაღებულია, დაუყოვნებლივ მხედველობაში უნდა მიიღონ სხვა რაიონებმა, რომლებიც უფრო დაგვიანებით ჩაებნენ კამპანიაში. საფუძველი გვაქვს გამოვთქვათ შიში, რომ ცენტრალური შავმიწადაგიანი ოლქის, აგრეთვე ქვემო და შუა ვოლგის ზოგიერთ რაიონში პურის დამზადების ტემპი ვერ უზრუნველჰყოფს დავალებათა ვადაზე შესრულებას. „ვორონეჟსკაია კომუნა“ (იხ. № 195, 27 აგვისტო) ამბობს, რომ კურსკის ოლქში დამზადების „ტემპი მიუტევებლად სუსტია“, პარტიის დირექტივების მიუხედავად, კურსკის ოლქის რაიონებში დამზადებული არ არის საწყობები, მიღებული არ არის ზომები ჩასაბარებელი პუნქტების გამტარუნარიანობის გასადიდებლად, სოფლის დუქნებში მიტანილი არ არის ისეთი აუცილებელი საქონელი, როგორიც არის მანუფაქტურა, საპონი, თამბაქო და სხვ. გაზეთი აღნიშნავს ისეთ ფაქტებს, რომ რწმუნებულები სრულიად მიუტევებლად, თვითნებურად სტოვებენ რაიონებს. შიგროვის რაიონში რწმუნებულები ქალაქში სხედან. კომკავშირი მეტად სუსტ მონაწილეობას იღებს კამპანიაში და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები არ ამოწმებენ მიცემული დირექტივების შესრულებას.

საკმაოა გავეცნოთ აღნიშნული დეფექტების ხასიათს, რათა დავინახოთ, რომ ისინი ემყარებიან არა რაიმე ობიექტიურ სიძნელეებს, არამედ უთავბოლობას, დაუდევრობას და ხელმძღვანელობის უქონლობას, გულგრილად მოკიდებას იმ დირექტივებისადმი, რომელნიც მიმდინარე წელს მოცემულ იქნენ ბევრად უფრო ადრე კამპანიის დაწყებამდე და თვალისწინებდნენ სწორედ ამ, წინა კამპანიების მიხედვით კარგად ნაცნობს, დეფექტების გამოსწორებას.

პურის დამამზადებელი აპარატების ნაკლით, მათი მუშაობის მოდუნებული ტემპით ფართოდ სარგებლობს კერძო ვაჭარი. თუ რკინის გზებზე კერძო ვაჭარი ერთგვარ შევიწროვებას გრძნობს პურის გადაზიდვის დროს, სამაგიეროდ გზატკეცილებზე და სანაოსნო გზებზე იგი სრულიად შეუზღუდავია და დიდძალ პურსაც ეზიდება. კერძოდ, „მეტომრეობა“, როგორც გამოირკვა, წარმოადგენს მსხვილი კერძო ვაჭრის მუშაობის მნიშვნელოვან ფარულ ფორმას. ადგილობრივი ორგანიზაციები ძალიან ხშირად არავითარ ბრძოლას არ აწარმოებენ პურის სპეკულიაციასთან, ვერ ახერხებენ იმის გარჩევას, თუ სად თავდება ადგილობრივი საქონელბრუნვის თავისუფლება და სად იწყება სპეკულიაცია, თუმცა ამ უკანასკნელს აშკარად ამჩნევს ყოველი ადგილობრივი მუშა და გლეხი.

კერძო ვაჭარს საგრძნობლად ჰკვებავს ბოროტი კონკურენცია ძირითად დამამზადებელ ორგანიზაციებს შორის. ცალკე შემთხვევებში კონკურენცია პირდაპირ მავნებლობად იქცევა. ასე, მაგალითად, ოდესის ოლქში სამომხმარებლო კავშირის პურის განყოფილების გამგე კავშირისათვის დაქვემდებარებულ სასოფლო- სამომხმარებლო საზოგადოებებს უხსნის, რომ ისინი „ვალდებულნი არ არიან როგორი მარცვალი მიიღონ— დაკონტრაქტებული თუ არა“, რომ „კონტრაქტანტები სრულებითაც არ არიან ვალდებულნი ზედმეტი მარცვალი პურის დამამზადებელ ორგანიზაციებს ჩააბარონ“. ამ შემთხვევაში იერიში მიმართული იყო სასოფლო- სამეურნეო კოოპერაციის წინააღმდეგ.

ქვემო ვოლგის ოლქებში კი დამზადებას შლის სამომხმარებლო კოოპერაციის წინააღმდეგ მიტანილი იერიშები. კამიშინის ოლქის ნიკოლაევის რაიონულმა აღმასრულებელმა კომიტეტმა „სრულიად უმიზეზოდ დახურა სამომხმარებლო კოოპერაციის ჩასაბარებელი პუნქტი და მაშინვე გადასცა იგი მთელი შტატითა და მოწყობილობით „კოოპხლებ“-ს („ნიჟნევოლჟსკაია პრავდა“, 28 აგვისტო). ასეთივე გამოსვლები სამომხმარებლო კოოპერაციის წინააღმდეგ აღნიშნულია ვოლსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში: შეჯიბრების ნაცვლად, ვხედავთ კონკურენციის ყველაზე ცუდ ფორმებს, რასაც გულგრილად უყურებენ ან პირდაპირ ხელსაც კი უწყობენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. სავსებით ცხადია, რომ ამ რაიონებში პარტხელმძღვანელობა სუსტია და მასიური კონტროლის ფორმები გამოუყენებელი არის.

ყველა ამ ნაკლის წინააღმდეგ ულმობელი იერიში უნდა მივიტანოთ და მათი განმეორების შესაძლებლობაც კი უნდა მოვსპოთ.

დირექტივა პურის დამზადების იანვრისათვის დამთავრების შესახებ შეიძლება შესრულებულ იქნას მხოლოდ მუშაობის მაქსიმალური ტემპის განვითარებით. კონკურენცია და უთავბოლობა შლის ტემპს. ვადის რაიმე გადადება დაუშვებელია.

დამზადების შემოკლებულ ვადას აქვს უდიდესი მნიშვნელობა როგორც იმისათვის, რომ სახელმწიფო თავის დროზე უზრუნველყოფილ იქნას პურით და შეიქმნას საჭირო რეზერვები, ისე იმისათვისაც, რომ განთავისუფლებული ძალები გამოყენებულ იქნან თესვის კამპანიის ჩასატარებლად. ჩვენ ჯერ კიდევ არ ჩაგვიტარებია საკმაო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ამ საკითხის შესახებ. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, პრესამ და პროფკავშირებმა ჯერ კიდევ საკმაოდ არ აუხსნეს მუშათა და გლეხთა მასებს პურის დამზადების მნიშვნელობა სოციალისტური მშენებლობის, კერძოდ, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის, გეგმების შესრულების თვალსაზრისით. აგრეთვე გამორკვეული არ არის ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს პურის დამზადებას, როგორც კლასობრივ ურთიერთობათა და კულაკთან ბრძოლის მოწესრიგების ბერკეტს, ურომლისოდაც შეუძლებელია სოციალისტური მშენებლობის გაშლისათვის ნიადაგის მომზადება. აგრეთვე სათანადო წარმოდგენა არ არსებობს იმაზე, რომ საჭიროა პურის დამზადების დამთავრების შემდეგ განთავისუფლებული მუშაკების გამოყენება თესვის კამპანიისათვის, ე. ი. სოფლისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად რეკონსტრუქციის საქმეში.

ამჟამად, როდესაც უდიდესი მასშტაბით ხდება საწარმოო კოოპერატიული გაერთიანება და კოლექტივიზაცია; ამ პროცესების ხასიათის და სირთულის პირობებში, როდესაც სოფელს კადრები არა ჰყავს, უდიდეს საჭიროებას წარმოადგენს სოფელში ძალების გადაგზავნა რეკონსტრუქციისათვის დახმარების გასაწევად. ძალების მიშველება აუცილებლად უნდა განხორციელდეს, მაგრამ ამისათვის უპირველეს—წინასწარ პირობას წარმოადგენს პურის დამზადების კამპანიის იანვრამდე დამთავრება.

ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დააწესა ვადები ყოველი რესპუბლიკისა და ყოველი ოლქისათვის. მოყვანილ მოსაზრებათა გამო ეს ვადები უნდა მივიღოთ ულაპარაკოდ შესასრულებლად.

განსაკუთრებით საჭიროა ძალღონის დაჭიმვა სექტემბერში. რადგან გზების გაფუჭება (შემოდგომის წვიმების გამო) უკვე მოახლოვებულია, ამ თვეში ჩატარებული მუშაობა ხელმძღვანელობის სისწორისა და აპარატის მუშაობის უნარიანობის ძირითადი საზომი უნდა იყოს.

საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობანი რომლებსაც თავიანთი პროდუქცია დაკონტრაქტებული აქვთ, უნდა იძლეოდნენ ვალდებულებათა თავის დროზე და ვადაზე ადრე შესრულების მაგალითს. მეურნეობათა ამ კატეგორიებმა თავიანთი ზედმეტი პურის ჩაბარება სექტემბერში უნდა დაამთავრონ: სახელმწიფოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმათ მიერ ვალდებულებათა შესრულების ვადას, ვინაიდან კამპანიის პირველ თვეებში მარაგის შექმნა განსაზღვრავს მთელი კამპანიის შედეგებს, იმიტომ, რომ ეს იძლევა ბაზრის მოწესრიგების რეალურ შესაძლებლობას. გაზაფხულზე ნავარაუდევია დაკონტრაქტებულ იქნას გაზაფხულის ნათესი სივრცის არა ნაკლებ 60 პროცენტისა. საზოგადოებრივი სექტორის ზრდასთან დაკავშირებით, ეს იქნება არა მარტო რაოდენობითი ცვლილება, არამედ ხარისხობრივიც. ეს სოფლის მეურნეობისა და სახელმწიფო მეურნეობის ურთიერთობას მისცემს იმ გეგმიანობას, რომლის უქონლობა დღემდე საბაზრო დაბრკოლებათა უმნიშვნელოვანესი მიზეზი იყო. უნდა ვაღიაროთ, რომ კონტრაქტაციაში ჩაბმულ მეურნეობათა ნაწილი სუსტად ასრულებს თავის ვალდებულებებს. არის შემთხვევები, რომ კოლმეურნეობები (უფრო იშვიათად საბჭოთა მეურნეობები) არ აბარებენ პურს, ან კერძოდაც კი ჰყიდიან. ეს ფაქტები მკაცრად უნდა დავგმოთ, რადგან ისინი ჩირქსა სცხებენ განსაზოგადოებულ სექტორს. ასეთი ორგანიზაციების მიმართ შეუძლებელია მხარის დაჭერის პოლიტიკა.

საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებისა და კოოპერატივების მასა უნდა ჩაება შეჯიბრებაში მთელი ზედმეტი პურის, რაც შეიძლება სწრაფად ჩაბარებაზე. განსაზოგადოებული სექტორის მაგალითმა მეურნეობათა მთელი ძირითადი მასა უნდა გაიყოლიოს პურის დამზადების საქმეში მოცემულ დავალებათა ასი პროცენტით შესრულების გზაზე.

„პრავდა“, 1 სექტემბერი.

ჰააგის კონფერენცია დაიხურა

კონფერენციამ გამოააშკარავა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შეურიგებელი წინააღმდეგობა

იუნგის გეგმა სექტემბრიდან არ შედის ძალაში.—ჰენდერსონი აფუჩეჩებს ინგლის-საფრანგეთის ანტაგონიზმს

ჩინეთში კვლავ მოელიან ბრძოლის დაწყებას ჩან-კაი-შისა და ფინ-იუი-სიანს შორის

ჰააგის კონფერენცია დაიხურა

გრძელდება გამწვავებული დავა

ჰააგა, 1 სექტემბერი. კონფერენცია ისევე უწესრიგოდ მთავრდება, როგორც მიმდინარეობდა. ბრიანი, ჰენდერსონი და ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრი გიმანსი არ მოელოდნენ კონფერენციის ოფიციალურად დამთავრებას და აგრეთვე მიატოვეს ჰააგა. უკანასკნელ მომენტში გადასწყდა, რომ კონფერენციის საბოლოო სხდომა დახურულ კარებში მომხდარიყო. ოფიციალურად ამას ხსნიან იმით, რომ ჯერ კიდევ არ შეიძლება დანამდვილებით თქმა, როდის დაამთავრებს მუშაობას საფინანსო კომისია. ნამდვილად კი ეს გადაწყვეტილება გამოიწვია სახელმწიფოთა შორის არსებულმა მწვავე წინააღმდეგობამ.

საერთაშორისო ანგარიშების გამსწორებელი ბანკის საკითხის შესახებ ინგლისის დელეგაციამ განაცხადა, რომ ამ საკითხში იგი მოქმედების თავისუფლებას იტოვებს.

გერმანიამ პროტესტი გამოაცხადა სეკვესტრის გაგრძელების წინააღმდეგ გერმანიის იმ ქონების ნაშთზე, რომელსაც ომის დროს კონფისკაცია უყვეს ინგლისში.

საბერძნეთმა, რუმინეთმა, პოლონეთმა და სამხრეთ-სლავიამ პროტესტი განაცხადეს იმის გამო, რომ ჰააგის შეთანხმებამ გააუარესა მდგომარეობა. მაშინ სნოუდენმა განაცხადა, რომ იგი მზად არის პორტუგალიის და იაპონიის სასარგებლოდ 5 მილიონი მარკით შეამციროს ის თანხა, რომელიც ინგლისმა უნდა მიიღოს სარეპარაციო გადასახადების უპირობო ნაწილიდან, ოღონდ ამას ჩაიდენს იმ პირობით, თუ ასევე მოიქცევა საფრანგეთი სამხრეთ-სლავიისა და რუმინეთის სასარგებლოდ.

სენსაცია გამოიწვია ამერიკის მეთვალყურის ვილსონის კამათში ჩარევამ. რა საკითხს შეეხო იგი, საიდუმლოდ ინახავენ, მაგრამ ფიქრობენ, რომ მან ილაპარაკა საერთაშორისო ანგარიშების გამსწორებელი ბანკის შესახებ. ამ საკითხმა, თუ სად უნდა დაარსდეს ბანკი, სასტიკი შეხლა - შემოხლა გამოიწვია მწვავე უთანხმოების გამო, იუნგის გეგმით გათვალისწინებული კომისიის დანიშვნის ნაცვლად, გამოყოფილ იქნა ქვე-კომისია, რომელმაც უნდა მოამზადოს კომისიის დანიშვნა“.

დიდი უთანხმოება გამოიწვია სხვა კომისიების საკითხმაც. ამრიგად, მიღწეული „პრინციპიალური შეთანხმების“ მიუხედავად, უკანასკნელ წუთამდე არ შეწყვეტილა გამწვავებული დავა (ადს).

იუნგის გეგმა სექტემბრიდან არ იქნება შემოღებული

ჰააგა, 1 სექტემბერი. საფინანსო კომისიის დადგენილება ჯერ არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ გერმანიამ ვერ დაიყოლია სახელმწიფოები იმაზე, რომ იუნგის გეგმა ფაქტიურად სექტემბრიდან შემოღებულიყო. 1929 წლის დამლევამდე ან იმ დრომდე, სანამ იუნგის გეგმა ძალაში არ შევა გერმანიამ სარეპარაციო გადასახადები უნდა შეიტანოს დაუესის გეგმის მიხედვით. ის განსხვავება, რომელიც დაუესის და იუნგის გეგმებით გათვალისწინებულ გადასახადებს შორის არსებობს, სექტემბრიდან საზღვარგარეთ არ გადაიგზავნება და შეიძლება ოქტომბრის დამლევამდე იგი გერმანიის განკარგულებაში დარჩეს.

ჰააგის კონფერენციამ მიიღო მხოლოდ ზოგადი ხასიათის დადგენილება იუნგის გეგმის არსებითად განხილვის შემდგომი მიმდინარეობის შესახებ. კონფერენციის თავმჯდომარეს ჟასპარს უფლება მიეცა დანიშნოს იმ სახელმწიფოების წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევის დრო და ადგილი, რომლებმაც მოლაპარაკება უნდა განაგრძონ. ოქტომბერში, კომისიების მუშაობის დამთავრების შემდეგ, ჰააგაში გაიმართება სახელმწიფოთა საბოლოო კონფერენცია იუნგის გეგმის განსახილველად (ადს).

ჰენდერსონი „უარჰყოფს“ ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობის გართულებას

ჰააგა, 1 სექტემბერი. წასვლის წინ ჰენდერსონმა პრესის წარმომადგენლებს გადასცა განცხადება, რომელშიაც იგი უარჰყოფს გაზეთების ცნობებს ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობის გართულების შესახებ. ამგვარ ცნობას ჰენდერსონი მოჭორილად სთვლის და აცხადებს, რომ რეინის ოლქის დაცლის საკითხში ინგლისი და საფრანგეთი შეთანხმებულად მოქმედებენო. ჰენდერსონი იმედს გამოსთქვამს, რომ ინგლისი და საფრანგეთი მომავალშიაც ითანამშრომლებენ, განსაკუთრებით არბიტრაჟისა და განიარაღების საკითხებში, რაც ხელს შეუწყობს იმ ამოცანის განხორციელებას, რომელიც მიზნად ისახავს ერთა ლიგის გადაქცევას ნამდვილ ძალად.

„მხოლოდ ამას შეუძლია,—განაცხადა ჰენდერსონმა,—გაფანტოს მომავალი ომის საფრთხე“ (ადს).

პოლონეთის პრესა აფრთხილებს გერმანიას

ვარშავა, 1 სექტემბ. ვარშავაში მოვიდა საფრანგეთის პარლამენტის წევრთა დელეგაცია, რომელმაც რამდენიმე დღე პოზნანში (პოლონეთი) დაჰყო. პოლონეთის ოფიციოზური წრეები ყოველნაირად ცდილობენ აღნიშნონ, ვითომ ჰააგის კონფერენციის დადგენილებებსა და საფრანგეთის დელეგატების მოსვლის შორის უშუალო კავშირი არსებობს. „ეპოკა“ სწერს, რომ საფრანგეთის დელეგაცია მოვიდა იმ დროს, როდესაც ხელს აწერენ რეინის ოლქის ევაკუაციის ხელშეკრულებას.

„ამის გამო,—სწერს გაზეთი, — საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატის სიტყვებს განსაკუთრებული ფასი ენიჭება. მისი განცხადება საყურადღებოა არა პოლონეთისათვის, რომელსაც არასოდეს არ ეპარებოდა ეჭვი საფრანგეთის ლოიალობაში, არამედ გერმანიისათვის, რომ იგი არ გააბრუოს იმ დათმობებმა, რომლებიც მან ჰააგაში მიიღო (ადს).

პალესტინი სამბების გარშემო

კონფერენცია დაიხურა

ჰააგა, 1 სექტემბერი. კონფერენცია დაიხურა, პოლიტიკური კომისიის დადგენილება სხდომაზე არ გამოაქვეყნეს იმის გამო, რომ რეინის ოლქის დაცლის შესახებ მიღწეული შეთანხმება იმ 12 სახელმწიფოდან, რომელნიც კონფერენციას ესწრებოდნენ, მხოლოდ ექვსს ეხება.. ამრიგად, აშკარად იქნა აღიარებული, რომ პოლონეთს კავშირი არა აქვს იმ მოლაპარაკებასთან, რომელიც ევაკუაციას შეეხება.

საფინანსო კომისიაში თავმჯდომარემ ჟასპარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეთანხმება დროებითია და არა საბოლოო. ამიტომ მას ხელს აწერენ კონფერენციის მხოლოდ თავმჯდომარე და მდივანი (ადს).

ერთა ლიგის საბჭოს სესია

ჰააგაში „გამარჯვებულთა“ სიამაყე

ჟენევა, 1 სექტემბერი. ერთა ლიგის საბჭოს მორიგი სესია, რომლის შემდეგაც ერთა ლიგის წლიური პლენარული სხდომა გაიხსნება, დაიწყო ინგლისელების გაძლიერებული აქტივობით. ინგლისელები ჰააგიდან ჟენევაში მოვიდნენ, როგორც გამარჯვებულნი, ასე, ჰენდერსონმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს იმედი გამოსთქვა, რომ მომავალი პლენარული კრება ისევე ჩაივლის, როგორც ჩაიარა ჰააგის კონფერენციამ, რომლის შედეგებიც, მისი სიტყვით, „მშვიდობიანობის ახალი ხანის“ დასაწყისია. ჰენდერსონმა აღნიშნა, რომ ინგლისის მუშათა პარტიის მთავრობა ფიქრობს „ფართოდ გაშალოს ერთა ლიგაში ის საკითხები, რომლებიც გაყინული იყო იმ ხნის განმავლობაში, რაც ხანი ხელისუფლებას სათავეში კონსერვატიული მთავრობა ედგა. ასეთი საკითხებია განიარაღების არბიტრაჟის და ეროვნულ უმცირესობათა საკითხები. ჰენდერსონმა კმაყოფილებით გამოაქვეყნა ამერიკის ლონდონელ ელჩ დაუესისაგან მიღებული მისალოცი დეპეშა, რომელშიაც დაუესი სნოუდენს ულოცავს ჰააგაში მიღწეულ „ბრწყინვალე გამარჯვებას“.

ჰენდერსონმა განაცხადა: არის საფუძველი იმედი ვიქონიოთ, რომ მაკდონალდსა და დაუესს შორის საზღვაო განიარაღების შესახებ წარმოებული მოლაპარაკება მაკდონალდს საშუალებას მისცემს ერთა ლიგის სხდომაზე გამოვიდეს ფართო და გადამწყვეტი განცხადებით განიარაღების შესახებ. ჰენდერსონის სიტყვით, მალე იქნება მოწვეული ხუთი საზღვაო სახელმწიფოს კონფერენცია.

პალესტინაში არსებულ მდგომარეობაზე, რაც აქ დიდ ინტერესს იწვევს, კერძოდ, იმ პეტიციებისა და პროტესტების გამო, რომელიც ერთა ლიგის სამდივნომ ებრაელთა და არაბთა ორგანიზაციებისაგან მიიღო, ჰენდერსონმა ორჭოფი პასუხი გასცა (ადს).

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტი

ნანკინი არ ჩქარობს კონფერენციის მოწვევას

შანხაი, 1 სექტემბერი. პრესა მოკლედ იუწყება, რომ საბჭოთა მთავრობა „თანახმაა ზოგიერთი ცვლილებით“ მიიღოს ნანკინის მთავრობის დეკლარაცია. ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ, მუკდენთან უთანხმოების გამო, ნანკინის მთავრობა „არ აჩქარდება კონფერენციის მოწვევის საქმეში“. ფიქრობენ აგრეთვე, რომ ნანკინელები, მუკდენისადმი უნდობლობის გამო, არ დასთანხმდებიან, რომ კონფერენცია მოწვეულ იქნას შანხაიში ან ნანკინში. არსებობს აზრი, რომ ნანკინი მოითხოვს კონფერენციის მოწვევას მოსკოვში ან ნეიტრალურ ადგილას. კონფერენციის პროგრამის შესახებ შანხაის პოლიტიკური წრეები იმ აზრისა არიან, რომ კონფერენციაზე უნდა დაისვას არა მარტო აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საკითხი, არამედ ჩინეთ-საბჭოთა დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის განახლების საკითხიც.

ხარბინში მდგომარეობა უარესდება

შანხაი, 1 სექტემბერი. ხარბინში მდგომარეობა უარესდება: მაღაზიები დაცალიერდა, უმუშევრობა მატულობს, ზოგი ბანკი ჩეკებს არ ახურდავებს, კრიზისის გაჭიანურების გამო მოელიან მრავალი ფირმის გაკოტრებას. ჯარმა ქალაქში დაიჭირა ყველა საზოგადოებრივი შენობა. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მასწავლებლებს, რომლებმაც სამსახურიდან განთავისუფლების თხოვნა შეიტანეს, მუქარით მოსთხოვეს— სამი დღის ვადაში გადასინჯონ თავიანთი განცხადებანი (ადს).

პეიპინის გაზეთებმა დაბეჭდეს ნანკინის წინადადება და ლიტვინოვის პასუხი

პეიპინი, 1 სექტემბერი. ცნობა ნანკინის მთავრობის წინადადების და ამ წინადადებაზე ამხ. ლიტვინოვის პასუხის შესახებ დაბეჭდილია ყველა გაზეთებში, რამაც დიდი სენსაცია გამოიწვია. (ადს).

თავდასხმები საბჭოთა ტერიტორიაზე

ვლადივოსტოკი, 2 სექტემბერი. 28-დან 30 აგვისტომდე გახშირდა ისეთი შემთხვევები, როცა ჩინეთის ჯარი ჩვენ სანაპირო ნაწილებს ესროდა. 28 აგვისტოს პალი ბილგირას რაიონში, ერმაკოვის ჩრდილო-დასავლეთით, ჩინელებმა სროლა აუტეხეს ჩვენს სანაპირო ნაწილებს. სოფელ მუჩიკანის რაიონში, მდინარე არგუნზე, ჩინელები მდინარით მოუახლოვდნენ ჩვენს ნაპირებს და სროლა აუტეხეს ჩვენს სანაპირო ნაწილებს. 30 აგვისტოს ჩინელებმა 12 კილომეტრის მანძილზე ბლაგოვეშჩენსკის ქვემოდ სროლა აუტეხეს ჩვენს გემს „კარპენკო“-ს. გაძლიერდა თეთრგვარდიელ ბანდიტთა მოქმედება, რაც გამოიხატა ჩვენს ტერიტორიაზე გადმოსვლაში. 30 აგვისტოს თეთრგვარდიელებმა სროლა აუტეხეს ბლაგოვეშჩენსკის სოფელ სბოვოდნიე ლუეკს. ნერჩინსკის მახლობლად, სოფელ ჩოპროვისა და კუტურმის რაიონში ჩვენს ტერიტორიაზე გადმოვიდა თეთრგვარდიელთა ცხენოსანი ბანდა. მეორე ბანდა შემოიჭრა ბლაგოვეშჩენსკის ოლქის ვოსკრესენოვკის რაიონში, ორივე ბანდა თავს დაესხა მშვიდობიან მოსახლეობას.

კვლავ იწყება ბრძოლა

ფინ-იუი-სიანსა და ჩან-კაი-შის შორის

ურთიერთობა მწვავდება

შანხაი, 1 სექტემბერი. პოლიტიკურ წრეებში დაჟინებით ლაპარაკობენ, რომ ჩან-კაი-შის და ფინ-იუი-სიანს შორის ურთიერთობა საშინლად მწვავდება. საერთო აზრით მათ შორის ომი აუცილებელია. ხმა დადის, რომ ტან-შენ-ჩი გარკვეულად მიემხრო ფინ-იუი-სიანის ჯგუფს. მას ეხლა აღარ შეუძლია ნანკინიდან წასვლა, სადაც იგი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. ამბობენ, რომ ენ-სი-შანი აჭიანურებს ფინ-იუი-სიანის იმ ჯარის რეორგანიზაციას, რომელიც მას დაუქვემდებარეს და რომლის რეორგანიზაციასაც მისგან ნანკინი მოითხოვს.

იუწყებიან აგრეთვე, რომ ნანკინის ჯარი, რომელიც ჩრდილოეთში გაიგზავნა, ვითომ საზღვრის დასაცავად, ნამდვილად თავს იყრის ჩრდილოეთში იმ შემთხვევისათვის, თუ გენერლები ნანკინის წინააღმდეგ გამოვლენ.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, ის, რომ უკანასკნელ ხანებში ძალიან გაიზარდა ეგრეთწოდებული რეორგანიზაციის პარტიის გავლენა, რის გამოც ნანკინის ზოგიერთი გავლენიანი მოღვაწე ორიენტაციას იცვლის და ცდილობს შეუთანხმდეს ფინ-იუი-სიანს. ზოგიერთის აზრით, ამ დაბრკოლებებმა აიძულეს ნანკინის მთავრობა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საკითხში დათმობაზე წასულიყო (ადს).

ფინ-იუი-სიანის მომხრეთა დაპატიმრება

პეიპინი, 1 სექტემბერი. დააპატიმრეს გომინდანის აქაური ორგანიზაციის გავლენიანი წევრი გო-ჩენ-ტინი. გო-ჩენ-ტინთან ერთად დააპატიმრეს 8 გომინდანელი. როგორც „ნორდ ჩაინა სტანდარტ“-ი იუწყება, დაპატიმრებას უკავშირებენ ჩან-კაი-შის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებას, რომელიც ნანკინის სამხედრო აკადემიაში აღმოაჩინეს (ადს).

სტუდენტების სიკვდილით დასჯა

შანხაი, 1 სექტემბერი. „ივნინგ პოსტ“-ის ცნობით, შანხაის საერთაშორისო უბნის ხელისუფლება გადამჭრელ ზომებს ღებულობს იმ დემონსტრაციის თავიდან ასაცილებლად, რომელსაც ახალგაზრდათა საერთაშორისო დღეს მოელიან. როგორც გაზეთი იუწყება, საერთაშორისო უბნის ხელისუფლებამ დააპატიმრა 5 სტუდენტი, რომლებიც პროკლამაციებს ავრცელებდნენ. დაპატიმრებულნი გადასცეს შანხაის ჩინურ სამხედრო ხელისუფლებას, რომლებმაც ისინი კომუნისტებად სცნო და ამის გამო ხუთივე სიკვდილით დასაჯა (ადს).

ამერიკა არ სთმობს ექსტერიტორიალურ უფლებებს ჩინეთში

შანხაი, 1 სექტემბერი. უცხოეთის გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ამერიკამ უარჰყო თხოვნა ექსტერიტორიალობის უფლებებზე ხელის აღების შესახებ (ადს).

ინგლისელთა ხრიკები

შანხაი, 1 სექტემბერი. ჩინური გაზეთები შიშით აღნიშნავენ ტიბეტის ტომთა გაძლიერებულ მოძრაობას. მათ შეადგინეს 100 ათასიანი არმია და შეესიენ ლიტანის და ჩამდოს რაიონებს, სიჩუანის პროვინციის დასავლეთ ნაწილს.

ჟურნალი „ჩაინა კრიტიკ“-ი სწერს, თუმცა მოძრაობის ხელმძღვანელობა ადგილობრივ მკვიდრთა ხელშია, მაგრამ მოძრაობის მონაწილენი ინგლისური თოფებით არიან შეიარაღებულნი. ჟურნალის აზრით, მოძრაობის მიზანია სიკონგის (ტიბეტ-ჩინეთის საზღვარზე, ლხასიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით) დაჭერა, რაც გვიჩვენებს, რომ ინგლისელები სარგებლობენ ნანკინის გაჭირვებით და სურთ სიკონგი ტიბეტს დაუმორჩილონ. (ადს).

რეპრესიები საფრანგეთის მუშურ-გლეხური ბანკის წინააღმდეგ

„ლუმანიტე“ მუშურ-გლეხური ბანკის ადმინისტრაციის დევნის გამო

პარიზი, 1 სექტემბერი. როგორც ვიცით, მუშურ-გლეხური ბანკის ადმინისტრატორების წინააღმდეგ სასამართლოში აღძრულ იქნა საქმე. ამის გამო „ლიუმანიტე“ სწერს:

„სასამართლო ხელისუფლებამ ვერ შესძლო გაეკოტრებინა თვით ბანკი, რადგან მის გასამტყუნებლად არავითარი იურიდიული საფუძველი არ აღმოჩნდა და ეხლა შეუტია მის ადმინისტრატორებს, რომლებსაც აბრალებს ფიქტიური ანაბრების მიღებას. ამით სასამართლოს სურს დაფაროს თავისი დამარცხება“.

ბანკის ადმინისტრატორებმა დაკითხვის დროს უარი სთქვეს ჩვენების მიცემაზე იმ დრომდე, სანამ მათ სასამართლო ექსპერტთა მოხსენებას არ წარუდგენენ (ადს).

იაპონია ახალ სამხედრო გემებს აგებს

ტოკიო, 1 სექტემბერი. საზღვაო სამინისტრომ ფინანსთა სამინისტროს მოსთხოვა 400 მილიონი იენი იმ მიზნით, რომ ერთი წლით ადრე შეუდგეს ახალი სამხედრო გემების მშენებლობის პროგრამის განხორციელებას. (ადს).

საერთაშორისო მუშათა კლასი ეხმარება საბჭოთა კავშირის მშრომელთ

სოციალიზმის წარმატებით მშენებლობაში

თათბირი პროფინტერნში საერთაშორისო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ

მოსკოვი, 2 სექტემბერი. პროფინტერნში მოხდა პროფინტერნის აღმასბიუროსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს წევრთა შეერთებული სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი საერთაშორისო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

მოხსენებით გამოვიდნენ: პროფინტერნის აღმასბიუროს სახელით ჯერმანეტო და საკავშირო პროფსაბჭოს სახელით ვეინბერგი. მიღებულ იქნა დადგენილება, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც გამოხატავს საბჭ. კავშ. ფართო პროლეტარული მასების უდიდეს გატაცებას შრომით და რომელიც ანხორციელებს სოციალისტური მშენებლობის დიად გეგმას, მოიცვა საბჭოთა კავშირის ყველა კუთხე. მიუხედავად სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ მემარჯვენეების და შემარიგებლების მტკიცებისა, საბჭოთა კავშირის პროლეტარები ანხორციელებენ სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისა და რეკონსტრუქციის იმ ტემპს, რომელიც გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით, და ბევრ შემთხვევაში უსწრებენ კიდეც ამ ტემპს. საბჭოთა კავშირის პროლეტარებს შორის წარმოებულმა სოციალისტურმა გამოწვევამ ცხოველი გამოძახილი ჰპოვა კაპიტალისტური ქვეყნების რევოლიუციონურ მუშათა შორის. პროფინტერნის აღმასბიურო და საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი, ესალმებიან რა ოპელნისა და ჰამბურგის რკინისგზელების მიმართვას საბჭოთა კავშირის რკინისგზელებისადმი, აგრეთვე კურსკის, ჩრდილოეთის და სხვა რკინისგზების მუშების და „წითელი პროფინტერნი“-ის ქარხნის გადაწყვეტილებას—მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო შეჯიბრებაში, წინადადებას აძლევენ ყველა თავიანთ ორგანიზაციას— უაქტივესი მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო რევოლიუციონური შეჯიბრების მოწყობასა და განვითარებაში. საერთაშორისო რევოლიუციონური შეჯიბრება მიმართულ უნდა იქნას კლასობრივი რევოლიუციონური ბრძოლის გაძლიერებისაკენ, ომის საფრთხესთან ბრძოლისაკენ, საბჭოთა კავშირის დაცვისაკენ და საბჭოთა კავშირის ეკონომიური ძლიერების ზრდისაკენ. იგი უნდა ემყარებოდეს შეჯიბრების მონაწილეთა მიერ ამ საკითხების გამო მიღებულ ვალდებულებებს. შეჯიბრება საერთაშორისო პროლეტარულ კონტროლქვეშ აყენებს საბჭოთა კავშირის მშენებლობას და მოვალეობას აკისრებს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს—უფრო მეტად გაშალოს და გააძლიეროს მონაწილეობა სოციალისტურ შეჯიბრებასა და სოციალიზმის მშენებლობაში. შეჯიბრება ვალდებულად ხდის კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა ორგანიზაციებს—გააძლიერონ რევოლიუციონური მუშაობა უპირველეს ყოვლისა მსხვილ საწარმოებში და მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში.

პროფინტერნის აღმასბიუროს და საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავენ იმ უდიდეს როლს, რომელსაც საერთაშორისო რევოლიუციონურ შეჯიბრების განვითარებაში თამაშობს მუშგლეხკორთა საერთაშორისო კავშირი. დაევალოს პროფინტერნის საგიტაციო-საპროპაგანდო და ბეჭდვის განყოფილებას და საკავშირო პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას—გაშალონ ფართო საგიტაციო კამპანია შეჯიბრების ამოცანათა პოპულიარიზაციისათვის. დაევალოს მთელ პროფესიონალურ რევოლიუციონურ პრესას—შეუდგეს საერთაშორისო რევოლიუციონური შეჯიბრების ფართოდ გაშუქებასა და პროპაგანდას. საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ საკავშირო პროფსაბჭოს საგარეო კავშირის კომისიამ ფართოდ გამოიყენოს უცხოეთის დელეგაციების ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში შეჯიბრების იდეის პოპულიარიზაციისათვის. კონკრეტული პრაქტიკული საკითხების გამომუშავება მიენდოს სპეციალურ კომისიას“. (ადს)

პალესტინის ამბების გარშემო

მდგომარეობა კვლავ რთულია

ლონდონი, 1 სექტემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, იერუსალიმში მშვიდობიანობაა, მაგრამ ქუჩებში სამხედრო პოლიციის ძლიერი რაზმები დადიან. პოლიცია იარაღის ჩამოსართმევად ჩხრეკს და აპატიმრებს ხალხს. 1 სექტემბერს 12 ჰაეროპლანმა ქალაქში საჰაერო დემონსტრაცია გამართა.

ინგლისის უზენაეს კომისარს პალესტინაში ფრანგებთან მოლაპარაკება აქვს იმ მიზნით, რომ ფრანგებმა სირიის სამხრეთ საზღვარზე გააძლიერონ თავიანთი ჯარი, რათა აცილებულ იქნას არაბების შესევა პალესტინაში.

უზენაესმა კომისარმა გამოაქვეყნა პროკლამაცია, რომელშიაც აცხადებს, რომ წესრიგი აღდგენილი იქნება, რადაც უნდა დაჯდეს, და დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიან.

პროკლამაციაში ნათქვამია: კომისარი სწყვეტს იმ მოლაპარაკებას, რომელსაც იგი, თანახმად აღმასრულებელი კომიტეტის მიცემული შეპირებისა აწარმოებდა ინგლისის მთავრობასთან პალესტინის კონსტიტუციის შეცვლის შესახებ. (ადს).

ინგლისის კოლონიების მინისტრის ოფიციალური ცნობა

ლონდონი, 1 სექტემბ. ინგლისის კოლონიების მინისტრმა გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ პალესტინის ყველა მთავარი ცენტრი დაჭერილია ინგლისის შეიარაღებული ძალების მიერ. სინას, სირიის და ტრანსიორდანიის არაბები იმუქრებიან პალესტინაზე გალაშქრებით. ზოგი მათი რაზმი კიდეც გადავიდა საზღვარს. მათ წინააღმდეგ ჯავშნოსნები გაიგზავნენ (ადს).

ანტი-იმპერიალისტური ლიგის მოწოდება

ბერლინი, 1 სექტემბ. ანტი-იმპერიალისტური ლიგა პალესტინის ებრაელ და არაბ მუშებს მოუწოდებს — შეერთებულად ებრძოლონ ინგლისის იმპერიალიზმს, აგრეთვე სიონისტებს და სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც იმპერიალიზმის დამხმარეთა როლს ასრულებენ. ლიგამ წამოაყენა არაბთა დამოუკიდებელი ქვეყნების კავშირის ლოზუნგი.

„ვაკით“-ი პალესტინის ამბების შესახებ

სტამბოლი, 1 სექტემბერი. „ვაკით“-ი ეხება პალესტინის ამბებს და სწერს: „ებრაელებისა და არაბების ურთიერთობის წინააღმდეგ ამხედრებით ინგლისს სურს განამტკიცოს თავისი მდგომარეობა პალესტინაში და დაეუფლოს ამ ქვეყანას. პალესტინის ამბები ერთა თვითგამორკვევის უფლების დარღვევისა და ხელოვნური სახელმწიფოების შექმნის პოლიტიკის შედეგს წარმოადგენს“.

ფაშისტების ულტიმატუმი ავსტრიის მთავრობას

ლანდბუნდის ულტიმატიური მოთხოვნა

ვენა, 1 სექტ. გამოქვეყნდა ცნობა, რომ ლანდბუნდის წარმომადგენლებმა საკავშირო კანცლერის შტრერუვიცს გადასცეს თავიანთი მოთხოვნები. იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა შეუძლებლად ჩასთვლის კონსტიტუციის შეცვლას, ლანდბუნდი მოითხოვს ეს საკითხი გადაწყდეს საყოველთაო სახალხო კენჭისყრით. ლანდბუნდი მთავრობას პასუხისათვის აძლევს ორი კვირის ვადას (ადს).

დაპატიმრებანი სენტ-ლორენცში მომხდარ შეტაკებათა გამო

ვენა, 1 სექტემბ. კაპფენბერგში დააპატიმრეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის მდივანი ლუის ტეში, რომელსაც ბრალდება ხეიმვერის ფაშისტური ორგანიზაციისათვის ტყვიის დაშენა იმ დროს, როდესაც ეს ორგანიზაცია სენტ-ლორენცში თავს დაესხა სოციალ- დემოკრატიულ მიტინგს.

გაზეთების გადმოცემით, მოელიან ახალ დაპატიმრებებს ამგვარივე ბრალდების ნიადაგზე (ადს).

ასტრახანის „გმირთა“ საქმე

ასტრახანი, 2 სექტემბერი. 30 აგვისტოს სასამართლომ მთელი დღე მოანდომა პროტოდიაკონოვის დაკითხვას; პროტოდიაკონოვი დაჟინებით უარჰყოფს თავის დანაშაულს, მალავს ფაქტებს და თავის დანაშაულს სხვებს ახვევს თავზე. პროტოდიაკონოვი ცდილობს სახელი გაუტეხოს გამომძიებელს, სახელმწიფო ბრალმდებელს და ექსპერტს ივანოვს. იგი ამტკიცებს, რომ ამ უკანასკნელს პირადი ჯავრი სჭირს პროტოდიაკონოვის. სახელმწიფო ბრალმდებელი ფაქტებით უარჰყოფს პროტოდიაკონოვის ცრუ ჩვენებას.

ბრალდებულმა რეიტმანმა, რომელსაც ჰბრალდება პროტოდიაკონოვისათვის ქრთამის გადაცემა, სასამართლოს გადასცა განცხადება იმის შესახებ, რომ პროტოდიაკონოვი პროცესის წინ გამასწორებელ სახლში აგიტაციას ეწეოდა, რათა ბრალდებულებს უარეყოთ წინასწარ გამოძიებაზე მიცემული ჩვენება.

31 აგვისტოს დილის სხდომაზე გაგრძელდა პროტოდიაკონოვის დაკითხვა. სახელმწიფო ბრალმდებელი ყოველ ნაბიჯზე იჭერს მას ტყუილში. შარშან შემოდგომაზე პროტოდიაკონოვმა დიდი ქრთამები მიიღო და სამაგიეროდ მოახერხა, რომ თევზეულის დამზადების ნორმა კერძო სექტორში 118.000-დან 200.000 ცენტნერამდე გადიდებულიყო, ტყუილად ხომ არ უწოდეს კერძო მრეწველებმა ამ სეზონს „ოქროს“ სეზონი. სასამართლომ გამოარკვია, რომ სავაჭრო განყოფილებამ კერძო მრეწველთა დამზადების ნორმა გაადიდა სოციალისტური სექტორის ნორმების შემცირების ხარჯზე. პროტოდიაკონოვი ჯარიმას უმცირებდა იმ კერძო მრეწველებს, რომლებიც საკონვენციო ფასებს არღვევდნენ; ზოგჯერ სრულებითაც ანთავისუფლებდა მათ ამ ჯარიმის გადახდისაგან.

საზოგადოებრივი ბრალმდებელი აიძულებს პროტოდიაკონოვს გამოტყდეს და აღიაროს, რომ იგი იყო „სალი კერძო მრეწველის თეორიის მომხრე და პრაქტიკულადაც ანხორციელებდა ამ თეორიას“. პროტოდიაკონოვი აღიარებს, რომ შეგნებულად უყურადღებოდ სტოვებდა კერძო მრეწველობის ბოროტმოქმედებას, მათ მიერ ფასების ნორმების დარღვევას და მეთევზეთა მოტყუებას (ადს).

პოლონეთის მშრომელთა დელეგაციის გამგზავრება

მოსკოვი, 2 სექტემბერი. მოსკოვში დაბრუნდა პოლონეთის, დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის მუშურ-გლეხური დელეგაციის მესამე ჯგუფი. დელეგატები აღტაცებულნი არიან სოციალისტური მშენებლობით და მასების აღფრთოვანებით. ამასთან ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ მენშევიკების მიერ საზღვარგარეთ გავრცელებული ჭორების უსუსურობას.

მოსკოვი, 2 სექტემბერი. 1 სექტემბერს მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლებთან ერთად პოლონეთის მუშურ-გლეხური დელეგაცია შეხვდება სკანდინავიის მუშათა დელეგაციას. საღამოს პოლონეთის დელეგაცია მოსკოვიდან გაემგზავრება. (ადს).

სხვადასხვა

ალი ახმედ-ხანის სიკვდილით დასჯა

● როგორც „დეილი მეილ“-ი იუწყება, სიკვდილით დასაჯეს ჯელალაბადის ყოფილი გუბერნატორი ალი ახმედ-ხანი. (ადს).

● რიგაში გაიმართა ბალტიის ქვეყნებში პოლონეთში, რუმინეთში და პოლოხეთის უკრაინაში მცხოვრები რუსების წარმომადგენელთა ყრილობა; ყრილობის მიზანია რუსების მოქმედების გაერთიანება. ყრილობამ უნდა აირჩიოს აგრეთვე დელეგატები ეროვნულ უმცირესობათა ყრილობაზე გასაგზავნად ჟენევაში

ყრილობაზე თავი იჩინა დიდმა უთანხმოებამ ლატვიის სხვადასხვა რუსულ დაჯგუფებათა შორის. (ადს).

● ესენის მახლობლად ბენდელის ფოლადის ჩამომსხმელი ქარხნის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის არჩევნებში გაიმარჯვა მემარცხენე ფრთამ, რომელმაც 15 მანდატი მიიღო. რეფორმისტებმა მხოლოდ ორი მანდატი მიიღეს. წინანდელს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტში მემარცხენეებს მხოლოდ ათი მანდატი ჰქონდათ. (ადს).

„ლიდტკე“ ვრანგელის კუნძულს მიადგა

მოსკოვი, 2 სექტემბერი. 29 აგვისტოს „ლიდტკე“ ვრანგელის კუნძულს მიადგა და ბარგის გადატვირთვას შეუდგა. (ადს).

მოჭადრაკეთა საკავშირო ტურნირი

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ოდესა, 2 სექტემბერი. დღეს გაიხსნა საკავშირო საჭადრაკო შეჯიბრება. ოცდა თექვსმეტი მონაწილე კენჭისყრით ოთხ ჯგუფად განაწილდა. **პირველ ჯგუფში** შედიან: პავლოვ-პიანოვი, პოლიაკი, ფრეიმანი, რაუზერი, მუდროვი, რიუმინი, რაგოზინი, ბოტვინიკი, ნენაროკოვი; **მეორე ჯგუფში** სოზინი, როხლინი, ვერნშტეინი, სილიჩი, პანოვი, სოროკინი, ილინ-ჟენევსკი, ვიგოდჩიკოვი, ვილნერი; **მესამე ჯგუფში**: მოდელი, რუდნევი, ზუბარევი, გოგლიძე, გრიგორენკო, რავინსკი, ვერლინსკი, მიხეილ მაკაგონოვი; **მეოთხე ჯგუფში**: სელეზნევი, კირილოვი, გრიგორიევი, სლონიმი, იზმაილოვი, მაესტრო მაკაგონოვი, იურიევი, როზენტალი, გოტგილფი.

პირველი ტურის გათამაშება მოხდება ხვალ.

ვ. გოგლიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის წითელდროშოვან არმიის მანევრები დასრულდა

მანევრებმა ცხადყო: წითელი არმია ურყევი დარაჯია საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა მშვიდობიანი შრომის.--წითელი მებრძოლების სამხედრო-პოლიტიკური მომზადება მაღალ დონეზე დგას.--წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობას აძლიერებს მჭიდრო კავშირი მშრომელ მასებთან.--ა.-კავკასიის მუშათა კლასმა დაამტკიცა, რომ მას ჩაქუჩის გარდა თოფის მოხმარაც შეუძლია და საჭიროების დროს გვერდში ამოუდგება გმირულ წითელ არმიას.

მომავალში: კიდევ უფრო ვიზრუნოთ წითელ არმიაზე, კიდევ უფრო გავაძლიეროთ საბჭოთა ქვეყნის თავდაცვა

გაუმარჯოს წითელ არმიის კავშირს მშრომელ მასასთან

მანევრებმა ცხადჰყო კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ბრძოლისუნარიანობის ზრდა. მხურვალე სალამი ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის მუშებს და მშრომელთ და წითელარმიელსაც მხურვალე მადლობა მანევრებში აქტიური მონაწილეობისათვის

დამთავრდა ერთი კვირის გამძაფრებული მუშაობა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მანევრებზე.

რომ არ დავუცადოთ მანევრების მთელი მასალის გაღრმავებულ, დეტალურ დამუშავებას, ეხლავე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მანევრებზე კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ნაწილებმა გაამართლეს ყოველი მოლოდინი და დაამტკიცეს თავიანთი მომზადების უდიდესი ზრდა.

მეთაურთა შემადგენლობის მოხერხებული და სწორი ხელმძღვანელობით, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მებრძოლებმა გამოაშკარავეს სასროლო მომზადების მაღალი დონე, საკმაო მოქნილობა და მანევრისუნარიანობა ტაქტიკურ გაწვრთნაში.

მაღალ სამხედრო დისციპლინასა და გაღრმავებულ პოლიტიკურ განვითარებასთან ერთად, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ნაწილებმა გამოაშკარავეს საუცხოვო ამტანობა და ამიერ-კავკასიის რელიეფის მძიმე პირობებთან შეგუება.

განსაკუთრებით სასიამოვნოა აღინიშნოს თბილისის, ბაქოს, ლენინაკანის, გორის, ქუთაისის და სხვა მუშათა ბატალიონების დიდი სიმტკიცე, ორგანიზაციული სიმწყობრე და უდიდესი აქტივობა საომარ მოქმედებაში.

ამიერ-კავკასიის მუშები მანევრებში მხარდამხარ მიჰყვებოდნენ კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ნაწილებს, ეჯიბრებოდნენ მათ მოხერხებაში, სამხედრო მიხვედრაში, სიმტკიცეში, ამხანაობასა და დისციპლინაში.

საუცხოვოდ მუშაობდნენ წითელი ჯვრის და წითელ ნახევარმთვარის ნაწილებიც, რომელნიც გამოყოფილნი იყვნენ მანევრებში მონაწილეობისთვის. კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობა უნაკლო იყო.

მანევრებს, რა თქმა უნდა, თვალსაჩინო მატერიალური ხარჯები დასჭირდა. ეს ხარჯები კავკასიის წითელდროშოვან არმიას ხალისით მიაწოდეს არა თუ სახელმწიფოებრივმა და პროფესიონალურმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა, არამედ თვით მუშებმა და მშრომელებმაც თავიანთი პირადი ინიციატივით. უნდა ვაღიაროთ, რომ სწორედ ამ დამატებითი მატერიალური სახსრების მიღებამ მისცა საშუალება სარდლობას სათანადოთ გაეშალა მანევრების მასშტაბი და სავსებით შეესრულებია ჯარების მომზადების რთული და ძნელი ამოცანები.

წითელი არმიის მძლავრი დაკავშირება ამიერ-კავკასიის მუშებთან და მშრომელებთან, რაც მანევრების დროს განხორციელდა, მოწმობს უდიდეს მიღწევებს როგორც კავკასიის წითელდროშოვანი არმიის, ისე ამიერ-კავკასიის მუშათა და მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში.

ლენინური საკავშირო კომპარტიის (ბ) იდეური ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის ფედერაციის მშრომელნი კავკასიის წითელდროშოვან არმიასთან ერთად წარმოადგენენ მძლავრ განუყრელ ერთეულს—მჭიდროთ შეკავშირებულ ინტერნაციონალურ ოჯახს.

ამ მიმართვით კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა სახელით ვუძღვნი ღრმა და მხურვალე სალამს და ღრმა მადლობას ამიერ-კავკასიის მუშებს და მშრომელებს გაწეული დახმარების და ხელის შეწყობისათვის და მანევრებში აქტიურ მონაწილეობისათვის.

ყველა ჯურის იმპერიალისტები ცდილობენ შეაშინონ საბჭოთა ქვეყანა და სისხლის ღვარში ჩაითრიონ იგი. საბჭოთა მთავრობა, რომელიც ჩვენს ქვეყანას მართავს და, მშრომელთა ნებისყოფის თანახმად, მშვიდობიანობის პოლიტიკას ანხორციელებს, არ დაუშვებს იმას, რომ საბჭოთა დიადი ქვეყანა პროვოკაციის ანკესზე წამოეგოს. მაგრამ დაე მთელმა ბურჟუაზიამ იცოდეს, რომ მსოფლიოში პირველი საბჭოთა ქვეყანა [illegible] არ არის. წითელი არმია საკმაოდ გაწვრთნილი და მომზადებულია რევოლიუციისა და სოციალისტურ სამშობლოს დამოუკიდებლობის დასაცავად.

მაღლა აღწიეთ რევოლიუციონური საბრძოლო დროშები.

უფრო მეტად განვამტკიცოთ წითელ არმიისა და ამიერ-კავკასიის ფედერაციის მშრომელთა კავშირი!

გაუმარჯოს სოციალისტურ მშენებლობას საბჭოთა ქვეყანაში!

გაუმარჯოს წითელ არმიას და მის ბელადს—საკავშირო კომპარტიას (ბ)!

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდალი **ავქსენტიევსკი.**

დიადი დღესასწაული

დამთავრდა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მანევრები. მანევრების მიმდინარეობამ და სრულმა წარმატებამ ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რა დიდ ძალას წარმოადგენს შემადგენლობით ინტერნაციონალური, სულით მთლიანი, ბრძოლით და კლასობრივი თვითშეგნებით მტკიცედ შედუღებული წითელი მეომრების მასა.

დამთავრებული მანევრები ბრწყინვალე შემოწმება იყო არმიის როგორც მაღალი სამხედრო-ტეხნიკური მომზადების და ზნეობრივი სიმტკიცისა, ისე თვითეული წითელ არმიელის მზადყოფნისა—არმიის რიგებში მანევრების დროს ჩაბმულ მუშებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული გმირულად დაიცვას ოქტომბრის მონაპოვარნი და მათ შორის ამიერ-კავკასიის ფედერაცია, ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმური კავშირი და სოციალისტური მშენებლობა.

ამ ერთობაშია, წითელი არმიის და მშრომელების ამ მტკიცე კავშირშია საბჭოთა ქვეყნის უძლეველობა და სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების საწინდარი.

დღეს ჩვენ პატივსა ვსცემთ ლაშქრობიდან დაბრუნებულ მებრძოლთ. დღე მშრომელების და კავკასიის წითელდროშოვანი არმიის დაკავშირებისა სოციალისტური მშენებლობის ქვეყანაში არის ნამდვილი სახალხო დღესასწაული. ეს დღესასწაული ახალი ძალით დაანახვებს ქვეყანას ამიერ-კავკასიის ხალხთა ფოლადის ერთობას, მათ მტკიცე კავშირს არმიასთან, რაც ჰქმნის მის სამხედრო ძლევამოსილებას.

გაუმარჯოს კავკასიის წითელდროშოვან არმიას!

გაუმარჯოს წითელი არმიის მტკიცე კავშირს მშრომელებთან!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციის სიმტკიცეს!

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი.

კიდევ მეტი ყურადღება ქვეყნის თავდაცვას

მუშებს, მუშა ქალებს და თბილისისა მისი ოლქის ყველა მშრომელს, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის წითელარმიელებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს

ძვირფასო ამხანაგებო! ბრწყინვალედ დაამთავრა თავისი დიდი მანევრები კავკასიის წითელდროშოვანმა არმიამ. მანევრებმა ცხადჰყო არმიის უდიდესი მიღწევები, მისი სამხედრო-პოლიტიკური სიმტკიცე, მისი თავდადება პროლეტარული სახელმწიფოსათვის, მისი ფართო და უმტკიცესი კავშირი მრავალეროვნებიანი ამიერ-კავკასიის მშრომელთა მასებთან.

თბილისის თავდაცვა-ავიაქიმის მუშათა შეიარაღებული რაზმების მონაწილეობამ მანევრებში და იმ ღრმა თანაგრძნობამ, რომლითაც საქართველოს ღარიბი და საშუალო გლეხები შეხვდნენ მანევრებში მონაწილეთ, ცხადჰყო, თუ რა დაურღვეველი ძმური კავშირი არსებობს საქართველოს მშრომელებსა და კავკასიის წითელდროშოვან არმიას შორის.

უსაზღვრო ყურადღება, რომელიც გამოიჩინეს საქართველოს მშრომელებმა, და მანევრების წარმატებისათვის ხელისშეწყობა მათის მხრით ცხადად მოწმობს, რა დიდად აფასებენ ისინი წითელი არმიის დამსახურებას მენშევიკური ბატონობისაგან მათი განთავისუფლების საქმეში. ამასთან ერთად მუშებმა და გლეხებმა დაამტკიცეს, რომ იმპერიალისტური თავდასხმის საფრთხის ყოველ წუთს ისინი მზად არიან რკინისებური რიგებით შემჭიდროვდნენ თავისი არმიის გარშემო.



ხელით სასროლი ტყვიამფრქვევი

—:—

დღეს, 3 სექტემბერს, წითელი არმიის ალლუმზე თბილისის მშრომელები ერთხელ კიდევ ზეიმით გამოხატავენ თავიანთ უდიდეს სიხარულს მანევრების წარმატების გამო და შეუდრეკელ ნებისყოფას, რომ მედგრად იბრძოლონ სოციალისტური მშენებლობისათვის, რომ ყოველდღიურად იმუშავებენ წითელდროშოვანი არმიის მეომრებთან კავშირის განსამტკიცებლად, მსოფლიოში მშრომელთა ერთად-ერთი სოციალისტური სამშობლოს — საბჭოთა კავშირის—თავდაცვის განსამტკიცებლად.

თბილისის პროლეტარები, თბილისის ოლქის მშრომელი გლეხობა, რომელნიც რწმენით და გადაუხრელად მიდიან ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და კაპიტალისტურ ელემენტებზე გადამჭრელი შეტევის გზით მანევრების შემდეგ უფრო გააძლიერებენ ყურადღებას ქვეყნის თავდაცვის საქმისადმი.



კითხულობენ საველე გაზეთს

—:—

წითელი არმიის მეომრებთან მუშებისა, გლეხებისა, პროფკავშირების, კომკავშირის, ფაბრიკა-ქარხნებისა და სოფლების ყოველდღიური კავშირის გაფართოვება და განმტკიცება, მოსახლეობის გასამხედროების გაშლა თავდაცვა-ავიაქიმის ბათალიონების ენერგიული მშენებლობა, მშრომელთა მასებთან მრავალეროვნებიანი კავკასიის წითელდროშოვანი არმიის დაურღვეველი ინტერნაციონალური ძმობის განმტკიცება,—ყოველივე ეს მშრომელთა ფართო მასების ყურადღების ცენტრში იქნება.

საქართველოს კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტი და თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი მხურვალედ ულოცავს წითელდროშოვან არმიას მანევრების წარმატებით დამთავრებას, გულითად სალამს უძღვნის და უსურვებს შემდგომ წარმატებებს კავკასიის სახელოვანი წითელდროშოვანი არმიის მებრძოლთ, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს.

გაუმარჯოს კავკასიის წითელდროშოვან არმიას!

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას!

გაუმარჯოს ამიერ-კავკ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის ხალხთა ინტერნაციონალურ ერთობას!

საქართველოს კ.პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტი.

თბილისის მუშათა და გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მანევრების უკანასკნელი დღე

(მანევრების შტაბის ცნობა)

მედგარი ბრძოლის შემდეგ, რომელიც სწარმოებდა მცხეთის პოზიციების ასაღებად, ლურჯებმა ბრძოლაში ჩააბეს მთელი თავიანთი ძალა და ტეხნიკა და 31 აგვისტოს საღამოსთვის წითლებს დაატოვებინეს თავდაცვის პოზიცია. ზაქარო-ღართისკარო—გორროვანი—ძეგვი. შემდეგ მათ განაგრძეს შეტევა მცხეთის მიმართულებით, თან ცხენოსანი რაზმები წითლების მემარჯვენე ფრთას უვლიდნენ. წითლები მოერიდნენ გადამჭრელ ბრძოლას. მათ ლურჯებს დაუპირისპირეს რეგულიარული ჯარის მხოლოდ მცირე ნაწილები და თავდაცვა-ავიაქიმის მუშათა ბატალიონები და 31 აგვისტოს ღამით დაიხიეს მცხეთისა და დიღმის თავდასაცავი პოზიციებისაკენ.

1-ლ სექტემბერს ლურჯებმა განაახლეს შეტევა, მაგრამ წითლებმა კენიგორების—დიღმის მიჯნაზე, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს და შეაჩერეს ლურჯების წინსვლა. ლურჯებმა კვლავ დაიწყეს მზადება ზემოაღნიშნულ პოზიციებზე იერიშის მისატანად.

მტკვრის მარცხენა ნაპირზე კონტრ-შეტევაზე გადასულმა წითლებმა დაახევინეს ლურჯების ნაწილს, რომელიც აქ შეტევას აწარმოებდა, და ფართო მანევრების გზით შეინარჩუნეს მთა და ამით დაიცვეს თბილისი.

ამრიგად წითლებმა, ლურჯების ძალთა და საშუალებათა უპირატესობის მიუხედავად, შეასრულეს ამოცანა და შესძლეს მთავარი ძალების მისვლამდე თბილისის შენარჩუნება.

მანევრები ამით დამთავრდა. (ადს).

მზვერავი

უკანასკნელი შეტევა

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ბრძოლა სხალტის ქედზე იყო მედგარი და შეუპოვარი.

„წითლები" იბრძოდნენ თავგანწირვით, რათა „მტერს" არ ჩაეგდო ხელში მცხეთის მიდამოები, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა ადვილად გასვლა ჯერ ზაჰესში და შემდეგ თბილისში.

მაგრამ „ლურჯებმა" 31 აგვისტოს, ღამით მოხერხებულად ჩაიგდეს ხელში მცხეთა და აიძულეს „წითლები" დაეხიათ ზაჰეს-ავჭალის და დიღომის მიმართულებით.

ამავე დროს „ლურჯების" № ლეგიონმა, რომელიც მოქმედებდა ფრონტის მარჯვენა მხარეს, მტკვრის ხეობაში, გაანთავისუფლა „წითლების" ნაწილებისაგან მტკვრის ხეობა მოყოლებული ძეგვიდან სად. მცხეთამდე.

„წითლები" ლაშით იხევდნენ უკან სრული წესრიგით, დროზე იყო გამოყვანილი მათ მიერ სასურსათო ქარავნები და სხვა დამხმარე ნაწილები. წინასწარი მიღებული ზომებით „წითლებმა" თავიდან აიცილეს უკან დახევასთან დაკავშირებული უარყოფითი მხარეები, როგორიც არის პანიკა, არევ-დარევა და სხვა.

„ლურჯები" წარმატებით ანხორციელებდნენ თავის გეგმას—გასვლას თბილისისაკენ.

1-ლ სექტემბერს, დილა ადრიან, კვლავ გაჩაღდა ბრძოლა.

„ლურჯებმა" დაიწყეს შეტევა მტკვრის ორივე მხარეზე. ამ დღეს მათ ჩააბეს ბრძოლაში ცხენოსანი ნაწილები, რომლებიც აქამდე იმყოფებოდნენ ჩრდილოეთით, დუშეთის მაზრის რაიონებში და იცავდნენ ფრონტს ჩრდილოეთის მიმართულებით.

ვინაიდან „ლურჯების" მხარეზე იყო მრავალი უპირატესობა, მოსალოდნელი იყო, რომ ეს უკანასკნელი შეჯახება „ლურჯებსა" და „წითლების" შორის არ იქნებოდა ხანგრძლივი და „ბრძოლა" მალე გათავდებოდა.

მაგრამ, მოლოდინი არ გამართლდა. „ბრძოლამ" დიდ ხანს გასტანა, ვინაიდან „წითლები" ადვილად არ სტოვებდნენ თავის სიმაგრეებს, „მტერს" უწევდნენ მედგარ წინააღმდეგობას.

„ლურჯებმა" აამუშავეს ყველა თავისი იარაღი. მათი არტილერია დროზე ეხმარებოდა ქვეითი ჯარს და უკაფავდა მას გზას. ტყვიამფრქვევები ანადგურებდნენ მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალას.

„წითლების" ნაწილებიც არ ჩამორჩებოდნენ „ლურჯებს" და თავგამოდებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ახალ-ახალ რაზმებს.

„ლურჯებმა" მრავალ ადგილას სცადეს ქიმიური საშუალებების მოხმარება. ჯარის ნაწილების გადაჯგუფებისათვის გამოიყენეს ბოლის ფარდები. ბევრგან აამუშავეს ცეცხლის მფრქვევები და აიძულეს მოწინააღმდეგე [illegible] დაეხია უკან და გაეთავისუფლებინა ესა თუ ის მაღლობი და მნიშვნელოვანი პუნქტი.

ბრძოლა თანდათან ჩაღდებოდა და შებრძოლნი უახლოვდებოდნენ სადგურ ავჭალას და საბურთალოს მაღლობებს.

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე „წითლები" მიუხედავად მათ მიერ გაწეულ წინააღმდეგობისა, განდევნილ იქნენ დიღომის ველიდან საიდან გზა თავისუფალი იყო საბურთალოსაკენ.

მტკვრის მარცხენა მხარეზე, ავჭალის მიდამოებში, ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. „წითლები" თან იბრძოდნენ და ამათთან ერთად იხევდნენ უკან. აქა-იქ მათ შესძლეს კიდეც „ლურჯების" შეჩერება და მათი იერიშის მოხერხებულად მოგერიება.

იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც „წითლების" არტილერიამ მიაყენა მნიშვნელოვანი „ზიანი" მოწინააღმდეგეს.

მაგრამ, „წითლებმა" ბრძოლა წააგეს.

მათ ვერ გაუძლეს მოწინააღმდეგის ძალებს და უკან დაიხიეს.

აღებულ იქნა „ლურჯების" მიერ ავჭალის მიდამოები, რითაც მათ მიიღეს დიდი უპირატესობა.

„წითლებმა" გმირული ბრძოლით მაინც შესძლეს თბილისის ზღუდეების დაცვა „ლურჯების" მთავარი ძალების ჩარევამდე ბრძოლაში.

მ. ხუციშვილი.

ს. ავჭალა
1 აგვისტო.

პროფკავშირები—წითელი არმიის რეზერვია

წითელი არმია სამოქალაქო ომების დროს, ყველა მშრომელებთან ერთად, აწარმოებდა უდიდეს ბრძოლებს და ამ ბრძოლებში მას დახმარებას უწევდნენ მუშებისა და გლეხების ფართე მასები.

საბჭოთა კავშირის პროფესიონალური ორგანიზაციები სამოქალაქო ომების პერიოდში წარმოადგენდნენ წითელი არმიის რეზერვს.

დღეს, ომის საფრთხე გვავალებს ჩვენ მზად ვიყვეთ თავდაცვისათვის.

წითელი არმია დღეს გაცილებით საუკეთესოდ არის მომზადებული და ტეხნიკური საშუალებით შეიარაღებული.

მაგრამ, მომავალ ომებში წითელ არმიის გამარჯვება დამოკიდებული იქნება მშრომელთა ფართე მასების მონაწილეობაზე წითელი არმიის ბრძოლებში.

მშრომელი მოსახლეობის მომზადება ქვეყნის თავდაცვისათვის პროფკავშირების და ავიაქიმის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

პროფკავშირები წითელი არმიის რეზერვია.

წითელი არმიის დღევანდელ ალლუმით, რომელშიაც მონაწილეობენ თბილისის პროფ ორგანიზაციები, მთავრდება მანევრები.

დღევანდელი ალლუმი ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელთა ზეიმია.

დღეს, ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელები, წითელ არმიასთან ერთად, მაღალი ხმით დაიძახებენ:

გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების ერთგულ შრომას, მიმართულს საბჭოთა ქვეყნის თავდაცვისათვის!

გაუმარჯოს მათ ხელმძღვანელს—საკავშირო კომუნისტურ (ბ) პარტიას.

ა.-კ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმი.

მადლობა გამოეცხადა საველე სტამბის მუშაკებს

ბრძანება № 3



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

1-ლ შეერთებულ დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო.

ჩვენი პასუხი

№ 5

№ 5 შაბათი 31 აგვისტო 1929 წ. სოფელი მუხრანი

„ლურჯების" საველე გაზეთის უკანასკნელი ნომერი.

„ბრძოლის" ველზე, ზარბაზნების გრიალის და თოფის სროლის დროს, რეგულიარულად გამოდიოდა საველე გაზეთი „ჩვენი პასუხი"—პირველ შეერთებულ დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო.

რედაქციის თანამშრომლები, ასოთ-ამწყობნი და შოფერები, სტამბა მოთავსებული იყო ორ საბარგო ავტოზე) მანევრების განმავლობაში დაუღალავად მუშაობდენ, რათა დროზე მიეწოდებინათ არმიელებისათვის ერთად-ერთი საველე გაზეთი.

დივიზიის პოლიტგანყოფილებამ ღირსეულად შეაფასა „ჩვენი პასუხი"-ს მუშაობა.

31 აგვისტოს, ს. მუხრანში გამოქვეყნებულ იქნა ბრძანება დივიზიისადმი № 3, რომელშიაც დივიზიის სამხედრო კომისარი და პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. ბლუაშვილი მადლობას უცხადებს საველე სტამბის მთელ შემადგენლობას.

ბრძანებაში აღნიშნულია, რომ საველე გაზეთის გამოშვების პირველი ცდა წარმატებით იქნა შესრულებული.

გაზეთი, მიუხედავად იმისა, რომ იგი გამოდიოდა ფრიად ძნელ პირობებში, იყო შინაარსიანი, კარგი ფორმის.

ბრძანებაში მადლობა გამოეცხადა შემდეგ ამხანაგებს: პავლე მინდიაშვილს, დავით კვიცინაძეს, შალვა ალხაზიშვილს, არჩილ ლომიძეს, ალექსანდრე ჯილს, შალვა გიორგაძეს, სერგო ბლაკინს და ნიკიფორე ძუტოვს.

აღძრულია შუამდგომლობა კორპუსის პოლიტგანყოფილების წინაშე ხსენებული ამხანაგების დასაჯილდოვებლად.

წითელი არმიის ალლუმი

დღეს, 3 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, დიდუბის მინდორზე გაიმართება კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ალლუმი პროფორგანიზაციების მონაწილეობით.

ყველა მშრომელი ალლუმზე!

პარტიაში

მიუხედავად მემარჯვენე ოპორტუნისტების და ტროცკიზმის თავდასხმებისა, პარტია მტკიცედ ატარებს თავის გენერალურ ხაზს

ბოლშევიკური პარტია მომავალშიაც ივლის ლენინური გზით. ის მემარჯვენე გადახრაზე მედგარ იერიშების მიტანასთან ერთად სასტიკ პასუხს გასცემს იმ მემარცხენე ფრაზიორებსაც, რომლებიც გენერალური ხაზის დაცვის საბაბით ცდილობენ პარტიაზე მაღლა დადგომას, არყევენ პარტიის რკინისებურ დისციპლინას და აფერხებენ აშკარა მემარჯვენე ოპორტუნიზმთან ბრძოლას

მემარცხენე ფრაზიორების წინააღმდეგ

დროებითმა დაბრკოლებებმა, რომლებიც წინ ეღობებიან ძლევამოსილ სოციალისტურ მშენებლობას, წარმოშვა სხვადასხვაგვარი ანტი-ლენინური გადახრები ჩვენი პარტიის შიგნით. აღნიშნული გადახრები დროთა განმავლობაში სხვადასხვა ნიღაბით და სხვადასხვა დროშით გამოდიოდნენ, მაგრამ ძირითადი მათი ლოზუნგი— პარტიის ლენინური პოლიტიკის, ლენინური ხაზის წინააღმდეგ ბრძოლა—მუდამ უცვლელი რჩებოდა.

ტროცკისტული ოპოზიცია, რომელიც პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში იქამდე მივიდა, რომ ჯერ ანტიპარტიულ, შემდეგ კი ანტისაბჭოთა მომდინარეობადაც იქცა, დღეს უკვე საბოლოოდ ნიღაბახდილი და დამარცხებულია. პარტიული და უპარტიო პროლეტარული მასები საკუთარი თვალით ხედავდნენ ტროცკიზმის გახრწნის სურათს, მის კონტრ- რევოლიუციონურ ბანაკში გადაბარგებას.

ამჟამად ტროცკიზმი საყოველთაოდ ცნობილია, როგორც ანტისაბჭოთა კონტრ-რევოლიუციური მიმდინარეობა, მაგრამ საყოველთაო ჭეშმარიტებას წარმოადგენს ისიც, რომ ტროცკიზმის შინაგან, იდეურ და ორგანიზაციულმა გახრწნამ უმაღლეს წერტილამდე მიაღწია. ყველა ყოფ. ოპოზიციონერი, ვისაც კი შერჩენია პატიოსნება და ბოლშევიკური სინდისი, ვისთვისაც ძვირფასია პარტიის ლენინური პრინციპები, ჩამოშორდა ტროცკიზმს და ულაპარაკოთ მოვიდა პარტიასთან. ისტორიულად განწირული უმნიშვნელო ჯგუფა კი, რომელსაც წარსულშიაც ბევრი არაფერი ჰქონია პარტიასთან საერთო, დაადგა არალეგალობის გზას და საკადრისი პასუხიც მიიღო პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოებისაგან.

ტროცკისტული ე. წ. „მემარცხენე" გადახრის მზე ჩაესვენა, ეხლა ძირითად ანტიბოლშევიკურ მიმდინარეობად იქცა მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრა, რომელიც ცდილობს მარჯვნიდან [illegible] და აცვალოს პარტიის გენერალური ხაზი. პარტიის მთავარი ყურადღება დღეს ამ გადახრის წინააღმდეგ ბრძოლაზეა მიქცეული. პარტიას ერთი წუთითაც არ შეუძლია შეანელოს ეს ბრძოლა, მაგრამ მან ანგარიში უნდა გაუწიოს იმ გარემოებასაც, რომ წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიით გარემოცვის პირობებში მოსახერხებელია ტროცკიზმის ელემენტების გამოცოცხლებაც. —ამას ხელს შეუწყობს ისიც, რომ ბევრი ყოფ. ტროცკისტი, რომელიც სტოვებს თავისი გაკოტრებული მიმდინარეობის ბანაკს, ცდილობს პარტიის რიგებში შემოაპაროს ძველი ტროცკისტული აზრები.

სწორედ ამიტომ პარტიამ ძველებურად უნდა განაგრძოს ორ ფრონტზე ბრძოლა. მემარჯვენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ მთავარი მახვილის მიმართვამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს ტროცკიზმის ნამსხვრევებზე შეტევის შენელება.

განსაკუთრებით მავნებელია ის მდგომარეობა, როდესაც ზოგიერთი ამხანაგები მემარჯვენეობასთან ბრძოლის დროს ცდილობენ იყვნენ პარტიაზე უფრო მემარცხენე. ასეთ შემთხვევას კი ჰქონდა ადგილი უკანასკნელ ხანებში. ამხ. შაცკინის ცნობილი წერილი „კომსომოლსკაია პრავდა"-ში, რომელიც თითქოს პარტიულ „ობივატელშჩინის" წინააღმდეგ იყო მიმართული, აშკარად აკანონებს პარტიის ხაზიდან გადახრებს ცალკე საკითხებში. ასევე იქცევა ამხ. სტენი, რომელიც თავის წერილში ურჩევს კომკავშირელებს „საკუთარი გამოცდილებით სერიოზულად დაამუშაონ ყველა საკითხები და ამ გზით დარწმუნდნენ ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის სისწორეში".

საერთოდ კი ამხ. შაცკინისა და სტენის წერილები, ეს არის პარტიის გენერალური ხაზისადმი უნდობლობის აშკარა პროპაგანდა და წარმოადგენს ყველა ჯურის ანტი-ლენინურ ოპოზიციების მოთხოვნილებათა გადამღერებას.

ვინ მიაჩნია ამხ. შაცკინს საშიშ და არა სასურველ ელემენტად პარტიაში? „ობივატელი", მაგრამ არა ისეთი „ობივატელი", როგორიც ჩვენ დღემდე გვყავდა წარმოდგენილი.

შაცკინის აზრით „არის ჩვენს პარტიაში სხვა ჯურის „ობივატელი", რომლის ცნობა და გამომჟღავნება გაცილებით უფრო ძნელია. ძნელია იმიტომ, რომ მრავალ ძველ ადამიანს ის თითქმის სანიმუშო კომუნისტად, პარტიის იდეალურ წევრად მიაჩნია. ვიწრო და ამიტომ შემცდარათ გაგებულ კომუნისტური ეთიკის თვალსაზრისით ის მართლაც კარგად იქცევა. წარმოვიდგინოთ, რომ არ ლოთობს, თამბაქოს არ სწევს, არც იგინება. წარმოვიდგინოთ, აგრეთვე, რომ ის არა შიშის, არამედ სინდისის ქვეშ ემსახურება რევოლიუციას, მუშათა კლასს, პარტიას. მას არ გაუტია პირადი ცხოვრება, იგი მთელი თავისი ძალღონით ჩაბმულია საზოგადოებრივ მუშაობაში.

თვით ასეთი „სათნოებით" სავსე პიროვნებაც კი, თუ მასში დაბუდებულია იდეური სიმხდალის მიკრობი, შეიძლება პარტიულ „ობივატელად" იქცეს, გინდ მის წარსულს ამშვენებდეს ჰერქვეშ მუშაობის სტაჟი, კატორღა, ფრონტები".

ასე და ამრიგად, შაცკინის შეხედულებით, ბოლშევიკისათვის საკმარისი არ არის ჰერქვეშ მუშაობის სტაჟი, პარტიისა და მუშათა კლასისათვის თავდადება, რევოლიუციის სამსახურის მიზნით პირად ცხოვრებაზე უარის თქმა. ნამდვილი ბოლშევიკისათვის აუცილებელია, თურმე, კიდევ ერთი რამ: პარტიის წინააღმდეგ ბრძოლა ამა თუ იმ საკითხში.

ის რიგის წევრები, რომლებიც დავალებებს პირნათლად ასრულებენ და არასოდეს არ ებრძვიან პარტიას, შაცკინის ლოღიკით, პარტიიდან გასაძევებელია.

ამხ. შაცკინს პარტიულ „ჭაობად" მიაჩნია ასეთი „ობივატელები" და ბრალს სდებს პარტიას იმაში, რომ თითქოს იგი ამ „ჭაობს" ეყრდნობა გადახრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

რასაკვირველია, ასეთი ბრალდება უბრალო ცილისწამებაა. პარტია გადახრებთან ბრძოლაში მუდამ ეყრდნობოდა და ეყრდნობა თავის ძირითად ბოლშევიკურ შემადგენლობას, რომელსაც ვერ აფრთხობს ვერავითარი სიძნელე, და ვერც „ობივატელური" მიკრობი აავადებს.

ამხ. შაცკინისა და სტენის შეცდომებს აშკარა ტროცკიზმის სუნი უდის. ლაპარაკი ასეთი „ჭაობის" შესახებ ბევრად არ განსხვავდება იმ „ცხვრის ფარის თეორიიდან", რომელსაც ამ რამდენიმე წლის წინად ზოგიერთი ტროცკისტი ანვითარებდა.

პარტია დაუღალავად ებრძოდა და ებრძვის მის რიგებში შემოპარულ ნამდვილ „ობივატელებს", შაცკინის მიერ აღმოჩენილი „ობივატელებთან" ბრძოლას კი ის არ აპირებს. პარტია ძირითად საფრთხედ სოციალისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე მემარჯვენე ოპორტუნიზმსა სთვლის და მის წინააღმდეგ მიაქვს გაძლიერებული იერიში. მაგრამ ეს არ ნიშნავს „მემარცხენეობასთან" ბრძოლის შენელებას. ლენინური პარტია მომავალშიაც სასტიკად იბრძოლებს ტროცკიზმის ნანახებების წინააღმდეგ, ის ბოლშევიკურ პასუხს გასცემს იმ მემარცხენე ფრაზიორებს, რომელნიც ინტელიგენტურ- ბატონური კილოთი მსჯელობენ პარტიის რკინისებურ დისციპლინაზე და ფაქტიურად ხელს გვიშლიან მემარჯვენე ოპორტუნიზმთან ბრძოლაში.

ჯ—ელი.

იწონებენ ს.კ. ა. ლ. კ. კ. ცეკას დადგენილებას „კომსომოლსკაია პრავდა"-ს შესახებ

(ქვედა ვოლგის საოლქო კომიტეტის პლენუმის რეზოლიუცია)

1. საოლქო კომიტეტის და საოლქო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმების გაერთიანებული სხდომა მთლიანად უერთდება საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებას „კომსომოლსკაია პრავდა"-ს შესახებ, რომელიც მოიწონა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და გამოქვეყნებული იყო ა.-წ. 9 აგვისტოს „პრავდა"-ში.

2. საოლქო კომიტეტის და საოლქო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი, მთელს პარტიასთან ერთად, ფიქრობს რომ ამჟამად მთავარ საფრთხეს წარმოადგენს და მთავარ საფრთხედ რჩება მემარჯვენე ოპორტუნიზმი. ამავე დროს ბიურო მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა იდეოლოგიური ბრძოლა პარტიის კრიტიკასთან „მარცხნით" და ტროცკიზმის რელიქვიებთან, რა ფორმითაც არ უნდა იჩინონ მათ თავი.

3. ამხ. შაცკინის წერილი „კომსომოლსკაია პრავდა"-ში ობიექტიურად ჩქმალავს ბრძოლას პარტიის გენერალური ხაზიდან გადახრის, მათ რიცხვში იმ მემარჯვენე ოპოზიციის წინააღმდეგ, რომელიც ამჟამად მთავარ საფრთხეს წარმოადგენს და ეს ბრძოლა გადააქვს პარტიულ „ობივატელ"-ის წინააღმდეგ ბრძოლის ყალბ ნიადაგზე. მეტად უხეშ პოლიტიკურ შეცდომას წარმოადგენს აგრეთვე ამხ. სტენის მოწოდება, პარტიულ ხელმძღვანელობისადმი უნდობლობის შესახებ, აგრეთვე სხვადასხვა თეორიები ღარიბთა დამოუკიდებელი კავშირების ორგანიზაციის შესახებ (კოსტროვი და სხვ.).

4. საოლქო კომიტეტის და საოლქო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა გმობს ისეთ „მემარცხენე" შეხედულებებს, რომლებსაც მთელ რიგ საყურადღებო საორგანიზაციო და პოლიტიკურ საკითხში პირდაპირ ტროცკიზმისაკენ მიჰყავს, და მოუწოდებს ქვედა ვოლგის ყველა პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციას გადამჭრელი იდეოლოგიური ბრძოლა გამოუცხადონ მათ.

ამხ. ი. ფაბრიციუსის დაკრძალვა

სამხედრო ჰოსპიტალიდან საფლავამდე

ამხ. ფაბრიციუსის დაკრძალვის მოლოდინში თბილისი გუშინ დილიდანვე შეუდგა სამგლოვიარო მზადებას. სამხედრო ჰოსპიტალისაკენ მიდიან ამიერ-კავკასიის და საქართველოს მთავრობის წევრები, პარტიულ, პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები და წითელი არმიის ხელმძღვანელები. განსვენებულის კუბოსთან სდგას ამიერ-კავკასიის და საქართველოს მთავრობის წევრების, არმიის სარდლობის და წითელ-არმიელების, პარტიულ და პროფორგანიზაციების წარმომადგენელთაგან შემდგარი საპატიო ყარაული. დილის 11 საათიდან თბილისის ქუჩებზე, მუშათა სასახლიდან დაწყებული სამხედრო ჰოსპიტლამდე, ეწყობიან წითელი არმიის ნაწილები, ქუჩის ორივე მხარეს. სრულ 12 საათზე განსვენებულის კუბო გამოაქვთ ჰოსპიტალიდან და ასვენებენ სამგლოვიაროდ მორთულ ლაფეტზე.

კუბოს ასვენებენ ტრიბუნაზე

პროცესია გაემართა კახეთის მოედნისაკენ. კუბოს მისდევენ ამხ. მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა, ავქსენტიევსკი, ალაფუზო, გ. მგალობლიშვილი, გ. სტურუა, ბეკზადიანი, ლ. სუხიშვილი, მთავრობის სხვა წევრები, პარტიულ და პროფორგანიზაციების წარმომადგენლები, განსვენებულის ოჯახობა, ნაცნობ-მეგობრები და დიდძალი ხალხი. გზა და გზა პროცესიას ხვდება და უერთდება დიდძალი ხალხი—მუშა-მოსამსახურენი, რომლებიც სამუშაოდან პირდაპირ მიეშურებიან წითელი არმიის გმირ-ბოლშევიკისთვის უკანასკნელ პატივის საცემად.

პროცესიამ მოაწია კახეთის მოედანს. აქ გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი. 26 კომუნარის რაიონის მუშათა სახელით სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. ბედლაძე და ჩარგეიშვილი, რომლებმაც აღნიშნეს განსვენებულის დიდი ღვაწლი და დამსახურება წითელი არმიისა და მუშათა საქმის წინაშე, და ფიცი დასდეს, რომ ძირს არ დახრიან წითელ დროშას, რომელიც ასე ამაყად და შეუდრეკლად ეჭირა ხელში ამხ. ფაბრიციუსს, და ბოლომდე მიიყვანენ იმ ბრძოლას, რომლის გამარჯვებით დამთავრებისათვის მუდამ მზად იყო ამხანაგი ფაბრიციუსი და რომლისათვის ამზადებდა სახელოვან წითელ არმიას.

მიტინგის დამთავრების შემდეგ პროცესია კალიაევის დაღმართით და მუხრანის ხიდით გაემართა თავისუფლების მოედნისაკენ. რუსთაველის პროსპექტზე, ეროვნული გალერეის ბაღთან, სადაც გათხრილია განსვენებულის სამარე, პროცესია მივიდა დღის 3 საათსა და [illegible] წუთზე.

განსვენებულის კუბო მოთავსებული იქნა სპეციალურად მომზადებულ კვარცხლბეკზე. კუბოს გარშემო თავი მოიყარეს განსვენებულის ოჯახობამ, მთავრობის წევრებმა, სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და არმიის ნაწილების დელეგატებმა.

ამხ. შ. ელიავას სიტყვა

სამგლოვიარო მიტინგი გახსნა ამხ. **შალვა ელიავამ.**

სამხედრო რევოლიუციონურმა საბჭომ და კომუნისტური პარტიის ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტმა,—სთქვა ამხ. შალვამ,—დამავალა უკანასკნელად ვუთხრა — მშვიდობით—ამხანაგს, რომელიც მუდამ ჩვენთან იყო, მუდამ დარაჯად ედგა რევოლიუციას და რომელიც ახლა სამუდამოდ გვშორდება. ჩვენ ვეთხოვებით ჩვენი წითელი არმიის სიამაყეს, სამოქალაქო ომის ერთ საუკეთესო გმირს, რომელმაც თავისი უმაგალითო გამბედაობითა და თავდადებით გამარჯვება მოუპოვა პროლეტარიატს. ვასამარებთ დიდ წითელარმიელს, რომელიც მუდამ თავისი გმირული მკერდით იცავდა ერთად-ერთ პროლეტარულ სახელმწიფოს მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობას.

ამხ. ფაბრიციუსი არ ეკუთვნოდა „მაღალ" და „ბრწყინვალე" შთამომავლობას. იგი მუშის შვილი იყო და თვითონ მოჯამაგირე. ბავშვობიდანვე შეიგნო ძველი ქვეყნის უკუღმართი წყობილება და მთელი თავისი არსებით ჩაება რევოლიუციონურ ბრძოლაში. მან სიყრმიდანვე შეისწავლა სასტიკი და თავდადებული ბრძოლის წარმოება და რევოლიუციის პირველ დღიდანვე სათავეში ჩაუდგა მებრძოლ მუშათა იმ რაზმებს, რომლებისაგანაც მისი და სხვა მის თანამებრძოლთა ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ჩვენი სახელოვანი წითელი არმია. მუშათა საქმის გამარჯვებისადმი ურყევმა რწმენამ და ამ საქმისათვის თავდადებამ მას რევოლიუციონურ მებრძოლთა და წითელარმიელთა შორის მოუპოვა უსაზღვრო ნდობა და პატივისცემა. მან არ იცოდა რა არის შიში, ყოველ მომენტში თავგანწირვით იბრძოდა პირველ რიგებში და თავის მაგალითით გამარჯვების რწმენას უნერგავდა მებრძოლ არმიელებს. სამოქალაქო ომში მან დაიმსახურა იშვიათი გმირის სახელი. ერთი წუთითაც კი არ დაუტოვებია მებრძოლთა პირველი რიგები და მუდამ მზად იყო თავისი თავი მსხვერპლად მიეტანა პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებისათვის.

უკანასკნელად იგი მოიჩქაროდა ჩვენი წითელდროშოვანი არმიის მანევრებზე. უნდოდა თავისი თვალით ენახა და თვითონ შეემოწმებია ჩვენი არმიის სამხედრო მომზადება, ჩაუდგებოდა მანევრებს სათავეში და თავისი გამოცდილება და ცოდნა კიდევ გაეზიარებინა წითელ მეთაურებისათვის.

ბრმა შემთხვევამ ჩაშალა მისი გეგმა.

ამხ. იან ფაბრიციუსის სიკვდილი დიდი დანაკლისია მთელი წითელი არმიისა და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისათვის, მაგრამ ჩვენ—ბოლშევიკებს არ გვჩვევია ტირილი, ჩვენ დრო არა გვაქვს ამისათვის. ის საქმე, რომლისთვისაც ასე თავდადებული იყო განსვენებული ამხანაგი, კიდევ დიდსა და ხანგრძლივ ბრძოლას მოითხოვს ჩვენგან. ამხ. იან ფაბრიციუსის ჯერ კიდევ პირ ღია საფლავის წინ, ჩვენ ფიცსა ვსდებთ, რომ გაათკეცებული ენერგიით განვაგრძობთ იმ დიად ბრძოლას იმ საქმისათვის, რომლის თავდადებული ჯარისკაცადაც ითვლებოდა ამხ. ფაბრიციუსი.

დავკარგეთ სახელოვანი მებრძოლი, მაგრამ მის ნაცვლად მუშათა კლასი თავისი რიგებიდან წარმოშობს თავდადებულ მებრძოლთა ახალ კადრებს, რომლებიც საბოლოო გამარჯვებას მოუპოვებენ პროლეტარულ რევოლიუციას და სოციალისტურ მშენებლობას.

ამხ ავქსენტიევსკის სიტყვა

ამხ. შ. ელიავას შემდეგ სიტყვას ამბობს ამხ. ავქსენტიევსკი.

კავკასიის წითელდროშოვანმა არმიამ და მისმა რევოლიუციონურმა სამხედრო საბჭომ დამავალეს უკანასკნელად ვუთხრა „მშვიდობით" წითელი არმიის სახელოვან გმირს და ჩვენ თავდადებულ თანამებრძოლს ამხ. იან ფაბრიციუსს. განსვენებულის სიკვდილის შემდეგ ბევრი ითქვა და ბევრი დაიწერა მისი პიროვნებისა და სამაგალითო თავგანწირვის შესახებ.

იან ფაბრიციუსის სიკვდილით წითელ არმიას და მუშათა კლასს მოაკლდა ერთი საუკეთესო მებრძოლი—რევოლიუციონერი.

როდესაც, მანევრების დროს წითელდროშოვანმა არმიამ გაიგო საშინელი ამბავი თავისი საყვარელი უფროსის სიკვდილის შესახებ,—მეომრებმა განაცხადეს: ცოტაა ისეთი მებრძოლი, როგორიც განსვენებული იყო, მძიმეა ჩვენი დანაკლისი, მაგრამ პირველი ძეგლი, რომელსაც ჩვენ ავგებთ განსვენებულის ხსოვნის აღსანიშნავად, იქნება ის, რომ ჩვენ წარმატებით ჩავატარებთ მანევრებს და ამას გავუკეთებთ ჩვენს სამხედრო მომზადებას.

არმიამ თავისი დაპირება მთლიანად შეასრულა, წარჩინებით ჩაატარა სამხედრო გამოცდა, დაგვანახვა თავისი მაღალი მომზადება და სამხედრო ტეხნიკის ზედმიწევნითი ცოდნა. მანევრების დროს ჩვენ ყოველ წუთს გვახსოვდა, რომ თბილისში გველის ჩვენი ძვირფასი ამხანაგის ნეშტი, რომლის წინაშეც ჩვენ უნდა წარვმდგარიყავით და გვეთქვა, რომ ჩვენ კიდევ უფრო გავაღრმავებთ სამხედრო ცოდნას, გავაფოლადებთ ჩვენს რიგებს და მუდამ მზად ვიქნებით ჯეროვანი პასუხი გავსცეთ იმათ, ვინც ჩვენსკენ წაიწევს ბინძურ ხელებს, და თავზარი დავცეთ პროლეტარიატის კლასობრივ მტერს.

დიდია ჩვენი დანაკლისი. მაგრამ მით უმეტეს დიდია ჩვენი რწმენა, რომ მისი ხსოვნის აღსანიშნავად მუშურ-გლეხური წითელი არმია წარმოშობს ათას და ათი ათას გმირმეთაურსა და წითელ არმიელს, რომლებისთვისაც ამხ. ფაბრიციუსის ცხოვრება და თავდადებულობა მისაბაძი მაგალითი იქნება და რომლებიც თავის ერთად-ერთ მიზნად პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებას დაისახავენ.

განისვენე მშვიდათ ამხანაგო იან ფაბრიციუს! შენი ღია საფლავის წინაშე პროლეტარულ ფიცსა ვსდებთ, რომ ბოლომდე მივიყვანთ იმ დიდ საქმეს, რომლისთვისაც შენ მუდამ პირველ რიგებში იბრძოდი.

—:—



ამხ. შალვა ელიავა სიტყვას ამბობს საფლავთან

პირველი ქართული დივიზიის სახელით სიტყვა წარმოსთქვა არმიელმა ლატარიამ, საქართველოს პროლეტარიატისა და მთავრობის სახელით—ამხ. გ. სტურუამ, ბელორუსიის არმიის სახელით მეთაურმა კოტოსკინმა, საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის სახელით ამხ. **გ. დევდარიანმა**, შავი ზღვის წითელი ფლოტის სახელით ამხ. სტეპანჩენკომ, სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრ. კომიტეტის და სომხეთის მთავრობის სახელით ამხ. **სარქისიანმა**, ლენინის რაიონის მუშათა სახელით ამხ. **ლორთქიფანიძემ**, სომხეთის ცხენოსანი ჯარის სახელით ამხ. **სარქისიანმა**, კასპიის ზღვის წითელი ფლოტის სახელით ამავე ფლოტის უფროსმა ამხ. **გალკინმა**, ვილნოს ოლქის არმიის სახელით ამხ. **პაპინანსკიმ**, ამიერ - კავკ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების საბჭოს სახელით ამხ. **იურჩენკომ**, ბაქოს მუშათა სახელით ამხ. **ნიკიტინმა** და ქვეითი ჯარის ამიერ-კავკ. სამხედრო სკოლის კურსანტთა სახელით ამხ. **კასიპოვმა**.

მიტინგის დამთავრების შემდეგ ამხ. ფაბრიციუსის კუბო საფლავამდე მიასვენეს მთავრობის წევრებმა და მისმა უახლოესმა მეგობრებმა.

სრულ ექვს საათზე ამხ. ფაბრიციუსის კუბო ჩაასვენეს საფლავში, რომელზედაც დახრილი იყო დიდძალი წითელი დროშები. არმიის ნაწილებმა სამხედრო პატივისცემის ნიშნად მისცეს სამმაგი სალიუტი.

მეგობარს და თანამებრძოლს

ამხ. ფაბრიციუსის დაღუპვა მძიმე დანაკლისია მუშურ-გლეხური წითელი არმიისათვის. ამხ. ფაბრიციუსი იმ წითელ მეთაურთა მცირე რიცხვს ეკუთვნოდა, რომელნიც თავიანთი პიროვნებაში აერთიანებენ მეთაურის იშვიათ თვისებებსა და ძველ ბოლშევიკურ გამობრძმედილობას. უტყუარმა ბოლშევიკმა ლენინელმა, მან მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა თავის მშობლიურ წითელ არმიას, რომელთანაც ის პატიოსნად იბრძოდა პროლეტარიატის საქმისათვის.

განსვენებულის დამსახურება რესპუბლიკამ აღნიშნა უმაღლესი პროლეტარული საჩუქრით—წითელი დროშის ორდენებით, დროშის, რომლის ოთხი ნიშანი მას მკერდს უმშვენებდა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამხ ფაბრიციუსის არსებას შეადგენდა გმირობა და პროლეტარული საქმის განუყრელი სამსახური, ხოლო საუკეთესო საჩუქრად მას მიაჩნდა ის ბედნიერება, რომელიც მას წილად ხვდა: ცხოვრება და ბრძოლა პროლეტარიატის უდიდესი საქმისათვის—სოციალიზმისათვის.

უბედურმა შემთხვევამ გამოგვტაცა ეს იშვიათი ადამიანი, პროლეტარული მებრძოლი და მეთაური. საჭიროა ამ დანაკლისის შევსება, და იგი შევსებული იქნება ახალგაზრდა პროლეტარული რევოლიუციონერებით—მეთაურებით, რომელთაც უნდა ისწავლონ და აუცილებლად შეისწავლონ ცხოვრება და ბრძოლა ჩვენი საქმისათვის ისე, როგორც ცხოვრობდა და იბრძოდა ჩვენი ერთგული მეგობარი და თანამებრძოლი ამხ. ფაბრიციუსი. განისვენე, მშვიდობით ამხანაგო.

კ. ვოროშილოვი.

დავაჩქაროთ ხუთწლიანი გეგმის შესრულება

მრეწველობის, ვაჭრობის და სახ. აპარატის გადასვლა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე

განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლა საშუალებას მოგვცემს დავაჩქაროთ ხუთწლიანი გეგმის შესრულება — გადასვლა მოხდება მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების სრული დაცვით. — მიღებულ იქნება ზომები მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრებით და კულტურულ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმის შესაგუებლად მუშაობის ახალ წესებთან.

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

მუშათა კლასისა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების წინაშე საბჭოთა კავშირის სამეურნეო და სოციალისტური მშენებლობის უდიდესი ამოცანები დგანან. ეს ამოცანები დასახულია სახალხო მეურნეობის ხუთწლიან გეგმაში, რომელიც საბჭოების მეხუთე ყრილობამ დაამტკიცა. ამჟამად ისახება ამ გეგმის მრავალი ნაწილის შესრულების დაჩქარების შესაძლებლობა. ამ შესაძლებლობებს ჰქმნის მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და თვითმოქმედების ზრდა, რამაც განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულება მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჰპოვა, და გეგმიანობის განმტკიცება ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მშენებლობაში.

მუშათა კლასის სოციალისტური შეგნების ზრდა და უკვე მიღწეული წარმატებანი, 7 საათის სამუშაო დღის შემოღებასთან ერთად, ამჟამად იძლევიან იმის საშუალებას, რომ სოციალისტური მშენებლობის საქმეში გადავდგათ ახალი დიდი ნაბიჯი—შემოვიღოთ საბჭოთა კავშირის საწარმოებსა და დაწესებულებებში განუწყვეტელი წარმოება.

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ განუწყვეტელი წარმოების შემოღება, იძლევა რა დასვენების არსებული ნორმების დაცვის გარანტიას, ამავე დროს გაადიდებს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ძლიერებას, უზრუნველჰყოფს არსებული მოწყობილობის საუკეთესო გამოყენებას, შეამოკლებს ახალი მშენებლობის ვადებს და ძველი ფაბრიკებისა და ქარხნების რეკონსტრუქციის ვადებს, მოგვცემს მრეწველობის გაფართოვების დამატებით შესაძლებლობებს და ამით გამოიწვევს მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვის დამატებით და თვალსაჩინო ზრდას.

სახალხო კომისართა საბჭო მხედველობაში იღებს აგრეთვე იმას, რომ ყოველივე ეს ჰქმნის ახალ თვალსაჩინო შესაძლებლობას იმისათვის, რომ უფრო ფართოდ დაკმაყოფილდეს მუშათა და გლეხთა მოთხოვნილება სამრეწველო საქონელზე, აგრეთვე უფრო გაუმჯობესდეს მუშათა კლასის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე. ყოველივე ზემოხსენებულის მიხედვით, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ 1929—1930 სამეურნეო წლიდანვე დაიწყოს საწარმოთა და დაწესებულებათა გეგმაშეწონილი და თანდათანობითი გადაყვანა განუწყვეტელ წარმოებზე.

2. საწარმოებსა და დაწესებულებებში განუწყვეტელი წარმოების შემოღება უნდა მოხდეს ისე, რომ სავსებით დაცულ იქნას საწარმოში და დაწესებულებაში ჩაბმულ მუშათა და მოსამსახურეთა ინტერესები. კერძოდ, მას შემდეგაც, რაც საწარმო და დაწესებულება განუწყვეტელ წარმოებაზე გადავა, არც ერთ მუშას და მოსამსახურეს არ უნდა შეუმცირდეს დასასვენებელი დღეების საერთო რიცხვი წელიწადში და არ უნდა გაუდიდდეს სამუშაო საათების საერთო წლიური რიცხვი.

3. დაევალოს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას:

ა) საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან, საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან, გზათა სახალხო კომისარიატთან, საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატთან, ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატთან, მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებთან და კოოპერატიულ ცენტრებთან შეთანხმებით და სათანადო პროფესიონალური ორგანიზაციების მოზიდვით, შეიმუშაოს საწარმოთა და დაწესებულებათა 1929—30 წელს განუწყვეტელ წარმოებაზე გადაყვანის გეგმა ამასთან მხედველობაში იქონიოს, რომ განუწყვეტელ წარმოებაზე პირველ რიგში გადაყვანილ უნდა იქნან:

1) სათბობის, ნედლეულის, საშენებელი მასალის მომპოვებელი და ენერგიის გამომმუშავებელი საწარმოები და ყველა მშენებლობა (სახელმწიფო კოოპერატიული და საზოგადოებრივი), კერძოდ, ახალი რკინის გზების, სანაოსნო და [illegible] გზების მშენებლობანი;

2) დამმუშავებელი მრეწველობის ის საწარმონი, რომელნიც შეიძლება უზრუნველყოფილ იქნან მარაგებითი ნედლეულით და სათბობით. უნდა განხორციელდეს 1-ლ პუნქტში აღნიშნული საწარმოთა პროდუქციის გადიდება 1929—1930 წელსვე, რასაც შედეგად მოჰყვეს ხსენებულ საწარმოთა განუწყვეტელ წარმოებაზე გადაყვანას.

3) დანარჩენ საწარმოთა ცალკე საამქროები და განყოფილებები, რომელთა დაჩქარებით გაფართოვება განსაკუთრებით საჭიროა;

4) დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები და კომერციული ოპერაციები ტრანსპორტზე;

5) ხე-ტყის დამზადება;

6) სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა საბითუმო და საცალო ვაჭრობა ქალაქებში და მუშათა უბნებში;

ბ) სახალხო მეურნეობის 1929—1930 წლის საკონტროლო ციფრებში გაითვალისწინოს ის ცვლილებები, რომლებსაც გამოიწვევს განუწყვეტელი წარმოების შემოღება, ამ მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნულ გეგმასთან შეთანხმებით.

4. ვინაიდან სამუშაო დღეების წლის განმავლობაში უფრო თანაბარი განაწილება, რაც დაკავშირებულია განუწყვეტელი წარმოების შემოღებასთან, უზრუნველჰყოფს უფრო მეტ შესაძლებლობას დასვენების გამოყენებისათვის მუშათა კლასის კულტურულ საყოფაცხოვრებო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, წინადადება მიეცეს მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებს, საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატს, საკავშირო პროფსაბჭოს—საზრუნოდ წარმოუდგინონ საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავიანთი წინადადებები იმ დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი ორგანიზაციის შესახებ, რომელნიც ემსახურებიან განუწყვეტელ წარმოებაზე გადასულ საწარმოებსა და დაწესებულებებში ჩაბმულ მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილებას და ამ წინადადებათა განხორციელებისათვის საჭირო სახსრების შესახებ.

5. დაევალოს საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატს და საკავშირო პროფსაბჭოს—1929 წლის 20 სექტემბრისათვის წარმოუდგინონ საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს წინადადებანი:

ა) როგორც დასასვენებელ დღეთა რიცხვის, ისე მათი განაწილების შესახებ; ამასთან უზრუნველყოფილ უნდა იქნას მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა საუკეთესო დაკმაყოფილება;

ბ) ის ცვლილებანი, რომელთა შეტანაც შრომის შესახებ არსებულ კანონმდებლობაში საჭირო ხდება საწარმოთა და დაწესებულებათა განუწყვეტელ წარმოებაზე გადაყვანის გამო.

6. დაევალოს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—დაამუშაოს საკითხი იმ ზომების შესახებ, რომ გაძლიერებულ იქნას განუწყვეტელ წარმოებაზე გადაყვანილ საწარმოთა უზრუნველყოფა ინჟინერ-ტეხნიკოსთა კადრებით, რაც განსაკუთრებით იმით უნდა განხორციელდეს, რომ ეს კადრები გადაყვანილ იქნან დაწესებულებებიდან წარმოებაში, და წარმოუდგინოს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს წინადადებანი, რომელთაც ესაჭიროება დამტკიცება საკანონმდებლო წესით.

7. ვინაიდან განუწყვეტელ წარმოებაზე გადასვლა განსაკუთრებით რთული და ძნელი საქმეა და ამ უმნიშვნელოვანესი ღონისძიების გატარებას მუდმივი მეთვალყურეობა და კონტროლი ესაჭიროება, შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან შექმნას მთავრობის კომისია საწარმოთა და დაწესებულებათა განუწყვეტელ წარმოებაზე გადასაყვანად. კომისიის თავმჯდომარედ იქნება საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე, ხოლო წევრებად: საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის, გზათა სახალხო კომისარიატის, საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის, საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო ვაჭრობის, სახალხო საკავშირო პროფსაბჭოს, კომუნისტური აკადემიის, მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატების (მათი ურთიერთ შეთანხმებით) და მოსკოვის და ლენინგრადის საბჭოების წარმომადგენელნი.

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ი. რუძუტაკი.

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე
ი. მიროშნიკოვი.

გლეხთა ინიციატივის და თვითმოქმედების გაძლიერება

უზრუნველჰყოფს შემოდგომის თესვის წარმატებით ჩატარებას

გარე-კახეთის გლეხობა მოითხოვს შემოდგომის თესვის გეგმის მთლიანად შესრულებას და აგრომინიმუმის 100 პროცენტით განხორციელებას. — გლეხობა მოითხოვს აგრეთვე იმ პირების დასჯას, ვინც ხელს შეუშლის თესვის წარმატებით ჩასატარებლად დასახულ ღონისძიებათა გატარებას.

გარე-კახეთის გლეხობა მოითხოვს გეგმის 100 პროცენტით შესრულებას

გარე-კახეთის სოფლებში შემოდგომის თესვის მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტმა მიავლინა ამხ. თენიეშვილი, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა მივლინებიდან და ჩვენს თანამშრომელს სართიჭალა-საგარეჯოს რაიონში ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობის შესახებ შემდეგი აცნობა:

საშემოდგომო თესვასთან დაკავშირებით სართიჭალა-საგარეჯოს თემებში უპირველეს ყოვლისა მოწვეული იქნა ადგილობრივი სათემო კომიტეტების გაფართოებული სხდომა, რომელზედაც ვრცლად გაშუქდა აღნიშნული კამპანიის მნიშვნელობა და ამოცანები. ამავე სხდომებზე შემუშავდა კალენდარული გეგმა თესვისათვის მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად, თემები დაიყო სამომხმარებლო პუნქტებათ და საერთოდ დასახული იყო ყველა ღონისძიებანი თესვის წარმატებით ჩასატარებლად. კამპანიის ჩატარების მიზნით პუნქტებზე მიმაგრებული იყო პასუხისმგებელი ამხანაგები. თესვის ხელისშემწყობ კომისიამ თავის სხდომაზე დეტალურად განიხილა ცირკულიარები და დადგენილებანი შემოდგომის თესვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, გამომუშავდა აგრომინიმუმი და კომისიის სამუშაო გეგმა. თემებში ცალ-ცალკე მოწვეული იყო პუნქტებზე მიმაგრებული ამხანაგების თათბირი, რომელთაც განემარტა საინსტრუქციო მასალები, მუშაობის საერთო ხაზი, რომ მათ ყოველმხრივი საშუალება მისცემოდათ საკითხის ფართოდ გაშუქებისათვის. ამის შემდეგ თესვის საკითხები გადატანილი იქნა უჯრედისა და ღარიბეს გლეხთა კრებებზე, რომელზედაც დაწვრილებით დამუშავდა საშემოდგომო თესვის, აგრო-რწმუნებულების და აგრომინიმუმის საკითხები. განხილული იქნა აგრეთვე თესვის ხელისშემწყობ კომისიის სამუშაო გეგმა და აგრომინიმუმი. პუნქტებზე მოხდა აგრო-რწმუნებულების კანდიდატების შერჩევა დებულების მიხედვით. საჭირო მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შემდეგ მოწვეული იყო გლეხთა სასოფლო კრება. სართიჭალის თემში არჩეული იქნა 32 აგრო-რწმუნებული, საგარეჯოში 40; ზოგიერთ პუნქტებზე დაისწრო გლეხობის მცირე რაოდენობა, იმ მიზეზით, რომ გლეხობის უმრავლესობა გასულია სამუშაოთ მინდვრათ. კრებების მოწვევა გვიხდებოდა საღამოობით და კვირა-უქმე დღეებში. ეს გარემოება დიდათ აფერხებდა და ხელს უშლიდა თესვის კამპანიის მიმდინარეობას. მიუხედავად ამისა, კრებებზე დამსწრე გლეხები შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის 40—45 პროცენტს. კრებაზე დამსწრე გლეხები საშემოდგომო თესვის საკითხების განხილვაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. ისინი მოითხოვდნენ, რომ საშემოდგომო თესვის გეგმა და აგრომინიმუმი მთელი ასი პროცენტით იქნეს გატარებული ცხოვრებაში, რისთვისაც საჭიროთ აღიარებდნენ, რომ ადგილობრივ საბჭოს მიერ გამოტანილ იქნას სავალდებულო დადგენილება, რომლითაც გათვალისწინებული უნდა იყოს ერთგვარი სასჯელი მათ მიმართ, ვინც ხელს შეუშლის თესვისათვის დასახულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას. საგარეჯოს თემში ადგილობრივ ორგანიზაციების და გლეხობას მიერ დაისვა საკითხი მანქანა-იარაღების გაერთიანების შესახებ. ეს საკითხი გადატანილი იქნა კოლექტივების გამგეობის სხდომაზე, რომელზედაც მიიღეს დადგენილება მანქანა-იარაღების გაერთიანების შესახებ. ამ მიზნით გამოიყო სათემო-სამანქანო ამხანაგობა, რომელსაც დაევალა თემში არსებული სამეურნეო იარაღების აღნუსხვა და მათი რაციონალურად გამოყენება თესვის ხელისშემწყობ კომისიასთან შეთანხმებით. მანქანა-იარაღები ჩვენს მიერ დათვალიერებული იყო ადგილობრივად და შემუშავდა დღიური ნიხრი. საგარეჯოს თემში ამჟამად არსებობს რვა კოლექტიური მეურნეობა, რომელშიაც გაერთიანებულია 120 ღარიბი და საშუალო გლეხი. სართიჭალის თემში არსებობს ორი კოლექტივი. უნდა აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობანი ვერა სდგანან თავის სიმაღლეზე, ისინი განიცდიან მატერიალურ სივიწროვეს და მანქანა-იარაღების დიდ ნაკლებობას. საგრძნობლად მოისუსტებს კოლექტივებზე ცენტრის მიერ ხელმძღვანელობა. არც ერთხელ არა ყოფილა შემთხვევა, რომ ცენტრიდან წამოსული ყო ინსტრუქტორი კოლექტივების დასათვალიერებლად და მათთვის საჭირო რჩევა-დარიგების მისაცემად. ამ მიმართულებით საჭიროა მეტი ენერგიის გამოჩენა კოლმეურნეობათა ცენტრის მიერ.

პოლიტგანმანათლებელი ორგანოები აქტიურად უნდა ჩაებან საშემოდგომო თესვის კამპანიაში

შემოდგომის თესვასთან დაკავშირებით თბილისის პოლიტგანმა ცირკულიარული წერილი დაუგზავნა ადგილებს, რომელშიაც ნათქვამია, რომ საგაზაფხულო თესვის კამპანია იყო ერთი რგოლთაგანი სოფლის მეურნეობის განვითარების 5-წლიანი გეგმის განხორციელების საქმეში. ასეთივე მნიშვნელობისაა საშემოდგომო თესვის კამპანია, რომლისათვისაც მოსამზადებელ მუშაობას სასწრაფოდ უნდა შეუდგნენ სოფლის საპოლიტგანმანათლებლო დაწესებულებანი. მოსამზადებელ მუშაობას უნდა უსწრებდეს საგაზაფხულო თესვის კამპანიის მიღწევებისა და ნაკლოვანებების დაწვრილებითი შესწავლა. ამისათვის საჭიროა შეკრებილი და შესწავლილი იქნას შემდეგი ცნობები: რამდენად გაიზარდა საგაზაფხულო ნათესი ფართობი და მოსახლეობის რომელ ფენის ანგარიშზე მოხდა ეს გაფართოება, აღრიცხული უნდა იქნას მუშაობა თესლეულის დახარისხების და გაწმენდის გარშემო. საჭიროა მომქმედ დახარისხებლების და ტრიერების აღრიცხვა; გამორკვეული უნდა იქნას, თუ რა დახმარება ეწეოდა ღარიბ და საშუალო გლეხობას ადგილობრივ საბჭოთა და კოლმეურნეობათა მხრივ. უნდა გამოირკვეს პოლიტგანდაწესებულებების სამოქმედო რაიონში არსებული სამეურნეო მანქანები და იარაღები და მოთხოვნილება მათზე საშემოდგომო თესვის დროს; გამორკვეული უნდა იქნას, თუ რაში გამოიხატა საგაზაფხულო თესვის პერიოდში საპოლიტგანმანათლებლო დაწესებულებებს მუშაობა ღარიბ და საშუალო გლეხობის დახმარების საქმეში.

გაზაფხულის თესვის გამოცდილებათა ნიადაგზე პოლიტგანორგანოებმა უნდა შემოიკრიბონ დაწესებულების ირგვლივ ღარიბ და საშუალო გლეხთა აქტივი. საშემოდგომო თესვის ჩატარების ყველა ღონისძიებანი უნდა ატარებდეს კლასობრივ ხაზს. საჭიროა საპოლიტგანმანათლებლო აქტივთან ერთად დამუშავდეს თემ-საბჭოს მიერ შედგენილი საშემოდგომო თესვის გეგმა. აღნიშნულ გეგმის მიხედვით უნდა შესდგეს პოლიტგანორგანოს მონაწილეობის გეგმა, რაც უნდა შეეთანხმდეს და შეეფარდებოდეს პარტიულ, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციების გეგმას. უნდა გამოიყოს და მიმაგრებულ იქნას სამკითხველოს, სამოქმედო რაიონის სხვადასხვა უბნებზე პოლიტგან-საბჭოს აქტიური წევრები აგრო-რწმუნებულების დასახმარებლად. სამკითხველომ აგრონომთან ერთად უნდა დაამუშაოს და დაურიგოს აგრო-რწმუნებულთ და აქტივისტებს ცნობარი, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს: ჯიშიანი თესლის რაოდენობის შესახებ, საშემოდგომო თესვის დრო და ვადები, რაოდენობა მინერალური სასუქის, რომელიც საჭიროა სათესი ფართობის განსაზღვრულ ერთეულისათვის, ცნობები ადგ. სასუქ. ნივთიერებათა მოხმარების და გამოყენების შესახებ, ცნობები კონტრაქტაციის და საკრედიტო ღონისძიებათა ირგვლივ და სხვ.

სამკითხველოებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ თესვის კამპანიასთან დაკავშირებულ საკითხებზე გამოცემულ ლიტერატურის გავრცელებას გლეხებში. პოლიტგანმუშაკებმა უნდა აწარმოონ ბრძოლა ცენტრალურ პრესის, კედლის გაზეთების და სხვათა საშუალებით მომმარაგებელ ორგანოების (გამქირავებელი პუნქტები, სათესლე ამხანაგობანი და სხვ.) ბიუროკრატიულ განწყობილების წინააღმდეგ. სამკითხველოებმა უნდა ჩაატარონ ფართე განმარტებითი კამპანიები გაწმენდილ და დახარისხებული თესლის სარგებლიანობის შესახებ. საშემოდგომო თესვის სამზადისში გამოყენებული უნდა იქნას სამხატვრო წრეები (სახვითი, მუსიკალური, დრამატიული და სხვ.), უნდა მოეწყოს წარმოდგენები, აგიტ-კასამართლებები, კინო-სეანსები და სხვ აგრო-საკითხთა ირგვლივ.

500.000 ფუთი სათესლე მასალა

თესვის ჩამტარებელ რესპუბლიკანური კომისიის ცნობით, შემოდგომის თესვის კამპანიისათვის თესვის ჩამტარებელმა კომისიამ ამიერ-კავკასიისთვის გამოჰყო 500.000 ფუთი სათესლე მასალა. ამ რაოდენობიდან საქართველოსთვის გამოყოფილია 120.000 ფუთი ხორბალი და 80.000 ფუთი ჭვავი. აღნიშნული სათესლე მასალა უმთავრესად მიეცემა კოლექტიურ მეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს, ნაწილი მიეცემა აგრეთვე ინდივიდუალურ მეურნეობათაც.

ხორბალი რაიონებს შორის განაწილებულია შემდეგნაირად: თელავს მიეცემა—5.000 ფუთი, წნორის წყალს—35.000 ფუთი, მელაანს—5000 ფ. ბადიაურს—6.000 ფუთი, სართიჭალას—5000 ფ. საგარეჯოს—5.000 ფუთი, გომს—15.000 ფუთი, გორს — 6.000 ფუთი, სამხრეთ-ოსეთს —5.000 ფუთი, ახალციხეს—2.000 ფ., თბილისის რაიონს—5.000 ფ., კასპის რაიონს—8.000 ფ. და ხაშურის რაიონს 5.000 ფუთი, ჭვავის სათესლე მასალა განაწილებულია შემდეგნაირად: ნაგომარის რაიონს—8.000 ფუთი, ჩოხატაურის რაიონს—4.000 ფუთი, ოზურგეთის რაიონს—4.000 ფუთი, აბაშის რაიონს—8.000 ფუთი, სენაკის რაიონს—9.000 ფუთი და ზუგდიდის რაიონს—49.000 ფუთი.

აღნიშნული სათესლე მასალა გადაგზავნილი იქნეს იმ ვარაუდით, რომ ადგილებმა მიიღონ 15—20 სექტემბრისათვის.

აეროპლანი „იან ფაბრიციუსი“

მშრომელი ქალები ფულს აგროვებენ ი. ფაბრიციუსის სახელობის აეროპლანის ასაგებათ

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მუშათა და გლეხ ქალთა განყოფილების მუშაკებს აეროპლან „იან ფაბრიციუს“-ის ასაგებათ შეაქვთ 120 მანეთი და იწვევენ: მარიამ ორახელაშვილს, ჯაფარიძეს (ცენტრ. საკონტრ. კომ.), ალაჯალოვს (ა.-კ. საოლქ. კომ.), შავერდოვას, ტაგიევას, ზურაბიანს, შიუკაშვილს, ჯიბუტს, მგელაძეს (საქ. ცაკი), თალაკვაძეს, ჭყონიას, ქვიანოვას, ჩერქეზიშვილს (საქ. პროფსაბჭო), მიხაილოვას (თამბაქოს ფაბრიკა), გრიგორიანს („მკერავი“), ენუქიძეს (სოც. უზრ. კომ.), ჯალაღანიას, კაპანაძეს (მიწსახკომ.), აზერბეიჯანის და სომხეთის კომპარტიების ცენტრ. კომიტეტების ქალთა განყოფილებებს, კახეთის, გორის და ქუთაისის საოლქო კომიტეტების, ზუგდიდის, სენაკის, ახალციხის, ახალქალაქის და ოზურგეთის სამაზრო კომიტეტების, აჭარისტანის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტების მუშათა და გლეხ-ქალთა განყოფილებების გამგეებსა და ქალთა სექციების თავმჯდომარეებს.

ფულს იღებს სპეციალური კომისია ჟურნალ „მშრომელ ქალი“-ს რედაქციასთან (რუსთაველის პრ. № 23).

ერთი დღის ხელფასი იან ფაბრიციუსის სახელობის აეროპლანის ასაგებათ

საქ. ქიმიკოსთა კავშირის მესამე ადგილკომში (თბილისი) შემავალ მუშა-მოსამსახურეთა კრებამ ამხ. რ. ლალოიანცის მოხსენების შემდეგ დაადგინა ამხ. ი. ფაბრიციუსის ხსოვნის აღსანიშნავად გადასდონ ერთი დღის ხელფასი მისი სახელობის აეროპლანის ასაგებათ და იწვევენ თბილისის წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებს.

ნ. ჩ—ლი.

სესხის რეალიზაცია წარმატებით მიმდინარეობს

გამოვასწოროთ დეფექტები, რომლებიც სესხის რეალიზაციის დროსაა შემჩნეული

თბილისში ჩამოვიდა საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებული ამხ. ა. სევალდეევი, რომელიც გაეცნო ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის კამპანიის მიმდინარეობას და საერთოდ სახელმწიფო კრედიტების საქმის მიმდინარეობას ამიერ-კავკასიაში.

ჩვენ თანამშრომელთან საუბარში ამხ. სიაოლდეევმა განაცხადა:

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის კამპანიის და რეალიზაციის ტემპი ამიერ-კავკასიაში დამაკმაყოფილებელია. უკვე მიღებული ცნობების მიხედვით ხელის მოწერამ (20 აგვისტოსათვის) გადააჭარბა 20 მილიონ მანეთს და ამრიგად უკვე დაფარულია საკონტროლო ციფრის ორი მესამედი.

კამპანია შედარებით სუსტად მიმდინარეობს სოფლებში. შემჩნეულია, რომ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის სიმძიმის ცენტრი ადგილობრივ მუშაკებსა და ორგანიზაციებს გადააქვთ ქალაქებზე, სადაც მშრომელი მასა უფრო შეკავშირებულია და ამრიგად უფრო ადვილია კამპანიის ჩატარება. ეს უსათუოდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ჩვენი გლეხობა ნაკლებად არის ჩაბმული სახელმწიფო კრედიტების საქმეში და ამ მხრივ მისი ბიუჯეტი შედარებით ნაკლებ არის დატვირთული. სწორედ ამიტომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ საჭიროდ სცნო, რომ ინდუსტ. მესამე სესხის რეალიზაციის დროს მთავარი ყურადღება მიქცეოდა სოფელს.

დეფექტად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებებში გამოაქვთ დადგენილებები სესხზე თვენახევრის ან ორი თვის ხელფასის რაოდენობით ხელის მოწერის შესახებ, რასაკვირველია, სასურველია, რომ მშრომელებმა მთელი თავისი თავისუფალი თანხები მოათავსონ სესხში, მაგრამ ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ ჩვენი მუშა-მოსამსახურეთა ბიუჯეტი საკმაოდ დატვირთულია და მისი ზედმეტად დატვირთვა მხოლოდ და მხოლოდ მავნებელია. ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ცენტრალური მთავრობა, როდესაც კამპანიის ძირითად ლოზუნგად წამოაყენა: „ერთი თვის ხელფასი ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხს“. სესხის რეალიზაციის დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ზიანი არ მივაყენოთ არც სახელმწიფო კრედიტს და არც მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ მდგომარეობას.

სესხის ხელისშემწყობ ამიერ-კავკ. კომისიის სხდომა

სახელმწიფო სესხების ხელისშემწყობ ა.-კ. ცენტრალური კომისიის სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის კამპანიის მიმდინარეობის შესახებ.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, ქალაქებში კამპანია დამთავრდება სექტემბრის დამლევს და შემდეგ მთელი ძალები გაგზავნილი იქნება სოფლად. ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაცია საკმაო მონაწილეობას არ იღებს კამპანიაში. ცენტრიდან დაგვიანებით მოდის საგიტაციო მასალა. ადგილებზე არ მოიპოვება საკმაოდ მომზადებულ მომხსენებელთა კადრები. სოციალისტური შეჯიბრება ყველგან არ არის საკმაოდ გაშლილი და სხ.

კომისიამ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ კომისიებს: გადამჭრელი ზომები მიიღონ შენიშნულ დეფექტების აღმოსაფხვრელად; გაძლიერებული იქნეს ადგილებისთვის საგიტაციო ლიტერატურის მიწოდება ნაციონალურ ენებზე, მომზადდეს მომხსენებელთა საკმაო კადრი და მიღებული იქნეს ზომები სოფლად კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად. პურის დამამზადებელ რაიონებში გასაღებული უნდა იქნეს 1.500.000 მან. ობლიგაცია.

შემდეგ განხილული იქნა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების კოლექტიურად შენახვის საკითხი. გამოირკვა, რომ ზოგიერთმა კოლექტივმა (თბილისის ტრამვაი, „ზაკგრესი“ და რკინის გზის სახელოსნოების ნაწილი) გამოიტანა დადგენილება ობლიგაციების აუცილებლად კოლექტიურად შენახვის შესახებ და მუშა-მოსამსახურეები ვალდებული გახადეს იშუამდგომლონ კოლექტივის წინაშე ობლიგაციების დაგირავების ან გაყიდვის შესახებ, საჭიროების დროს რაც აუცილებლად ატარებს ფარული იძულების ელემენტს. ზოგიერთ კოლექტივში შემოიღეს ყველა მუშა-მოსამსახურეთა გამოკითხვა, თუ სად წაიღეს მათ შეძენილი ობლიგაციები და ფიქრობენ ამ ცნობების მხედველობაში მიღება აპარატის წმენდის დროს.

კომისიამ დაადგინა, რომ ასეთ არანორმალურ მოვლენებს შეუძლია დეზორგანიზაცია შეიტანოს სესხის რეალიზაციის საქმეში და გააძნელოს ახალი სესხის რეალიზაცია. ამიტომ ადგილობრივ ორგანიზაციებს წინადადება მიეცა მთლიანად დაიცვან სესხის შეძენის, დაგირავება-გაყიდვის სრული თავისუფლება და არამც და არამც არ დაუშვან იძულების აშკარა ან ფარული ზომები.

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარმა კანტორამ შეიძინა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის 1.000 (ათასი) მანეთის ობლიგაციები.

ვადაგადასული სესხების აკრეფა

მთელ რიგ საკრედიტო ამხანაგობებმა მთლიანად დაფარეს დავალიანება

საქართველოს სასოფლო სამეურნეო ბანკის ცნობით, ვადაგადასული სესხების აკრეფა წარმატებით მიმდინარეობს. გუშინდლამდე ბანკს ადგილებიდან მიღებული ჰქონდა 54.045 მ. ვადაგადასული სესხი. დავალიანება მთლიანად დაფარეს შემდეგმა ამხანაგობებმა: ლაგოდეხის ამხანაგობამ — 4.000 მანეთი, წითელი წყაროს ამხანაგობამ — 2.000 მანეთი, ასურეთის ამხანაგობამ — 2.000 მანეთი, შაუმიანის — 3.000 მან., გორის — 8.000 მანეთი, სართიჭალის — 5.000 მანეთი და საგარეჯოს ამხანაგობამ — 3.500 მანეთი.

გარდა ამისა ვადაგადასული ვალი ნაწილობრივად დაფარეს შემდეგმა ამხანაგობებმა: მანგლისის ამხანაგობამ — 200 მან., ბანძის ამხანაგობამ — 1.164 მან., ანაგის — 2.700 მანეთი, ველისციხის — 6.500 მან., ნუკრიანის—1.000 მან., კარდანახის — 1.000 მან., წალკის — 336 მან., ვანის — 1.000 მან., ხობის — 1.500 მან., ლანჩხუთის — 1.500 მან., „სოფლის მეურნემ“ (თბილისი) 5.347 მან. და ახალქალაქის ამხანაგობამ 6.300 მანეთი.

ქუთაისის ოლქში

სასამართლოს უჯრედის წმენდა

ა. წ. 29 აგვისტოს გამწმენდ კომისიამ, ამხ. მაისურაძის ხელმძღვანელობით დაამთავრა სასამართლოს კომუჯრედის შემოწმება, შემოწმებამ გასტანაა 3 დღე. წმენდა მიმდინარეობდა დამსწრეთა აქტიური მონაწილეობით.

წმენდის დროს გამოირკვა, რომ სასამართლოს უჯრედში ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ ბრძოლის და თვითკრიტიკის საკითხები სუსტად ყოფილა დამუშავებული. უჯრედი სათანადო მონაწილეობას ვერ ღებულობდა აპარატის შესწავლის საქმეში.

ინდივიდუალურად წევრების შემოწმების დროს გამოირკვა, რომ ზოგიერთი უჯრედის წევრი თავის თანამდებობას იყენებდა პირად სარგებლობისათვის.

მაგ.: მეორე უბნის სახ. მოსამართლე კუჭუხიძე, გაემგზავრა მუხიანის თემში, ფუთურძეების საქმის გასარჩევად. წინ ღამეს, საქმის გარჩევამდე, სახ. მოსამართლე კუჭუხიძე, ერთ-ერთი მომჩივნის სახლში მთელი ღამე ქეიფობდა.

უფრო საყურადღებოა მეორე სახ. მოსამართლის თ. ფხაკაძის მოქმედება: ამხ. ფხაკაძემ წაიყვანა თავისი შვილი თბილისში სახ. უნივერსიტეტში მისაღებათ, მაგრამ, რაღაც მიზეზების გამო, ეს საქმე არ მოეწყო. ამის შემდეგ ამხ. ფხაკაძე სწერს წერილს უნივერსიტეტში მომუშავე ერთ-ერთ პასუხისმგებელ პირს: „თქვენ მე ვერ მიცნობთ, მე ვარ სახალხო მოსამართლე, ჩემს ხელში იყო გასარჩევად საქმე თქვენი დედის სახლის შესახებ, რაც მე თქვენდა სასარგებლოდ გადავწყვიტე—გთხოვთ მიიღოთ ჩემი შვილი უნივერსიტეტში“.

ამის შემდეგ, აღნიშნულ მოსამართლეების მიერ რევოლიუციონურ კანონიერების სწორად გატარების შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია.

ხ.

გახრწნა - გადაგვარების უმსგავსო მაგალითები

ქუთაისი, 2 სექტემბერი. ქუთაისის სახანძრო რაზმის პარტუჯრედში შემმოწმებელმა კომისიამ აღმოაჩინა გახრწნილება. უჯრედის 52 წევრიდან თითქმის ნახევარი დიდი ხნის განმავლობაში პარტიას სახელს უტეხდა უპარტიო მასის თვალში. რამდენიმე შოფერს, პარტიულს, მოგების მიზნით, ჰქონდა საკუთარი ავტომობილი; უჯრედის ბევრი წევრი ფულს ასესხებდა სარგებლით; „კომუნისტების“ ერთი ჯგუფი სისტემატიურად ეწეოდა მაჭანკლობას და ამ გარყვნილი საქმიდან მოგებული ფულით ძართავდა ყოველდღიურად ქეიფს მეძავ ქალებთან.

უჯრედის მეორე ნახევარი, რომელიც ამ ბოროტებაში მონაწილეობას არ ღებულობდა, „თვალს არიდებდა“ პარტიულების გახრწნას, რადგან არ სურდა „მეგობრების წინააღმდეგ კინკლაობის დაწყება“.

შემმოწმებელმა კომისიამ გამოარკვია, რომ გახრწნას ხელს უწყობდა უჯრედში არსებული მდგომარეობა: არ იყო პარტიული დისციპლინა. აღმზრდელობითი მუშაობა, გამეფებული იყო სრული პოლიტიკური უვიცობა, პარტიის მორიგ ამოცანებს არ ამუშავებდნენ, უჯრედი არასოდეს არ წარმოადგენდა უპარტიო მასის ორგანიზატორს.

შემმოწმებელმა კომისიამ დასვა საკითხი მეხანძრეთა უჯრედის 17 წევრის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ (ადს).

ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხზე

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელის მოწერა ქუთაისის რკინის გზელთა შორის წარმატებით მიმდინარეობს. თითო თვის ჯამაგირზე ხელი მოაწერეს მტვირთავმა მუშებმა, რკ. გზის ამბულატორიის მუშა-მოსამსახურეებმა, მოძრაობის დარგის პროფაქტივმა და სხ. რკინის გზელთა კედლის გაზეთი, „რკინის გზელი“ თავის ფურცლებზე აქვეყნებს იმ თანამშრომელთა სახელსა და გვარს, ვინც მეორე სესხის ობლიგაციებს აგირავებს, ან ყიდის, რაც დიდ გავლენას ახდენს ხსენებულ სესხის ობლიგაციათა შენარჩუნების საქმეზე.

კომკავშირელების და პიონერების დემონსტრაცია

ქუთაისი, 2 სექტემბერი. 1 სექტემბერს, დღისით, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, ქუთაისში გაიმართა კომკავშირელების, პიონერებისა და უპარტიო ახალგაზრდობის უდიდესი დემონსტრაცია. მიტინგზე მისალოცი სიტყვები წარმოსთქვეს პარტიული, პროფესიონალური და სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. საღამოს ქალაქში გაიმართა კარნავალი რამდენიმე ათასი კაცის მონაწილეობით.

კლუბებსა და წითელ კუთხეებში მრავალი ახალგაზრდის თანადასწრებით მოსმენილი იქნა მოხსენებები ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის, ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის და კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობის შესახებ (ადს).

სოციალისტურ შეჯიბრების ფრონტზე

საბჭოთა მუშაკების კავშირი შეჯიბრებას გულგრილად კიდება

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე აღნიშნა, რომ საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირი სუსტად აწარმოებს სოციალისტურ შეჯიბრებას თავის გაერთიანებაში. თუმცა თბილისის 200-დე დაწესებულებიდან, რომლებიც გაერთიანებულია საბჭოთა მუშაკების კავშირში, სოციალისტურ შეჯიბრებაში თითქო 115-ია ჩაბმული, მაგრამ პრაქტიკულად შეჯიბრებაში მონაწილეობს მხოლოდ ოთხი დაწესებულება. კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ არ მიიღო ზომები სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელობის პოპულიარიზაციისათვის კავშირში გაერთიანებული მასაში, რამაც გავლენა იქონია თვით სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაზე. ასევე მოიქცნენ კავშირის ქვედა ორგანიზაციებიც. ცენტრალურ გამგეობას ცოცხალი ხელმძღვანელობა არ გაუწევია ადგილებისათვის შეჯიბრების ჩატარების საქმეში, [illegible] დაწესებულებებს სოციალისტური შეჯიბრება არ შეხებია. თუ ცალკე დაწესებულებათა შორის მაინც არის დადებული ხელშეკრულებები შეჯიბრების ჩატარებაზე, ეს ხელშეკრულებები კონკრეტულ ხასიათს არ ატარებს. ძალზე სუსტადაა დაყენებული აგრეთ მოსამსახურეების ჩაბმა აპარატის რაციონალიზაციის საქმეში. ამ მიმართულებით ეკომ-თათბირები თითქმის არაფერს აკეთებენ. კავშირის კულტგანყოფილებამ და კლუბებმა სოციალისტური შეჯიბრების ჩატარების საქმე სრული უმოქმედობა გამოიჩინეს.

აღნიშნა რა კავშირის მუშაობის სისუსტე ამ დარგში, საქართველოს პროფსაბჭომ დაავალა ცენტრალურ გამგეობას გამოასწოროს ყველა აღნიშნული დეფექტები.

შეჯიბრება ფართოდ იშლება

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია გორის, თელავის, სიღნაღის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობები და თბილისის „სოფლის მეურნე“.

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა აღნიშნულ ამხანაგობებს უყენებს შეჯიბრების შემდეგ პირობებს:

1) ღარიბ გლეხთა ფონდის საშუალებით ამხანაგობის წევრთა საერთო რიცხვიდან შეკავშირებული იქნეს ა. წ. პირველ ოქტომბრისათვის არა ნაკლებ 40 პროცენტისა (მათ შორის საკუთარი საშუალებებით 80 პროცენტი).

2. უზრუნველყოფილი იქნეს კოლმეურნეობებზე სწორი ხელმძღვანელობა და მისი ზრდა. კონტრაქტაციისა და თესვის კამპანიის გეგმის შესრულება 100 პროცენტით. ამხ-ბის საკუთარი მეურნეობის (მამულის) მოსავლიანობის ზრდა და აგრიკულტურული მუშაობის 85 პროცენტით გაუმჯობესება. საუკეთესო თესლეულობის მიღება.

3. თანხების 100 პროცენტით მიზნობრივად გამოყენება.

4. წევრთა საერთო რიცხვის 125 პროცენტით, ხოლო წევრ ქალთა 150 პროცენტით გაზრდა ა. წ. პირველ ოქტომბრამდე (1928 წლის ოქტომბერთან შედარებით).

5. პირველ ოქტომბრამდე ვადა გადაცილებული დავალიანების მთლიანად დაფარვა.

6. წევრთა დავალიანება ამხანაგობებისადმი არ აღემატებოდეს მთელ გაცემულ სესხების 5 პროცენტს. არც ერთ შეძლებულზე არ იქნეს გაცემული სესხი.

7. საერთო-სავაჭრო ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს მთელი ბრუნვის 8 პროცენტამდე. წმინდა მოგება კი უნდა შეადგენდეს ბრუნვის 3 პროცენტს.

საკუთარი თანხების 160 პროცენტით ზრდა. 100 პროცენტით იქნეს შესრულებული სოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ აგვისტოში მიცემული საკონტროლო ციფრები საპაიო თანხის ზრდისა და ვადა-გადაცილებული სესხის აკრეფის შესახებ.

ბრუნვის 90 პროცენტით ზრდა. სოფლო ნაწარმოების დამზადებაში 60 პროცენტი ბაზრის დაპყრობა. ნაწარმოების უშუალოდ გლეხებისაგან შეძენა და გადამყიდველებთან წარმატებით ბრძოლა.

10. ანგარიშ-წარმოების და საქმის წარმოების სამაგალითოდ დაყენება, როგორც თვით ამხანაგობაში, ისე კოლმეურნეობებში. გაფლანგვის არც ერთი შემთხვევა. ბუჰგალტერიის დარგში საქმის ისე დაყენება, რომ მცირე დროის დაკარგვით ადვილად შეიძლებოდეს ამხანაგობის წარსული მუშაობის, არსებული გეგმის და ხარჯთაღრიცხვის გაცნობა. ბალანსი და წლიური ანგარიში მზად იქნეს 15 ემბრისათვის.

11. სხვა კულტურულ-განმანათლებელ მუშაობასთან ერთად, ამხანაგობის წევრთა 30 პროცენტისათვის გაზეთ „კოოპერატიული ცხოვრების“ ერთი წლით გამოწერა ამხანაგობის ხარჯზე.

12. შეჯიბრების შედეგების შემოწმება მოხდეს კომისიის საშუალებით, რომელსაც დანიშნავენ „სოფლის კავშირი“ და სასოფლო სამეურნეო ბანკი. შედეგი გამოქვეყნებული იქნეს პრესაში 1930 წლის პირველ იანვრამდე.

მეხანძრეთა რაზმი

ქ. თბილისის წითელდროშოვანი სახანძრო რაზმის მე-4 ნაწილმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მესამე ნაწილი და წამოაყენა შეჯიბრების შემდეგი პირობები:

1. ხანძრის ადგილზე სასწრაფოდ გამოცხადება და მისი სწრაფად ჩაქრობა. სწრაფი მოქმედება ხანძართან ბრძოლის დროს (კიბეების აღმართვა, წყლის მიწოდება და სხვ.).

2. პირველხარისხოვან ამოცანად დასახული იქნას რაც შეიძლება ნაკლები წყლის დახარჯვა და გადასარჩენი ქონების ნაკლებად დაზარალება.

3. სახანძრო ინვენტარის უკეთესად შენახვა.

4. ყველა მეხანძრეების მიერ თავის რაიონში ფაბრიკების, ქარხნების, სახელმწიფო და საზოგადოებრივ მნიშვნელობის შენობების მდებარეობის უკეთესად შესწავლა და აგრეთვე ამ შენობებში არსებულ ხანძრის საწინააღმდეგო მოწყობილობათა უკეთესად შესწავლა.

5. მეხანძრეების მიერ ხანძრის საწინააღმდეგოდ მიმართულ პროფილაქტიურ ღონისძიებათა უკეთ შესწავლა.

6. მოვალეობის საუკეთესოდ შესრულება მორიგეების მიერ (ზართან, ტელეფონთან, კინო-თეატრებში და სხვ.).

7. დროის რაციონალურად გამოყენება (სახანძრო მეცადინეობა, სამეურნეო და კულტურულ-განმანათლებელი, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მუშაობის უკეთ დაყენება).

8. ავტო-მანქანების უკეთესად შენახვა.

9. გაზის წინააღმდეგო ნიღაბებში მუშაობის, მათი (ნიღაბების) მოხმარების და „მუნჯი ბრძანების“ უკეთ შეთვისება მეხანძრეების მიერ.

10. სამუშაო დროის გაცდენის, სამსახურში დაგვიანების, ლოთობის და სამსახურებრივი მოვალეობებისადმი და სახანძრო იარაღებისადმი უყურადღებოდ დამოკიდებულების შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანა.

11. სინათლის, წყალის და საწვავი მასალის ნაკლებად დახარჯვა.

12. სპეცტანისამოსის წესიერად შენახვა და ტარება.

13. საცხოვრებელი ბინის, ეზოს და საწოლის სუფთად შენახვა.

14. კედლის გაზეთის სისტემატიურად გამოშვება და მასში სოციალისტური შეჯიბრების საკითხების უკეთ გაშუქება.

15. მეხანძრეთა საქმიანი წინადადებების ცხოვრებაში 10 პროცენტით გატარება და მათი წახალისება.

16. ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გავრცელება ყველა მეხანძრეთა შორის.

17. შოფერების მიერ მანქანების წესიერად შენახვა და ავტომობილების მართვა უბედური შემთხვევათა თავიდან აშორებით.

18. მეხანძრეთა რაზმის თანამშრომლების მიერ სანიტარული დახმარების და წამლების მოხმარების შესწავლა.

19. მეხანძრეთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის სრულიად აღმოფხვრა.

მეხანძრეთა რაზმის მესამე ნაწილმა მიიღო როგორც შეჯიბრებაში გამოწვევა, ისე შეჯიბრების ყველა პირობები. ხელშეკრულება დადებულია ერთი წლით. შესრულების შემოწმება მოხდება ყოველთვიურად.

ახალი ძალები წითელ არმიას

დაიწყო 1907 წელში დაბადებულ ახალგაზრდების გაწვევა წითელი ჯარის რიგებში. — გასაწვევი ახალგაზრდები სიხარულით მიეშურებიან წითელ ყაზარმისაკენ. — „ვიძლევით სიტყვას, რომ წითელ ყაზარმაში საუკეთესოდ შევისწავლით იარაღის ხმარებას საბჭოთა კავშირის მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად“ — აცხადებენ ვი ახალგაზრდები.

პირველი დღე

ვარგისად სცნეს

თბილისის ოლქის სამხედრო კომისარიატის შესაკრები პუნქტი მორთულია წითელი დროშებით.

დღეს გაწვევის პირველი დღეა.

1907 წელში დაბადებული ახალგაზრდები დღეს პირველად უნდა გამოცხადდნენ შესაკრებ პუნქტზე ყაზარმაში გამგზავრების წინ. აქ უნდა შემოწმდეს მათი ჯანმრთელობა. მათი ვარგისობა სამხედრო სამსახურისათვის.

დილიდანვე ახალგაზრდებმა დაიწყეს დენა შესაკრებ პუნქტისაკენ. მიდიან ჯგუფ-ჯგუფად და ცალ-ცალკე. პუნქტის ეზო თანდათან ივსება ახალგაზრდებით.

ზევით, აივანზე, სადაც მოთავსებულია საექიმო კომისიების ოთახები, მოსჩანან ხალათებში გამოწყობილი ექიმები.

ყველაფერი მზად არის გაწვევისათვის.

ეზოში, სადაც თავმოყრილია გასაწვევი ახალგაზრდობა, ისმის ხმაური და ლაპარაკი.

— მე, კანონით, არ უნდა ვიქნე გაწვეული, რადგან ვსწავლობ სახ. უნივერსიტეტში. მესამე კურსზე ვითვლები—აცხადებს ერთი სტუდენტი, რომელსაც ხელში უჭირავს საჭირო დოკუმენტები.

— მეც მაგ დღეში ვარ, მე შარშან შევედი უნივერსიტეტში და ეხლა მეორე კურსზე ვითვლები—ამბობს მეორე.

სტუდენტები მართალნი არიან. ისინი არ უნდა იქნენ გაწვეულნი წითელ ჯარში. აქ დამნაშავეა უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, რომელმაც დროზე არ იზრუნა და არ გადაუგზავნა სამხედრო კომისარიატს სტუდენტების სიები, მათთვის გაწვევის ვადის გასაგრძელებლად. ამით უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მიუმატა ზედმეტი სამუშაო, საქმით ისედაც გადატვირთულ სამხედრო კომისარიატს.

ეზოში საუბარი და ლაპარაკი სწარმოებს მხოლოდ და მხოლოდ გაწვევის და წითელ ყაზარმის ირგვლივ.

გასაწვევნი მხიარულად არიან. სანთლითაც ვერ იპოვით ვერც ერთ მოწყენილ ახალგაზრდას.

ეს აიხსნება იმით, რომ წელს წითელ ჯარში მიდის მხოლოდ და მხოლოდ მშრომელი ახალგაზრდობა.

შევერიე გასაწვევთა ერთ დიდ ჯგუფს, სადაც მიმდინარეობდა გაცხოველებული კამათი მანევრების ირგვლივ.

გამოვესაუბრე ახალგაზრდებს...

— შეღავათი მქონდა ოჯახური მდგომარეობის მხრივ, მაგრამ, უარი განვაცხადე— ამბობს ლურჯხალათიანი რკინისგზელი მუშა.

— აი აქ ხუთი ამხანაგი ვართ. ქარხანაში ერთად ვმუშაობთ, ჯარშიაც ერთად უნდა წავიდეთ, რათა იქ კარგათ ვისწავლოთ სროლა და იარაღის ხმარება—მეუბნება ახალგაზრდა მუშა.

— მაშ, მაშ, ბიჭიკო—უდასტურებს ამხანაგი—ჩვენ ვიქნებით საუკეთესო მებრძოლნი.

ეზო თანდათან ივსება. განუწყვეტლივ მოდიან გასაწვევთა ახალ-ახალი ჯგუფები.

ფარდულის ქვეშ მოეწყო ბიბლიოთეკა. მოიტანეს ჟურნალ-გაზეთები და წიგნები.

დრო გადის. ახალგაზრდებს ეტყობათ მოუთმენლობა.

— მალე დაიწყონ რაღა, გავიგო ვარგივარ თუ არა ჯარისათვის, ისე კი, ჯანზე კარგათა ვარ. არ ვიცი ეხლა ექიმები რას მეტყვიან.

— არა მგონია დამიწუნონ. ნახე ჩემი კუნთები? შემიძლიან ხუთ-ფუთიანი თავისუფლად ვათამაშო.

იღება კარები და გასაწვევთა პირველი წყება მოდის ჯანმრთელობის შესამოწმებლად.

მ—ლი.

თბილისის პირველ სამილიციო უბანში მცხოვრები ახალგაზრდები, რომლებსაც ეხებათ ჯარში გაწვევა, უნდა გამოცხადდნენ მანევრაზე 3, 4, 5, 6 და 7 სექტემბერს.

მეორე სამილიციო უბანში მცხოვრები გასაწვევნი ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ 9, 10 და 11 სექტემბერს.

—:—

გარე კახეთში ჯარში გაწვევა დაიწყება 5 სექტემბერს და გაგრძელდება 9 სექტემბრამდე.

—:—

ამხნის განმავლობაში გაწვეული იქნებიან სართიჭალის, საგარეჯოს, სენაკის და პატარძეულის თემის ახალგაზრდობა.

შესაკრები პუნქტი მოთავსებული იქნება საგარეჯოში.

წალკის რაიონში გაწვევა დაიწყება 12 სექტემბერს და გასტანს 19 სექტემბრამდე.

გასაწვევი პუნქტი მოთავსებულია ბარმექსაზის თემაღმასკომში.

—:—

ჯარის ნაწილში ჩარიცხვამდე გასაწვევ ახალგაზრდებს არ მიეცემათ არავითარი კმაყოფა. შესაკრებ პუნქტზე გამოცხადების დროს ყოველ ახალგაზრდამ თან უნდა იქონიოს 2—3 დღის საგზალი.

გამოცხადების დროს პროფ.კავშირის წევრებს თან უნდა ჰქონდეთ საწევრო წიგნაკები.

პარტიის წევრებმა, კანდიდატებმა და კომკავშირელებმა ვამწვევ კომისიას უნდა წარუდგინონ საწევრო ბილეთები.

ახალგაზრდა გვარდიის აღლუმზე

(ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე თბილისში)

სადღესასწაულოდ მორთულ ქუჩებში საღამოს 5 საათიდან უკვე გაისმოდა პიონერთა თავისებური მუსიკა. კოლექტივები მიეჩქარებოდნენ შესაკრებ ადგილებზე.

5 საათიდანვე ქუჩაში დრო გამოშვებით დაჰქროდნენ წითელ არშიებში გახვეული საბარგო ავტომობილები, საიდანაც კომკავშირელთა ანთებული თვალები ვარსკვლავებივით ანათებდნენ და ახალგაზრდული ხმა ზარივით რეკდა.

7 საათზე ყველა რაიონები დანიშნულ ადგილებზე იყვნენ შეკრებილნი. დაიწყო კარნავალი.

რუსთაველის პროსპექტისაკენ პირველი გამოემართა ლენინის რაიონის კომკავშირელი და მუშა ახალგაზრდობა, მას მოჰყვა 26 კომუნარის და ქალაქის რაიონები.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის შენობის წინ მოწყობილ ტრიბუნაზე მოსჩანან ამხ. მ. ორახელაშვილი, ამხ. ახუნდ-ზადე, ჯავახიძე, ხომასურიძე, უცხოელი კომკავშირელები და სხვ.

მოდის ნორჩი გვარდია ანთებული ჩირაღდნებით ხელში. ნორჩ პიონერებს ფიზკულტუროსნები სცვლიან, ფიზკულტუროსნებს მოჰყვება ავტომობილების რიგი. ბევრ ავტომობილზე მოკალათებულია „ყოფ. ადამიანთა“ იშვიათი კოლექცია: აქ თქვენ შეხვდებით „გოროდოვოის“, „გენერალს“, „კაპიტალისტს“. განსაკუთრებულ „პატივისცემა“-ში კი კომკავშირელებს „სულის მამები“ ჰყავთ. კარნავალს ბევრგან „ამშვენებს“ მათი გაცვეთილი ანაფორა და გრძელი წვერები.

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე ტარდება იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლისა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების ნიშან ქვეშ. სწორედ ამიტომ დემონსტრანტების პლაკატების დიდი ნაწილი ანტი-იმპერიალისტური შინაარსისაა.

ჩინელ ხუნხუზების პროვოკაციამ ყველაზე უფრო პროლეტარული ახალგაზრდობა აღელვა. ამას ნათლად ამტკიცებს ის აურაცხელი კარიკატურები და მრისხანე წარწერები ჩინელ ბანდიტების მისამართით, რომლითაც ქუჩები გაავსეს დემონსტრანტებმა.

ახალგაზრდობა სოციალისტური მშენებლობის აქტიური მონაწილეა. იგი დაუღალავად იბრძვის ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, სოციალისტურ მეურნეობის 5-წლიანი გეგმის შესრულებისათვის. ამ ბრძოლის, ამ მუშაობის ცოცხალი სურათი დღეს ქუჩებშია გამოტანილი.

საბარგო ავტომობილზე მოწყობილია სამჭედლო, ახალგაზრდობა გვიჩვენებს, თუ როგორ იჭედება მომავალი ცხოვრება, ავტომობილზე დაწყებულია ფაბრიკის „შენობა“, კალატოზები „აგებენ“ აგურის კედლებს.

— გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას,—ისმის ტრიბუნიდან ამხ. მამია ორახელაშვილის ხმა.

— ვაშა, ვაშა, ვაშა!—არის დემონსტრანტების მედგარი, მჭექარე პასუხი.

ომის საფრთხე დღევანდელ მომენტში განსაკუთრებით რეალურია, კაპიტალისტური მსოფლიო ცდილობს ცეცხლის რკალში მოაქციოს საბჭოთა კავშირი. კომკავშირელმა ახალგაზრდობამ კარგად იცის, რომ „ვისაც არა სურს ომი, ის ომისათვის მზად უნდა იყოს“. ამიტომ სამხედრო მუშაობას კავშირში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. დღესაც მთელი რიგი უჯრედები დემონსტრაციაზე შეიარაღებული გამოვიდა.

— [illegible] კომკავშირის შეიარაღებას, გაუმარჯოს შეიარაღებულ პროლეტარიატს!..

თანდათანობით დავიწყებას ეძლევა ა.-კავკასიის ხალხთა ურთიერთ—შუღლი და მტრობა. თბილისის პროლეტარული ახალგაზრდობის დემონსტრაციაზე მონაწილეობას ღებულობენ მოძმე რესპუბლიკების კომკავშირელთა დელეგაციები. აქ ყველა ენებზე გაისმის ახალგაზრდობის საბრძოლველი ლოზუნგები. აქ ყველა ერთი ნაციის—მშრომელთა საერთაშორისო ნაციის შვილია.

უცბათ კომკავშირელთა კარნავალს ცხენოსანი ლაშქარი შემოუერთდა. კავალერისტები მოდიან სროლით. ქ. წ. დროშოვან არმიის მანევრები დამთავრდა, ეს გამარჯვებული „ლურჯების“ კავალერიაა, რომელმაც „ბრძოლით დაიკავა“ ქალაქი...

წითელი კავალერია თავისი გზით მიდის. კომკავშირის კარნავალი კი ისევ გრძელდება მოდის კომკავშირის „მსუბუქი კავალერია“. იგი არ არის შუბებით შეიარაღებული, „მსუბუქ კავალერისტებს“ ხელში ცოცხები უჭირავთ, რომლითაც ისინი „ხვეტავენ“ საბჭოთა დაწესებულებებიდან ბიუროკრატებს, საქმის გამჭიანურებლებსა და უცხო ელემენტებს...

მთელი ორი საათის განმავლობაში არ შეწყვეტილა ახალგაზრდათა ლაშქრის მედგარი მსვლელობა. მთელი ორი საათის განმავლობაში სჭექდა თბილისის ქუჩებში პროლეტარული ახალგაზრდობის ჯანსაღი და მებრძოლი ხმა.

9 საათზე კარნავალი დასრულდა. ახალგაზრდობა კი არ ისვენებდა: კიდევ დიდხანს დაჰქროდენ ქუჩებში წითლად შეფუთვნილი ავტობუსები, კიდევ დიდხანს ისმოდა კომკავშირელთა სიცოცხლით სავსე კისკისი, მათი მედგარი ვაშა...

ს—ლი.

რა ხდება ადგილებზე

ახალი სახლები მუშებისათვის

ბორჯომი, 2 სექტემბერი. საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტმა ბორჯომში ბორჯომის სატყეო ქარხნის მუშებისათვის აგო 9 ახალი სახლი. თვითეულ სახლში ოთხოთახიანი 4 ბინაა. მუშები უკვე ჩასახლდნენ ამ სახლებში (ადს).

ბორჯომის წყლის გატანა საზღვარგარეთ

ბორჯომი, 2 სექტემბერი. მიმდინარე წლის დამდეგიდან დღემდე საზღვარგარეთ გატანილ იქნა 30 ვაგონი (240 ათასი ბოთლი) ბორჯომის მინერალური წყალი: ბრაზილიაში—5 ვაგონი, სპარსეთში—10 ვაგონი, პოლონეთსა, ესტლიანდიასა, ლატვიასა და თურქეთში—11 ვაგონი (ადს).

შუშის ქარხანაში

ბორჯომი, 2 სექტემბერი. ბორჯომის შუშის ქარხანამ საზღვარგარეთიდან გამოიწერა 12 ახალი მანქანა შუშის ჩაბერვის საქმის მექანიზაციისათვის. თვითეული მანქანა ღირს 20.000 მანეთი. ამ მანქანების წყალობით თითქმის ერთიორად შემცირდება შუშის ნაწარმთა თვითღირებულება. ამით მუშები განთავისუფლდებიან მეტად მძიმე მუშაობისაგან. თორმეტი მანქანიდან, რომლებიც შუშის ქარხანამ საფრანგეთში შეუკვეთა, ორი უკვე გამოგზავნილია. მანქანების მიღების შემდეგ ბორჯომის შუშის ქარხანა შეუდგება ისეთი ბოთლების დამზადებას, რომლებსაც ძვირი კორპის ნაცვლად, ლითონის იაფი და მოხერხებული კაპსულები ექნება. კორპის შეცვლა ლითონის კაპსულებით დიდ ეკონომიას მისცემს საქართველოს საკურორტო სამმართველოს (ადს).

ლებარდეს კურორტი

ახალ-სენაკი, 2 სექტემბერი. წელს კურორტ ლებარდეში 4.000 ავადმყოფი იყო [illegible]. შარშანდელთან შედარებით, გაუმჯობესდა კვებისა, საბინაო და ტრანსპორტის საკითხები, აგრეთვე საექიმო დახმარება. (ადს).

სამაზრო კომისია

ახალ-სენაკი, 2 სექტემბერი შესდგა საბჭოთა აპარატის გამწმენდი სამაზრო კომისია მუშგლეხინის რწმუნებულის თავმჯდომარეობით. კომისიაში შევიდნენ: პროფკავშირის, შრომის ინსპექციის, მუშათა, გლეხთა და მოჯამაგირეთა წარმომადგენელნი. (ადს).

ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხი

ახალ-სენაკი. 2 სექტემბერი. ქალაქ ახალ-სენაკში ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხზე ხელისმოწერამ 60.000 მანეთს გადააჭარბა. ხელისმოწერა გრძელდება. ადგილებზე გაიგზავნენ ამხანაგები. რომელნიც ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის გავრცელების საქმეს უხელმძღვანელებენ (ადს).

პირველი სატრაქტორო რაზმი

სოხუმი, 2 სექტემბერი. 1930 წლის გაზაფხულზე აფხაზეთში მოეწყობა 15 ტრაქტორისაგან შემდგარი პირველი სატრაქტორო რაზმი. აფხაზეთის შეკვეთა ტრაქტორების შემოტანის შესახებ დამტკიცებულ იქნა თბილისში (ადს).

შემოდგომის თესვის კამპანია

ცხინვალი, 2 სექტემბერი. სამხრეთ-ოსეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა შემოდგომის თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად მიმართა სხვადასხვა ღონისძიებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სათესლე მასალის შერჩევას და გარკვევას. წინაღარში, ახლად დასახლებულ ადგილზე, ეწყობა კოლექტიური მეურნეობა. (ადს).

ქრონიკა

ამხ. არენსის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის პარიზის საელჩოს მრჩეველი ამხ. არენსი.

იაპონიის ელჩის გამგზავრება

გუშინ იაპონიის ელჩი გრ. ტანაკა საელჩოს მდივნის მიაკავას თანხლებით ბათომში გაემგზავრა. სადგურზე ის გააცილა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარიატის რწმუნებულის მოადგილემ ამიერ-კავკასიაში ამხ. კვიტაშვილმა.

გამგზავრებისას ელჩმა სთხოვა ამხ. კვიტაშვილს—გადასცეს ამიერ-კავკასიის მთავრობას მისი სამძიმარი კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდლის თანაშემწის ი. ფაბრიციუსის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ამხანაგური სასამართლოები

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო—წარმოება-დაწესებულებებში მოეწყოს ამხანაგური სასამართლოები, რომლებიც გაარჩევენ წვრილ საქმეებს (როგორც პირადს, აგრეთვე თანამდებობრივსაც).

სააზარტო სათამაშოების დახურვა

მთავრობის დადგენილებით 1 სექტემბრიდან დაიხურა ლოტოს და სხვა სახის სააზარტო ყველა სათამაშოები.

მოანგარიშეთა გადასამზადებელი კურსები

5 სექტემბერს თბილისში გაიხსნება სას.-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების მოანგარიშეთა გადასამზადებელი კურსები. კურსებზე მოწვეული არიან 60 საკრედიტო ამხანაგობათა მოანგარიშენი.

2.200 ათას მანეთის ფეხსაცმელი

მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა ამიერ-კავკასიისთვის გამოჰყო 2.200.000 მანეთის შეკერილი ფეხსაცმელი, რომელიც ამიერ-კავკ. რესპუბლიკებს შორის განაწილებულია შემდეგნაირად: საქართველოს მიეცა — 885.500 მანეთის, აზერბეიჯანს—1.091.000 მანეთის და სომხეთს—223.500 მანეთის შეკერილი ფეხსაცმელი.

საალმშენებლო მასალა

ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალის ანგარიშში საალმშენებლო ორგანიზაციებს გაუნაწილა შემდეგი მასალები: 19.000 ფ. ცემენტი, 221 ტონა რკინეული, 8½ ტონა სახურავი მასალა, 54 ტონა ზეთი, 5.200 კვ. შუშა და 40 ტონა სხვადასხვა მასალები.

პოლიტგანის ორგანოს გამოცემა

საქ. პოლიტგანათლების მთ. მმართველობას და თბილისის პოლიტგანს განზრახული აქვთ მოკლე ხანში გამოსცენ ორკვირეული ჟურნალი: „ქოხ-სამკითხველო".

სოც. უზრ. სახ. კომისარიატში

◆ **წმენდა.** დაიწყო ინვალიდთა კოოპერატიულ არტელების წევრთა წმენდა.

◆ **ინვალიდების კურორტებზე** გასაგზავნად სოც. უზრ. სახ. კომისარიატმა გადასდო 3.000 მანეთი.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

◆ **მედსანშრომის მუშაკთა საზაფხულო კლუბში** 4 სექტემბერს იმართება დიდი საღამო-კონცერტი უიხარევას და დები თარხნიშვილების მონაწილეობით.

ახალი სცენარები

სცენარისტმა სულაკაურმა დასწერა სცენარი „ახალი რუსები", რომელშიაც მოცემულია: თეთრების იერიში ვლადიკავკაზზე. ბრძოლა წითლებისა დენიკინთან, კლასიური თვითშეგნების გაღვიძება ინგუშეთსა და სხვა მთიელ ერებში. სცენარი აგებულია ფაქტიურ მასალებზე.

მწერალი **მიხ. ჯავახიშვილი** ამუშავებს რეჟ. მ. ჭიაურელისათვის სცენარს,—რომელიც აშენებულია ძველი საქართველოს ფეოდალურ ტრადიციებისა და ცრუმორწმუნეობის ნიადაგზე.

სცენარისტი **გ. მდივანი** და ლიტერ. **კულგაბიაკინი** სწერენ სცენარს ოსეთის ყოფა-ცხოვრებიდან „ირადი". სურათი დაიდგმება მიმდინარე სეზონში.

—:—

ჟურნალი „დროშა" № 16

გამოვიდა ჟურ. „დროშა" № 16. შემდეგი შინაარსით: **ე. ხუციშვილი**—წითელი არმიის მანევრები; **ი. უნშლიხტი**—კომპარტიის ერთგული ჯარისკაცი; ი. ფ. ფაბრიციუსი (ბიოგრაფია); **გ. შინატეხელი**—ამხ. ფაბრიციუსის ხსოვნას (ლექსი), **ა. ს.**—ისევ ელექტრონის სკამი; მზის სახლი; **კანდიდ**—პროლეტარული ახალგაზრდობის ბრძოლის დღე; რუსთაველის თეატრის 1929—30 წლის სეზონი; რაფიელ ერისთავი (ბიოგრაფია) **ხოლ. იორდანიშვილი** რ. ერისთავი — როგორც მეცნიერების მუშაკი. **ს. შანშიაშვილი** — მემანქანე, სიკო (გაგრძელება; **სეზმან ერთა წმინდელი** — ოროლის საიდუმლოება; ჩვენი ფოტო-ქრონიკა; იუმორი; ჟურნალში მოთავსებულია 50-მდე სურათი.

სარეწაო კოოპერაციის ურთიერთ დამზღვევი სალაროს დაარსება

პირველი სხდომა

1-ლ სექტემბერს, დილით ხელოსანთა საზაფხულო კლუბში გაიხსნა საქართველოს სარეწაო კოოპერაციის ურთიერთ დამზღვევი სალაროს დამფუძნებელი ყრილობა. ყრილობას ესწრებიან აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სარეწაო კოოპერაციის ურთიერთ დამხმარე სალაროების დელეგატები.

ყრილობა გახსნა საქართველოს სარეწაო კოოპერაციის კავშირის თავმჯდომარემ ამხ. **ნ. აივაზოვმა**, რომელმაც განმარტა ყრილობის მოწვევის მიზანი და აღნიშნა სარეწაო კოოპერაციის კიდევ ერთი გამარჯვება, რაც გამოიხატება ურთიერთ დამზღვევი სალაროს დაარსებაში. ეს სალარო მოწყობილია იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს საქართველოს შინამრეწველ-ხელოსანთა კეთილდღეობის ზრდას და ამრიგად გააძლიეროს სარეწაო კოოპერაციის განვითარების ტემპი.

ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოების, საპატიო პრეზიდიუმის და დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, ამხ. ნ. აივაზოვის წინადადებით ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ტრაგიკულად დაღუპულ მეომარ-ბოლშევიკის წითელი არმიის გმირ ამხ. ფაბრიციუსის ხსოვნას. მისივე წინადადებით ყრილობამ დაადგინა გვირგვინის ნაცვლად გადადებული იქნეს 2.000 მანეთი, რომელიც მოხმარდეს ამხ. იან ფაბრიციუსის სახელობის თვითმფრინავის ან ტანკის აგებას. შემდეგ ყრილობა გადადის დღის წესრიგში დასმულ საკითხების განხილვაზე.

პირველად მოსმენილ იქნა სარეწაო კოოპერაციის ურთიერთ დამზღვევ სალაროთა საკავშირო საბჭოს წარმომადგენელ ამხ. **სელთანინის** საინფორმაციო მოხსენება სარეწაო კოოპერაციის საკავშირო ურთიერთ დამზღვევ სალაროთა მუშაობის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ურთიერთ დამზღვევი სალაროები საკავშირო მასშტაბით ამჟამად უკვე ძლიერ ორგანიზაციას წარმოადგენენ. საბჭოთა კავშირში წელს ირიცხება სარეწაო კოოპერაციის 103 ურთიერთ დამზღვევი სალარო, რომლებშიაც შეკავშირებულია 550.000 ხელოსანი. სალაროები თავის წევრებს უწევენ საექიმო და სამკურნალო დახმარებას, აძლევენ აგრეთვე დახმარებას დროებით შრომის უნარის მოკლებულთ, ხოლო შრომის უნარის სამუდამოდ მოკლებულთ ან გარდაცვლილ წევრის ოჯახს აძლევენ პენსიას. გარდა ამისა სალაროები მშობიარობის დროს თავის წევრებს აძლევენ ბავშის მზითევს და საკვებს. ურთიერთ დამზღვევ სალაროებს აქვთ უკვე თავისი საკუთარი დასასვენებელი სახლები, სადაც ყოველწლიურად იგზავნებიან უმთავრესად ფიზიკური შრომის მუშა წევრები. წელს სალაროს კურორტებსა, აგარაკებსა და დასასვენებელ სახლებში გაგზავნილი ყავს 10.000-ზე მეტი კაცი.

ვინაიდან სარეწაო კოოპერაციაში უმუშევრობა ჯერ-ჯერობით მძიმე მოვლენაა და უმუშევართათვის ისეთივე დახმარების აღმოჩენა, როგორსაც უმუშევრებს აძლევს სახ. დაზღვევა—შეუძლებელია, — ურთიერთ დამზღვევი სალაროები უმუშევრობის დროს თავის წევრებს დახმარებას აძლევენ სესხის სახით. საბჭოთა კავშირის სარეწაო კოოპერაციის ურთიერთ დამზღვევ სალაროების ბიუჯეტი უდრის 23.500.000 მანეთს.

მეორე სხდომა

ყრილობის მეორე სხდომაზე, 1 სექტემბერს საღამოს, ამხ. სელიანინმა პასუხი გასცა შეკითხვებზე, რის შემდეგაც მოსმენილი იქნა აღმოსავლეთ საქართველოს სარეწაო კოოპერაციის ურთიერთ დამხმარე სალაროს გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ლაფანაშვილის საანგარიშო მოხსენება წარსული მუშაობის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ურთიერთ დამხმარე სალარო ჩამოყალიბდა გასული წლის ოქტომბერში. მაგრამ მას საქმიანობა დაუწყია მხოლოდ მიმდინარე წლის იანვარში. თავისი არსებობის პირველ სამ თვეს სალარო მუშაობას აწარმოებდა მხოლოდ თბილისში. აპრილიდან კი სალარომ მუშაობა დაიწყო აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებში, სამხრეთ-ოსეთის და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში. ივლისის დამლევისთვის აღმოსავლეთ საქართველოს სარეწაო კოოპერაციის ურთიერთ დამხმარე სალაროში შეკავშირებული იყო 5.000-მდე ხელოსანი. ამჟამად ეს რიცხვი გაცილებით უფრო დიდია, ვინაიდან სხვადასხვა კუთხეებში მოეწყო და იწყობა ახალი განყოფილებები, რომლებიც სწრაფად იკრებენ თავის გარშემო წევრების საკმაო რაოდენობას. გარდა მატერიალური დახმარებისა, სალარო თავის წევრებს აწვდის იურიდიულ დახმარებას, და მათ შორის აწარმოებს კულტურულ მუშაობას. სალარო აკავშირებს როგორც სარეწაო კოოპერაციაში შეკავშირებულ ხელოსნებს, აგრეთვე ერთეულ მშრომელ ხელოსნებსაც, რომლებიც ჯერ კიდევ არიან შეუკავშირებელი კოოპერაციაში. ასეთი წევრების რაოდენობა უდრის კოოპერაციაში შეკავშირებულ სალაროს წევრთა რაოდენობის 25—30 პროც. ერთეულ შეკავშირებულ ხელოსნების სალაროში მიღების მთავარ მიზანს შეადგენს—მათი კოოპერაციაში შეკავშირებისთვის ხელის შეწყობა.

განვლილი ხნის (7—8 თვე) განმავლობაში სალაროს თავის წევრებისთვის გაწეულ სხვადასხვა სახის დახმარებაზე დახარჯული აქვს 70.300 მან.; სანატორიუმებსა და კურორტებზე გაგზავნილი ყავს 118 კაცი.

საანგარიშო პერიოდში სალაროს შემოსავალი უდრის 160.357 მანეთს. გასავალი 39.857 მანეთს. სალაროში ამჟამად ირიცხება ნაშთი 61.500 მანეთი.

სასამართლო

ყაზაროვის საქმე

ბორჩალოს მაზრის სოფ. შაჰმარაულში მცხოვრები გლეხი ხედირ გუსა-ოღლი თბილისში ჩამოვიდა თავის ოჯახის საჭიროებისათვის ფართლეულის შესაძენად.

მან იყიდა სულ 25 მანეთის ფართალი და საღამოს გაუდგა გზას ბორჩალოსაკენ. მიუახლოვდა თუ არა ბაზრის მოედანთან მტკვრის შესახვევს, წინ გადუდგა ორი უცნობი პირი. ერთმა მათგანმა ხედირ გუსა-ოღლის ქვა დაჰკრა თავში, მეორემ ხელიდან გამოსტაცა ფართალი და გაიქცნენ.

ხედირ გუსა-ოღლი გონზე მოსვლისთანავე უკან გამოუდგა მათ და თან დაიწყო ყვირილი. გაქცეულები დაიჭირეს გამვლელებმა. მალე მილიციონერიც მოვიდა და წინადადება მისცა ფართლის გამტაცებლებს კომისარიატში გაჰყოლოდნენ მას. ერთ-ერთმა გამტაცებელმა წინააღმდეგობა გაუწია მილიციონერს, რის დროსაც მეორემ მოასწრო მიმალვა გატაცებულ ნივთებით.

მილიციონერმა შესძლო მოწინააღმდეგის დაპატიმრება. ის აღმოჩნდა ნიკო სიმონის ძე ყაზაროვი.

მის საქმეს ამ დღეებში განიხილავს თბ. მაზრა-ქალაქის სასამართლო.

—:—

ქალის გატაცება

კახეთის საოლქო სასამართლომ გაარჩია სოფ. მაჩხაანში მცხოვრებ იოსებ ჰუჰულაშვილის საქმე. მას ბრალდება ქალის გატაცება.

ჰუჰულაშვილმა გაზაფხულზე გიგო შანშიაშვილის და გიორგი ყაყიტაშვილის დახმარებით მოიტაცა მის მეზობლად მცხოვრები ქერივი ქალი მ. ღ., მაგრამ მას ქალი ტყიდან გამოექცა და მიმართა მილიციას.

მილიციამ დააპატიმრა სამივე ბოროტმოქმედი. შეიპყრეს აგრეთვე შალვა ტალიაშვილი, ი. ბეგიაშვილი და ა. ბაროლაშვილი, რომლებმაც გამტაცებლებს მოუნდომეს თვითგასამართლება და იმავე დროს წინააღმდეგობა გაუწიეს მილიციონერებს. აღნიშნულმა პირებმა თავიანთი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მილიციონერებს აყარეს იარაღი.

სასამართლომ ქალის გამტაცებლებს მიუსაჯა თითო წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დანარჩენებს 3—3 წლით.

კასიო.

შემთხვევები

თავის მოწამვლა

ივანე ვეგელის ძე ლიუბჩენკომ მოიწამლა თავი. მიზეზი გამოურკვეველია.

2550 მ. ნივთების მოპარვა

გაქურდეს კამოს ქ. № 5 მდებარე სტატისტიკური განყოფილება. წაღებულია 2550 მანეთად ღირებული არიფმომეტრი და ვენტილიატორი.

ცოლის დაჭრა

იოსებ იოსების ძე კლიმაშენკომ ოჯახურ უსიამოვნების ნიადაგზე დანით დასჭრა თავისი ცოლი ვალენტინა, რომელიც გადაიგზავნა საავადმყოფოში. დამნაშავე შეპყრობილია.

აივნიდან გადმოვარდნა

იუსუფ მამედოვი (მცხ. დაბახანის ქ. № 15) ძილის დროს აივნიდან გადმოვარდა ძირს და იქვე გარდაიცვალა.

დაჯახება

ზემელის აფთიაქთან, ვერის აღმართზე ამომავალ ტრამვაის ვაგონი № 2 დაეჯახა ლენინის ქუჩისაკენ მიმავალ ვაგონს № 6. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. მოძრაობა შესწყდა 10 წუთით.

აფთიაქის საწყობის გაქურდვა

გაქურდეს ყოფ. ზემელის აფთიაქის საწყობი. წაღებულ ნივთების ღირებულება გამოურკვეველია.

თავის დაჭრა

მესამე სტამბის მუშამ ვასო თეთრაძემ (მცხ. ყიფიანის ქ. № 29) თვითმკვლელობის მიზნით რევოლვერით დაიჭრა თავი. მძიმედ დაჭრილი სასწრაფოდ გადაიგზავნა რესპ. მთ. საავადმყოფოში.

შეპყრობა

ქურდობისათვის შეიპყრეს დიმიტრი მანუკიანი. შეიპყრეს მცირეწლოვანი სოლომონ ჩუგუაშვილი ჯიბგირობისათვის. დააპატიმრეს მეფურგუნე ლევან ნოზაძე, რომელმაც არშაკ ედიგაროვს საქონლის გადატანის დროს მოპარა 12 კილო კარაქი.—ჯიბგირობისათვის შეიპყრეს მეეზოვე საილ სატაროვი.

ჯიბგირობა

ქეთო სიმონიშვილს ბაზარში მოპარეს ბოხჩა სხვადასხვა ნივთებით.—სტუდენტ ვასილ ფრანგიშვილს ტრამვაის ვაგონში ამოაცალეს 20 მანეთი.

ქურდობა

გაქურდეს სახელგამის წიგნის მაღაზია მდებარე რუსთავ. პრ. № 16, წაღებულია 180 მ. ობლიგაციები. წაღებულ ნივთების ღირებულება გამოურკვეველია. ბაბაევ-ფეოზულა ალკპერ-ოღლიმ ფატმა ბიგიროვს, მასთან სტუმრათ ყოფნის დროს, მოპარა 214 მანეთის ნივთები და მიიმალა.—გრიგოლ გაბაშვილის (ანდრეევის ქ. № 29) ბინიდან მოიპარეს 200 მ. ნივთები.

რადიო-გადაცემა

სამშაბათს, 3 სექტემბერს: პიონერისა და მოწაფის საათი „ვემზადებით ახალი სასწავლო წლისათვის"—ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; გაზეთი „პროლეტარი" რადიოთი—სომხურ ენაზე; მოხსენება ან საუბარი; დროის შემოწმება და ამინდის ბიულეტენი; კომკავშირული გაზეთი რუსულ ენაზე; რადიო მეგობართა საზოგადოება (ტექნიკური კონსულტაცია); სიმფონიური კონცერტის ტრანსლიაცია; კვირეული პროგრამის გადაცემა ესპერანტოს ენაზე; ახალი ამბები.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სამანევრო საბინაო ფონდის შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საბინაო პოლიტიკის შესახებ 1928 წლის იანვრის 4-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (სსრკ კან. კრებ. 1928 წ. № 6, მუხ. 49) მე-16 მუხლის „ბ", „გ" და „ე" პუნქტის საფუძველზე—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაარსებულ იქნეს ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში სამანევრო საბინაო ფონდი: ა) საცხოვრებელი შენობებისაგან, რაც ახლად აღეშენებულ იქნება საქალაქო საბჭოს და მისი თანაბარი საბჭოს მიერ და ბ) ამ მიზნისათვის გამოყოფილი მუნიციპალიზებული შენობებისაგან.

შენიშვნა: სამანევრო საბინაო ფონდი აუცილებლად უნდა შეიქმნას ქ. თბილისსა, ქუთაისსა, ბათომსა, სოხუმსა, ფოთსა, გორსა და ჭიათურაში, ხოლო დანარჩენ ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში აღნიშნული ფონდი მოეწყობა სათანადო ადგილობრივი საბჭოს დადგენილებით.

2. სამანევრო საბინაო ფონდი სათანადო საქალაქო საბჭოს (ხოლო, სადაც საქალაქო საბჭო არის არის—სათემო საბჭოს განკარგულებაშია და იგი განაგებს მას: ა) ან უშუალო ექსპლოატაციის პრინციპზე—კომუნალური მეურნეობის ორგანოთა მეშვეობით, ბ) ან სახლთა ტრესტების მოწყობით.

3. საცხოვრებელი შენობის სამანევრო საბინაო ფონდის შედგენილობაში გადაცემა სწარმოებს საქალაქო საბჭოს (ხოლო, სადაც საქალაქო საბჭო არ არის,—მისი თანაბარი ორგანოს) პრეზიდიუმის სპეციალური დადგენილებით.

4. სამანევრო საბინაო ფონდის სახლში საცხოვრებელი სადგომის (ბინის, ოთახის) გაქირავება სწარმოებს ცალკე დამქირავებელთან ინდივიდუალური ხელშეკრულების დადების საშუალებით, რომელ ხელშეკრულებაშიაც გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) ვადა საცხოვრებელი სადგომის დაქირავებისა და ვადა წინასწარ გაფრთხილებისა ხელშეკრულების განგრძობაზე უარის თქმის შესახებ (მუხ. მე-5) და აგრეთვე შედეგი წინასწარ გაუფრთხილებლობისა ქირავნობის ხელშეკრულების განგრძობაზე უარის თქმის შესახებ;

ბ) ბინის ქირის რაოდენობა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 166 მუხლით დადგენილი წესების დაცვით;

გ) დამქირავებლისა და სახლის სამოურავოს მოვალეობის ფარგლებში საცხოვრებელი სადგომის მომსახურეობისა, წესიერად შენახვისა, რემონტის წარმოებისა, საერთო სარგებლობის ადგილების სუფთად შენახვისა და სხვ. სფეროში;

დ) დამქირავებლის პასუხისმგებლობა დაქირავებული სადგომების წესიერად შენახვის სფეროში;

ე) შესაძლებლობა დამქირავებლის ვადამდე გამოსახლებისა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი არაკეთილსინდისიერად შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას სადგომების წესიერად შენახვის სფეროში ან არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებას;

ვ) დამქირავებლის მოვალეობა — განთავისუფლოს დაჭერილი სადგომი დაქირავების ვადის გასვლისას, და ვადა ამ შემთხვევაში დამქირავებლის წინასწარ გაფრთხილებისა გამოსახლების შესახებ (მუხ. მე-5).

ზ) აკრძალვა სადგომის სხვა პირისათვის მიქირავებისა.

5. ამა დადგენილების მე-4 მუხლის „ა" პუნქტში აღნიშნული ვადა სამანევრო საბინაო ფონდის სახლში საცხოვრებელი სადგომის დაქირავებისა სასეზ. და დროებითი მომუშავეებისა და მოსამსახურეებისათვის უნდა ეთანხმებოდეს იმ ვადას, რომლითაც აღნიშნული პირნი დაქირავებული არიან, ხოლო ყველა დანარჩენი კატეგორიის მუშა-მოსამსახურეებისათვის ეს ვადა ექვს თვეზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ვადა წინასწარ გაფრთხილებისა ქირავნობის ხელშეკრულების განგრძობაზე უარის თქმის შესახებ არ შეიძლება ერთ თვეზე ნაკლები იყოს, ხოლო სასეზონო და დროებითი მუშა-მოსამსახურეებისათვის—ორ კვირაზე ნაკლები.

6. სამანევრო საბინაო ფონდის სახლში სადგომის დაქირავების ხელშეკრულებაზე, რაც დადებული იქნება ამა დადგენილების მე-4 და მე-5 მუხლით გათვალისწინებული წესის მიხედვით, არ გავრცელდება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 156 მუხლის მოქმედება.

7. სამანევრო საბინაო ფონდის სახლში მცხოვრები პირი მას შემდეგ, რაც ხელშეკრულების მოქმედების ვადა გავა და ხელშეკრულების განგრძობაზე უარის თქმის შესახებ წინასწარი გაფრთხილების ვადა გათავდება და აგრეთვე ხელშეკრულების ის პირობები დადგება, რაც გათვალისწინებულია ამა დადგენილების მე-4 მუხლის „ე" პუნქტში,—გამოსახლებულ უნდა იქნეს დაჭერილი სადგომიდან სასამართლოს წესით; ამასთანავე აღნიშნული პირისათვის გამოსახლების დროს საცხოვრებელი სივრცის მიცემა სავალდებულო არ არის.

შენიშვნა 1: ის პირი, ვინც კანონიერად ჩასახლდა სახლში, ვიდრე ეს სახლი მუნიციპალურ საბინაო ფონდში გადავიდოდა, შეიძლება გამოსახლებულ იქნეს ადმინისტრატიული წესით, ხოლო იმ პირის მიმართ ვისზედაც ვრცელდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მოქალაქეთაგან დაჭერილი სადგომებიდან მათი ადმინისტრატიული წესით გამოსახლების შესახებ 1927 წ. მარტის 20-ის თარიღით გამოცემული დეკრეტის (სამოქ. სამართლის კოდექსის 172 მუხლის დანართი; საქართველოს სსრ კან. კრებ. 1927 წ. № 3, მუხ. 53) მე-5 მუხლის მოქმედება,—დაცულ უნდა იქნეს ხსენებული დეკრეტის მე-4 და მე-6 მუხლში და მე-5 მუხლის 1-ლ შენიშვნაში გათვალისწინებული წესები. როდესაც აღნიშნულ პირთან დადებულია ხელშეკრულება ამა დადგენილების მე-4 მუხლის წესისამებრ,—მისი გამოსახლება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, უკეთუ მას საცხოვრებლად გამოსადეგი სივრცე მიეცემა.

შენიშვნა 2: სამანევრო საბინაო ფონდის სახლიდან გამოსახლება შრომისა და ომის ინვალიდებისა, იმ პირებისა, რომელთაც დაჰკარგეს შრომის უნარი ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო, უმუშევრებისა, იმ პირებისა, რომელთაც დაჰკარგეს საშოვარი რაციონალიზაციის წესით მასიური შემცირების გამო და ზემოაღნიშნულ პირთა ოჯახის წევრებისა, და აგრეთვე იმ პირთა ოჯახის წევრებისა, რომელნიც გაწვეულ არიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში,—შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, უკეთუ მათ მიეცემათ საცხოვრებლად გამოსადეგი სივრცე.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შეიმუშაოს და გაუგზავნოს სახელმძღვანელოდ ადგილობრივ საბჭოებს ტიპიური ხელშეკრულება სამანევრო საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომების გაქირავების შესახებ.

9. ამა დადგენილების მოქმედება გავრცელებულ იქნეს აფხაზეთის სსრ, აჭარისტანის ავტონომიური სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი — ი. ვარძიელი.

1929 წ. აპრილის 3
თბილისი — სასახლე.

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ; სახ. კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ საარბიტრაჟო კომისიების დებულებისათვის მე-4¹ მუხლის დამატების შესახებ

რადგანაც 1929 წლის თებერვლის 6-ს საერთო-საკავშირო კანონმდებლობის წესით, გამოიცა დებულება—სახელმწიფო საწარმოთა და შერეულ სააქციო საზოგადოებათა არაშემძლეობის შესახებ (სსრკ კან. კრ. 1929 წ. მეორე №-რი, მუხ. 99 და 100),—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ საარბიტრაჟო კომისიების დებულებას (კან. კრ. 1928 წ. მე-13 №-რი, მუხ. 126) დაემატოს მე-4¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 4 აგრეთვე საარბიტრაჟო კომისიებს ექვემდებარება საქმეები რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმოთა და ა. კ. სფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) სამმართველოს რეგისტრაციაში გასატარებელ შერეულ სააქციო საზოგადოებათა არაშემძლეობის შესახებ".

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1929 წ. ივლისის 2.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის თბილისის საოლქო კომიტეტის საარიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ივანე ივანეს ძე რაჟანსკის, დღეს, სამ სექტემბერს, დილის 9 საათზე გამოცხადდეს ამხ. ავეტისოვთან (ოთახი № 66).

—:—

სტუდენტთა აღმასბიურო აცხადებს ყველა სტუდენტების საყურადღებოთ, რომ დღეს, 12 საათზე უნდა გამოცხადდენ სახელმწიფო უნივერსიტეტში სამხედრო აღლუმში მონაწილეობის მისაღებად.

მედსანშრომის პ/კავშირის საქ. ც. გამგეობა და ვეტსექციის ბიურო ღრმა მწუხარებით აუწყებენ მედსანშრომის კავშირის წევრებს ვეტექიმ

ამხ. სოსო (ოსეგი) ხუციშვილის

უეცრად გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 3 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე 1-ლ საავადმყოფოში (ყოფ. არამიანცის). ნეშთის გამოსვენება იქნება 4 სექტემბერს ნაშუადღევის 4 საათზე კუკიის სასაფლაოზე. 3075

თბ. საბჭოს ადმინისტრატიულ განყოფილების თანამშრომლები: გრიგოლ და მიხეილ ტაბიძეები, მიხეილ წერეთელი, მიხეილ გრიგოლია, შალვა ცხადაია, გერმანე კილურაძე, მიხეილ ხანჯარია, მიხეილ ივანიცკი, ვლადიმერ ხელაძე, ტრიფონ კოპალეიშვილი, სერგო მამულოვი, ივანე ახმარუმოვი, დათიკო მდივნიშვილი, იოსებ კარსანიძე, გრიგოლ კვერნაძე, ექვთიმე ჯვებენავა, მიხეილ ოსიტაშვილი, გიორგი ჩიჩელაშვილი, შალვა კოპალიანი, აკაკი ახვლედიანი, არამ ხაჩატუროვი, გიორგი ფარადაშვილი, ემეცი ალექსანდრე, მარიამ ბარაბაძე, იროდი კანანაძე, ოლღა იმნაძე, კონსტანტინე სულაბერიძე, პეტრე ვოსკანოვი, სოზონისი ჩაჩიბაია და სერგო ასლამაზოვი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მათი ამხანაგი შალვა იაკობის-ძე მელაძის ძმის

მაკარი იაკობის-ძე მელაძეს

უდროოთ გარდაცვალებას სოფ. მათხოჯში. (ს)

გაუბედურებული დედა მარგარიტა გაბუნიას ასული, ბებია ნეოლინე, მამა კონსტანტინე, ძმა ბუჩუ და რძალი თამარ კორძაიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 3 სექტემბერს, ქ. გორში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ტრაგიკულად დაღუპულ დაუვიწყარ

ნ უ ნ უ ს

ხსოვნის აღსანიშნავად, რის შემდეგ ნეშტი წასვენებულ იქნება ს. ბანძაში. 3078

გულდათუთქული მშობლები: დედა მარგარიტა, მამა სიმონ, და ნანა, ძმა ლევანი, ბიძა სერგო პლევსკი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მათი უსაყვარლესი შვილის პატარა ლამაზ ბიჭიკოს

ისიდორე სიმონის-ძე ყორყოლიანის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება მოხდება ქ. ხონიდან 4 სექტემბერს, დილის 9 საათზე, დასაფლავება სოფელ ქვედა მაღლაკში, დღის 4 საათზე. ნ. 3181

მამიდა ალექსანდრა ისიდორეს ასული კახაიასი, და ნინა, ბიძები ვარლამ და კონონ ყორყოლიანები, ბიცოლები კალენიკა, გულქანა თავიანთ შვილებით აუწყებენ მათი უსაყვარლესი პატარა ბიჭიკოს

ისიდორე სიმონის-ძე ყორყოლიანის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება ხონიდან 4 სექტემბერს, დილის 9 საათზე, დასაფლავება სოფელ ქვედა მაღლაკში დღის 4 საათზე. ნ. 3181

მარიამ ჩხეიძის ასული დებით და სიძეებით მწუხარებით იუწყებიან, რომ 5 სექტემბერს, 1 საათზე, სოფელ იტრიაში (სურამი) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასი დედის

ევა გიორგის ასული ჩხეიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 3077

თბ. ალმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების ლუდის ქარხნის „ლუდი"-ს

დასკვნითი ბალანსი

აქტივი 1928 წლ. 1-ლ ოქტომბრისათვის პასივი

აქტივი

მუხლების დასახელება	თანხა კერძო	თანხა საერთო
I. ქონება		
1. შენობები და ნაგებობანი	130.088—60	
2. მანქანები და მოწყობილება	93,814—08	
3. იარაღები	1.465—24	
4. სამეურნეო ინვენტარი	16.483—23	241.851—15
II. სათადარიგო მოწყობილება		2.648—35
III. დაუმთავრებელი კაპიტალური შეკეთება		12.526—72
IV. მასალები		
1. ნედლეული და ძირითადი მასალები	9.947—31	
2. სათბობი	286—16	
3. დამხმარე მასალა	37.425—61	47.659—08
V. ნახევარი ფაბრიკატები		15.579—03
VI. საქონელი და მზა ნაწარმი		1.696—27
VII. ფულადი საშუალებანი		
1. კასა (ნაღდი ფულები, ჩეკები, შემოსულია ამასათებ., მარკები და სხვა)	4.280—28	
2. მიმდინარე ანგ-ში	41.151—33	45.431—61
VIII. პაიები და აქციები (სხვა საწარმოოთა)		12.753—00
IX. მიღებული თამასუქები და საბუთები		
1. მიღებული თამასუქები პორტფელში	17.552—81	
2. ფასდადების და სხვა მისაღები საბუთები	15—00	17.567—81
X. ანგარიშ-ვალდებულთა თანხები		144—66
XI. დებიტორები		
1. მუშა-მოსამსახურენი	749—80	
2. მომწოდებლები და მოიჯარენი	30.627—91	
3. მყიდველები და დამკვეთლები	56.148—08	
4. სხვადასხვა დებიტორები	1.402—80	
5. საეჭვო დებიტორები	48—32	88.976—91
XII. მომავალ წლების ხარჯები		5.663—47
ბალანსი..		492.498—0

პასივი

მუხლების დასახელება	თანხა კერძო	თანხა საერთო
I. კაპიტალები		
1. საწესდებო	220.854—07	
2. საამორტიზაციო	10.843—10	
3. სარეზერვო (სათადარიგო)	8.457—20	
4. საწარმოოს გაფართოებას	23.564—90	263.719—37
II. ფონდები		
1. მუშა-მოსამს. ყოფა-ცხოვრ. გასაუმჯობესებელი ფონდი	6.342—98	
2. მუშათა გამოგონების ფონდი	405—75	
3. სპეციალური ფონდები		
ა) ხელმძღვ. პერსონალთა წამახალისებელი ფონდი	211—43	6.960—16
III. გაცემული თამასუქები		5.900—00
IV. კრედიტორები		
1. მუშა-მოსამსახურენი	2.249—53	
2. მომწოდებლები და მოიჯარენი	6.280—79	
3. მყიდველები და დამკვეთლები	7.098—33	
4. გადაუხდელი გადასახადები, გამოსაღებები და სავალდებულო შესატანი	41.395—35	
5. დეპონენტები	65—00	
6. სხვა კრედიტორები	28.569—65	85.658—65
V. საწესდებო თანხის ცვლილება		894—56
VI. შედეგები		
1. მოგება საანგარიშო წლისა		129.365—26
ბალანსი..		492.498—00

ბალანსის იქითა მუხლები

1. იჯარით აღებული ქონება	33.570—89
ბალანსის იქითა მუხ ჯამი	33.570—89
საერთო ჯამი	526.068—89

1. იჯარით აღებული ქონების პატრონი	33 570 89
ბალანსის იქითა მუხ ჯამი	33.570—89
საერთო ჯამი	526.068—89

ტფილ. ალმასკ. ლუდის ქარხანა „ლუდი"-ს დირექტორი: ა. ნერსესოვი.

მთავარი ბუხჰალტერი: ბ. თოდრაძე.

ეს ბალანსი განხილულია საუწყებათაშორისო კომისიის მიერ ოქმი № 2 20 ივნისი 1929 წ.; დამტკიცებულია თბილ. აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ ოქმი № 20, 12 აგვისტოდან 1929 წ. და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

თბ. ალმასკ. ადგილობრივ მრეწველობის გან-ბის მთავარი ბუხჰალტერი:
ი. თოხაძე.

დებეტი მოგება-ზარალის ანგარიში კრედიტი

დებეტი

1. სავაჭრო ხარჯები	54.232—94
2. გადახდილი პროცენტები	2.014—23
3. ზარალი მასალების, ნახევ. ფაბრ. და საქონლის დანაკლისიდან	1.931—26
4. ზარალი გასულ ქონებიდან	1.507—34
5. შემთხვევითი ხარჯები	165—40
	85.851—04
სალდო: წმინდა მოგება	129.365—26
ჯამი..	189.216—30

კრედიტი

1. მოგება საქონლის და ნახევ. ფაბრიკატების რეალიზაციიდან შინაგან ბაზარზე	175.514—28
2. მოგება მასალის რეალიზაციიდან	1·564—95
3 მიღებული პროცენტები	4.577—83
4. მასალის ნახევარ-ფაბრიკ. და საქონლის მეტობა	105—00
5. შემთხვევითი შემოსავალი	7.454—27
ჯამი...	189.216—30

წმინდა მოგების განაწილება

წმინდა მოგება		129.365—26
1. საშემოსავლო გადასახადი	10%	12.936—53
		116·428—73
2. უმაღ. ტეხნიკ. სასწ. შესანახი	3%	3.492—84
		112.935—89
3. სარეზერვო (სათადარიგო) თანხაში	10%	11.293—59
4. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯ. ფონდში	10%	11.293—59
5 საწარმოთა გაფართოების კაპიტალში	25%	28.233—97
6. ხელმძღვანელ პერსონალის გაუმჯობესების ფონდში	0,25%	282—33
7. ადგილობრივ მრეწვ. სამრეწველო ფონდში	20%	22.587—18
8. ადგილობრივ ბიუჯეტის სასარგებლოდ	34,75	39.245—23
	100%	112.935—82

ტფილ. ალმასკ. ადგილ. მრ წვ. განყოფილების
ლუდის ქარხანა „ლუდი"-ს დირექტორი: ა. ნერსესოვი.
მთავარი ბუხჰალტერი: ბ. თოდრაძე.

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი
ადგილკომებისა და ჯგუფკომების საყურადღებოდ
I. თეატრის სალაროში ყოველდღე სწარმოებს აბონემენტების გაცემა შემოსული რიგის მიხედვით 10-დან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე.
II. კოლექტიური განცხადებებით მოთხოვნილი აბონემენტები, რომლებიც თავის დროზე არ იქნება წაღებული, გაიყიდება საერთო წესით: არავითარ პრეტენზიას დირექცია მხედველობაში არ მიიღებს.
ნ. 3178 დირექცია.

სახკინმრეწველობის კინოები
საზაფხულო აპოლო დარბაზის (ბაღში) — დრამა ებრაელთა ცხოვრებიდან მიწა ეძახის რეჟისორი ბალიუზეკი
საზაფხულო ეთერი — მარჩელა ალბანი და ვერნერ კრაუსი სურათში კულისებს იქით
საზაფხულო პალასი — მხატვრული ფილმი სევილი
მალე: „გენერალი" ბესტერ კიტონის მონაწილეობით
0—3

საზაფხულო კინო-თეატრი
ეთერი
დღეს და ყოველდღე
უკანასკნელად თბილისში
კულისებს იქით
მარჩელა ალბანის და ვერნერ კრაუსის მონაწილეობით. ნ. 3182

გაზეთ „კომუნისტ"-ზე
ხელის მოწერას მიიღებს
პოსტა-ტელეგრაფის ყველა განყოფილება და ყველა წერილის დამტარებელი,
როგორც ქალაქში, ისე სოფლად.
0—1 გაზეთ „კომუნისტი"-ს გამომცემლობა

საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის სახელმწიფო მუსიკალური სასწავლებელი

საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის სახელმწიფო მუსიკალურ სასწავლებელის ყველა ფაკულტეტზე მეცადინეობა იწყება 15 სექტემბერს. ყველა მოწაფე რეგისტრაციაში უნდა გატარდეს 1 ოქტომბრამდე სათანადო რაიონულ სასწავლებელში.

ახლად შემოსვლის მსურველთა განცხადებები მიიღება 1929 წლის 2 სექტემბრიდან ცენტრალურ კანცელარიაში კურსანტების (ყოფ. კადეტთა) ქ. № 6 და რაიონულ სასწავლებელთა კანცელარიაში ყოველდღე 1-დან 3 საათამდე და საღ. 6-დან 7 საათამდე. 3016

ქ. თბ. 1-ლი რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი სერგო ბაბინოვი

ამით აცხადებს, რომ ის 7 სექტემბერს 1929 წ. დღის 2 საათზე სახლში № 26 ბელინსკის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის შოთა და ელენე გელოვანების უძრავ ქონებას: ორ სართულიან, თუნუქით დახურულ, ცხრა ოთახისა და ორი სამზარეულოსაგან შედგარ სახლს შეფასებულს 5000 მანეთად, სახალხო მამულის ტრესტის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. მაზრა-ქალაქის სახალხო სასამართლოსაგან 9 აპრილის 1928 წ. თარიღით, № 1379 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა ჩატარდება ს.ს. კოდექსის 311—312 მუხლების დაცვით. ნ. 3183

გურჯაანის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი გ. მეტრეველი

აცხადებს, რომ ის ქ. თბილისის შრომის სასამართლოს მიერ ა. წ. 19 თებერვალს გაცემული აღმას. ფურც. № 68 და გურჯაანის უბნის სახ. სასამართლოს მიერ ა. წ. 20 ივნისს გაცემული აღმასრ. ფურცელი № 3727 თანახმად ა. წ. 8 ენკენისთვეს დღის 10 საათზე აღმშენებელთა კავშირის კახ. სამგანყ. ვალის დასაფარავად დ. ველისციხის ბაზარზე **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის სოლომონ ხანზინის ქვემოთ აღნიშნულ ქონებას, რომელიც იმყოფება ალაზნის არხის სამუშაოთა სამქართველოს ხელში: ქონების დასახელება: პირსაბანი თუნუქისა 1, ცინკის ტაშტი 1, ინგლისური უნაგირი 1, საბერველი 1, ლამფა (პატარა 30) 1, ტოლჩა (წყლის დასალევი) 1, ფარსენკა (ფურნ. საბერველი) 3, ფარსენკა (ფურნ საბერველი) 1, ფორმები პურისა 150, საცერი 2, ბოჩკა (მარილის წყლის გასახსნათ.) 1, შუშა ჩეთვერიანი 1, ნავთის ამოსაღები ნასოსი 1, სარწყავი ლეიკა 1, ასტმები 2, სუფრა ცომზე გადასაფარებელი 2, სპეცტანისამოსი ხალათები 12, კალპაკები (ქუდი) 8, სასწორი (დესტირიჩნი) 2, ქვაბები ჩუგუნისა 2, უღელი 1 ფქვილის ტომრები 32, თვით მადუღებელი (სამოვარი) 1, ხარები 11, ცხენი 1, შარაბანი 1, კლიონკა მაგიდის 1, პოვოსკები 4 თვალა 1, პოვოსკები 3 თვალა 1, პოვოსკები 4 თვალა 3, გასაღები პოვოსკებისა 2, რეზინა წყლის ამოსაღები 1, ტაჩკა 1, ფეჩი პურის საცხობი 1, ხამუტი თავის შლეით 1, ოჟები 1, ლაგამი 1, სედელკა 1, წელის თასმა 1. 3079

დავკარგე საეკლესიო სამრევლო სკოლების მასწავლებლობის უფლების მოწმობა № 63 გაცემული ქუთაისის ყოფილი საეპარქიო გაბრიელის სახელობის ქალთა სასწავლებლიდან 14 თებერვალს 1913 წ. ივლიტა ლუკა კვატაშიძის ასულის სახელზე, ჩ. გ. 2—1 ნ. 3135

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფორმა № 4 ამბროსი ჩხეიძის სახელზე ჩ. გ. 3074

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 1317 გაცემული ბაღდათის საბჭოთა და სავაჭრო პროფკავშირის მიერ აკაკი მემარნიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3081

დავკარგე სამხედრო პირადობის წიგნაკი ფორმა № 4, ივანე მიხეილის-ძე გუგუშვილის სახელზე ჩ. გ. 3076

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი გაცემული ჭიათურის სამთო-მადნო კავშირის მიერ № 7855 ვიქტორ ალმასხანის-ძე კაპანაძეს სახელზე, ჩ. გ. 3072

დავკარგე მუშირის წიგნაკი № 748 ვასო ხახიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3070

დავკარგე კავშკოოპის წიგნაკი № 31270 იოსებ გიორგის-ძე ქურდიანის სახელზე ჩ. გ. 3073

დავკარგე პურის წიგნაკი ლიტერი „ა" ოთხი სულის, ანა ცენტერაძის სახელზე, ჩ. გ. 3071

ტირაჟი—42.434
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.